საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№33 (504)
18 - 24 სექტემბერი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## გრანდიოზული ცეცხლოვანი შოუ მაალულაში მაცხოვრის ჯვრის პატივსაცემად

24

# ამერიკული დესანტი საქართველოში

2-3










მიზანი თბილისში გამართული კონფერენციისა, რომელზეც ცნობილი ყვავ-ყორნები მოფრინდნენ, საქართველოს ხელისუფლების დამხობა და ბაიდენისა და სააკაშვილის ორმხრივი ინტერესების გატარება იყო ანაკლიის პორტის დაჩქარებულ მშენებლობაში



## «ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვტირი მე...»

4





ნანა კაკაბაძე:

## როდესაც ევროპელები ბოკერიას შეყვარებისკენ მოგვიწოდებენ, დამნაშავეები იქ კი არა, აქ, ადგილზე, უნდა ვეძებოთ

5



ლევან ჩაჩუა:

## თუ დასავლეთმა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ყირიმის საკითხი დათმო, ცხინვალისა და სოხუმის დასაცავად წავა რამე კონფრონტაციაზე რუსეთთან?

6

## წაიკითხოს მხოლოდ «ინტელექტუალურმა ელიტამ»!

7




## აფრიკის ღატაკ ქვეყნებში თითოეულ მოსახლეს დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, საქართველოში – 1 დოლარზე ნაკლები

10



## ოკუპანტი და ოკუპაცია

21



ჩაქუჩი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთისა და კავკასიის საკითხებით დაკავებული ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსის გონებრივი არასრულფასოვნება და გაუნათლებლობა პირდაპირპროპორციულია განუკურნებელი რუსოფობიით დაავადებული მათი ქართველი კოლეგების ჩვეულებრივი ღალატისა და გამყიდველობისა!**



# 9 სექტემბერს თბილისში გადმოსროლილი ამერიკული დესანტის მიზანი — ხელისუფლების დამხობა საქართველოში

## დევიდ კრამერი, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირმა ინაშვილს ლამის მუშტებით მივარდა, ფონდ «სვობოდნაია როსიას» ერთ-ერთი ლიდერია

**სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენმა ქვეყანამ რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტით, ბოლოს და ბოლოს, იპოვა მფარველი აშშ-ის სახით. საქართველოში ამერიკა, რა თქმა უნდა, ძალიან გავლენიანი, მაგრამ არა ყოვლისშემძლეა — საქართველოს ხელისუფლება, როცა მოისურვებს, იღებს გადაწყვეტილებებს ვაშინგტონთან შეუთანხმებლად და ზოგჯერ მის საწინააღმდეგოდაც კი. ასე მოხდა, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოში ომი დაიწყო კონდოლიზა რაისის გაფრთხილების მიუხედავად („მფარველმა“ მაშინ საქართველო არ დაიცვა); ასე მოხდა, როდესაც ივანიშვილის ხელისუფლებამ დაბლოკა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის — ბრიჯიტ ბრინკის დანიშვნა აშშ-ის ელჩად საქართველოში.**



საზოგადოდ კი, საქართველოს ხელისუფლებისთვის ძალიან კომფორტულია ამერიკის პატრონაჟის ქვეშ ყოფნა: საჭირო არ არის თავის შეწუხება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენით, ინიციატივის გამოჩენით და მოსკოვთან, სოხუმსა და ცხინვალთან კომპრომისების ძებნით. გაცილებით ადვილია ინსტრუქციების მორჩილად შესრულება და ამაში „ამერიკული“ ხელფასების მიღება.

თუმცა საქართველოს აშშ-თან სტაბილური კავშირისა და პარტნიორობის დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს — პოლიტიკა მათემატიკა არ არის, ამიტომ აშშ არ შეიძლება იყოს კონსტანტა: იცვლებიან ამერიკის პრეზიდენტები, მათთან ერთად — ამერიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტები, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტი, კონგრესი, პენტაგონი, CIA, FBI და აშშ-ის გენერალური პროკურორი ერთმანეთს ეჯიბრებიან და ხშირად პრეზიდენტის ანტაგონისტურ პოლიტიკას ატარებენ. **ყოფილი სახელმწიფო მოხელეებიც განაგრძობენ პოლიტიკურ თამაშს, მაგრამ უკვე ექსპერტ-ანალიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდებისა და ინსტიტუტების ხელმძღვანელების სახით.** ისინი სიტუაციების მოდელირებას ახდენენ სუსტი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში, იყენებენ „რბილ ძალას“ და ჰიბრიდული ომის სხვა მეთოდებს, ატარებენ ექსპერიმენტებს ტერიტორიულ, ეკონომიკურ, ეთნიკურ და რელიგიურ პრობლემებზე, ზონდირებენ ხელისუფლების შესაძლო ცვლილების ნიადაგს და, საჭიროების შემთხვევაში, დესანტირებას ახდენენ ადგილზე დივერსიულ-სადაზვერვო საქმიანობის განსახორციელებლად დახურული კონფერენციების ჩატარების ლეგენდით. საქართველო მათთვის ასეთი ექსპერიმენტული ლაბორატორიაა, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა 9-10 სექტემბერს თბილისში მეხუთედ ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია **„ახლა რა?“ (NOW WHAT?),** რომელშიც მონაწილეობდა „საქართველოს მეგობრების კლუბი“ საპატიო თავმჯდომარესთან, მთავარი „ამერიკელი ქართველის“, აწ გარდაცვლილი სენატორის, **ჯონ მაკეინის** ქვრივთან ერთად.

ამერიკელი სტუმრების პროვოკაციულმა წინადადებებმა და გამომწვევმა ქცევამ არა მხოლოდ ქართველი ხალხი გააოგნა, ბრიუსელმა და ვაშინგტონმაც სასწრაფოდ დაგმეს ისინი, როგორც აშშ-ისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიციალური პოზიციების შეუსაბამო. მაგალითად, ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის — **ანდერს ფოგ რასმუსენის** წინადადება, რომელიც ქართველებს მოუწოდებდა „ჩიხიდან გამოსვლისკენ“ — მოეთხოვათ „კოლექტიური თავდაცვის შესახებ“ ნატოს წესდების მე-5 მუხლის გაუვრცელებლობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, რათა „მიეცათ საშუალება, დაეწყოთ ნატოში საქართველოს მიღების პროცედურები“. ოფიციალური პირების — სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის **ჯეიმს აპატურაის** („საქართველოს ნატოში გაწევრების იდეა მის ორ რეგიონზე მეხუთე მუხლის გაუვრცელებლობის შესახებ არ იწვევს ალიანსის ინტერესს, ამ საკითხის განხილვას აზრი არ აქვს! მე ასევე არ მჯერა, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების ამჟამინდელ პირობებში ეს იდეა დროულია!“) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ **მადლენ მუნის** პროტესტის („ეს არ არის შეთავაზება ნატოსთვის, რათა მის მიხედვით მოხდეს გადაწყვეტილების მიღება! ჩემს პატივისცემას ვერ დაიმსახურებდა ის, ვინც ჩამოვიდოდა ჩემს ქვეყანაში და მეტყოდა, დათმეთ შოტლანდია და დაუბრუნეთ ის შოტლანდიელებს! ეს არაფრის მომცემია“) მიუხედავად, საააკაშვილ-ბოკერიას პარტიებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას, როგორც „ყურადღებით განხილვის ღირსს“, და მის ოპონენტებს — მაშასადამე, აპატურაის, მუნსა და საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას — **„რუსი პროპაგანდისტები“** უწოდეს. აქაოდა, როგორც რასმუსენმა ბრძანა, „გერმანიაც ასევე ჯერ ნატოში შევიდა, შემდეგ კი გაერთიანდა“.

## ნატოს წესდების მე-5 მუხლის ექსკლუზიურად საქართველოსთვის შეჩერება არის ბლეფი, ისეთივე, როგორც, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის შეჩერება თბილისის ორ რაიონში — ვაკესა და საბურთალოზე

სამწუხაროდ, **რუსეთისა და კავკასიის საკითხებით დაკავებული ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსის გონებრივი არასრულფასოვნება და გაუნათლებლობა პირდაპირპროპორციულია განუკურნებელი რუსოფობიით დაავადებული მათი ქართველი კოლეგების ჩვეულებრივი ღალატისა და გამყიდველობისა, ამიტომ უპატრონო საქართველოს საბოლოოდ დაბნეული მოქალაქეებისთვის განვმარტავ:**

**1. ნატოს წესდების მე -5 მუხლის ექსკლუზიურად საქართველოსთვის შეჩერება არის ბლეფი, ისეთივე, როგორც, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის შეჩერება თბილისის ორ რაიონში — ვაკესა და საბურთალოზე.** მაგრამ, თუ მოხდა სასწაული და ნატოს წევრი ქვეყნები ამას ოდესმე დასთანხმდებიან, მაშინ მათ ასევე უნდა შეცვალონ ნატოს წესდების მე -6 მუხლიც, რომელიც განმარტავს, ვისზე ვრცელდება მე-5 მუხლით გარანტირებული კოლექტიური თავდაცვა. ვინ შეცვლის ნატოს წესდების ორ მუხლს ალიანსში საქართველოს შესვლისგან მიღებული საეჭვო დივიდენდების გამო?! საქართველოსთვის MAP-ის მოპოვების ერთადერთი ვარიანტია თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება, რადგან სამხედრო ბლოკის წესდება კრძალავს ტერიტორიული პრობლემების მქონე ქვეყნის ალიანსში მიღებას.

**2. ნატოს წევრობა საქართველოსთვის გამორიცხულია კიდევ იმის გამო, რომ ნატო რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან იგივე როდია, რაც ნატო მის დასავლეთ საზღვრებთან.** საქართველოს იქით მდებარეობს რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ზონა — სომხეთი, კასპიის ზღვა, ირანი, ჩინური მიმართულება „ერთი სარტყელი და ერთი გზა“, ამიტომ რუსეთი მის მიმართ მტრულად განწყობილ სამხედრო ბლოკს არ მისცემს საშუალებას, მათზე წვდომა გადაუკეტოს. ბალტიისპირეთის ქვეყნების უკან კი მხოლოდ ევროპაა. ამას ვამბობ იმ ქართველ პოლიტიკოსთა გასაგონად, რომლებიც ამბობენ, აქაოდა, **„ნატო რუსეთის საზღვრებთან მისთვის არათუ საფრთხეს არ წარმოადგენს, არამედ სასარგებლოცაა! რუსეთი ხომ ჩინებულად ეგუება ნატოს თავის საზღვრებზე — ლატვიაში, ლიეტუვასა და ესტონეთში! მაშ, რატომ არ შეიძლება იგივე საქართველოსთვისაც?!“** სწორედ ასე მსჯელობდა საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე...**

**3. გერმანიის მაგალითით ოპერირება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების ტოლფასია, რადგან გფრ-ცა და გდრ-ც გაერთიანებამდე მსოფლიოს მიერ აღიარებული იყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. გერმანიის მაგალითის მოყვანა უადგილოა იმიტომაც, რომ იქ ორად გაიყო ერთი ერი, რომელიც თავისი ნებით გაერთიანდა, ხოლო აფხაზები და ოსები თავს ქართველებად არ თვლიან და არც მათთან გაერთიანება არ სურთ.** მეტიც, გერმანიის მაგალითის მოყვანა სახიფათოა, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ოსი ერის ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსებად გაყოფის ასოციაცია, რომლებიც გაერთიანებას ითხოვენ „გერმანიის მსგავსად“ (რა თქმა უნდა, არა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ). სწორედ ეს არის საბოლოო მიზანი „საქართველოს მეგობრების კლუბისა“, რომელიც 9 სექტემბერს თბილისში მოიწვიეს კონფერენციაში მონაწილეობის საბაბით, კერძოდ კი: გადაეცეს რუსეთს საქართველოს სეპარატისტული რეგიონები — აფხაზეთი შეუერთდეს კრასნოდარის მხარეს, ხოლო სამაჩაბლო — ჩრდილოეთ ოსეთს, რათა მოიხსნას მთავარი დაბრკოლება ნატოში საქართველოს მისაღებად. ამისთვის კი აუცილებელია „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება ხელისუფლებაში.

რამ განაპირობა საქართველოში მე-5 კონფერენციის — „რა იქნება შემდეგ“ ჩატარება? რა აუცილებლობას წარმოადგენდა დისკუსიის გამართვა თემაზე „როგორ ვებრძოლოთ შემდგომში რუსულ საფრთხეს“? საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ არ მომჯობინებულა გავრილოვის დელეგაციის ჩამოსვლით გამოწვეული პროვოკაციისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შედეგებისგან, ფარისევლურად რომ ეწოდა „გავრილოვის ღამე“?

რუსეთი მთავარი საფრთხეა საქართველოსთვის: **ეკონომიკური** — თუ უარს იტყვის ქართულ ექსპორტზე და აუკრძალავს რუს ტურისტებს საქართველოში ჩამოსვლას; **სამხედრო** — თუ ჯარს შემოიყვანს საქართველოში, ან უარს იტყვის ყარსის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე, რომლის შემდეგ თურქეთი მაშინვე შეიყვანს ჯარს აჭარაში. მაგრამ რუსეთი ამ ყველაფერს გააკეთებს მხოლოდ ნატოს ან აშშ-ის სახმელეთო ან საზღვაო სამხედრო ბაზის საქართველოში განლაგების საპასუხოდ. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოსთვის მთავარი საფრთხეა არა რუსეთი, არამედ ნატო და აშშ, ხოლო „რუსული საფრთხის“ წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი გზა საქართველოში „მეტი ნატოს“ შემოღებისა და აშშ-ის სამხედრო ბაზების სავარაუდო განთავსებაზე უარის თქმაა. მაშ, **რა მიზნით შეკრიბეს კონფერენციის ორგანიზატორებმა — მაკეინის ინსტიტუტმა (არიზონას უნივერსიტეტი, აშშ) და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRS, საქართველო, აღმასრულებელი დირექტორი ნინო ევგენიძე) — სასტუმრო Rooms Hotel Tbilisi-ის ჭერქვეშ (ყოფილი გამომცემლობა „სამშობლო“) უპრეცედენტოდ** ▶

**გერმანიის მაგალითით ოპერირება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების ტოლფასია, რადგან გფრ-ცა და გდრ-ც გაერთიანებამდე მსოფლიოს მიერ აღიარებული იყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. გერმანიის მაგალითის მოყვანა უადგილოა კიდევ იმიტომ, რომ იქ ორად გაიყო ერთი ერი, რომელიც თავისი ნებით გაერთიანდა, ხოლო აფხაზები და ოსები თავს ქართველებად არ თვლიან და არც მათთან გაერთიანება არ სურთ.**

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **შთამბეჭდავი ანტირუსული დესანტი? კერძოდ:**

***დევიდ კრამერი** — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დემოკრატიის საკითხებში, Freedom House-ის ყოფილი დირექტორი, ამჟამად ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის უფროსი მკვლევარი და რუსეთში მდებარე ამერიკული ფონდის — „სვობოდნაია როსიას“ დირექტორთა საბჭოს წევრი (ფონდის თბილისის ფილიალი, **ეგორ კუროპტევის** ხელმძღვანელობით, არის პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან შეურაცხყოფითა და მუშტებით გავრილოვის დელეგაციის განდევნისა და პარლამენტის შენობის ხელში ჩაგდების მცდელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი). საგულისხმოა, რომ კონფერენციის მეორე დღეს, 10 სექტემბერს, დევიდ კრამერმა ასევე შეურაცხყოფითა და მუშტებით შეუტია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, საპარლამენტო ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერ **ირმა ინაშვილს** და ისტერიკული შეძახილებით აიძულა იგი, საკონფერენციო დარბაზი დაეტოვებინა;

***ფილიპ რიკერი** — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი ევროპისა და ევრაზიის საკითხებში;

***ლორა კუპერი** — აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილე რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის საკითხებში;

*** ანდერს ფოგ რასმუსენი** — ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი, ამჟამად ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე სახალხო დიპლომატიის საკითხებში;

*** ბენ ჰოჯესი** — ევროპაში აშშ-ის ძალების ყოფილი მეთაური, გადამდგარი გენერალი;

*** დენიელ ფრიდი** — სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, პოლონეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი, ამჟამად ატლანტიკური საბჭოს ანალიტიკოსი;

*** მეთიუ ბრაიზა** — აშშ-ის ყოფილი ელჩი აზერბაიჯანში, რომლის საქმიანობამ ოფიციალური ბაქოს უკმაყოფილება გამოიწვია და არასრულ ერთ წელიწადში იგი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა დიპლომატიური სამსახური, რადგან აშშ-ის სენატმა უარი თქვა მისი დანიშვნის დადასტურებაზე; აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ყოფილი მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, დაკავებული იყო კონფლიქტებით მთიან ყარაბაღში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში; ამჟამად — ატლანტიკური საბჭოს ანალიტიკოსი, ესტონეთის თავდაცვითი კვლევების ცენტრის დირექტორი;

*** ჯონ ტეფტი** — აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში, უკრაინაში, რუსეთსა და ლიტვაში;

*** სინდი მაკეინი** — მაკკეინის ინსტიტუტის საბჭოს თავმჯდომარე, სენატორ ჯონ მაკკეინის ქვრივი;

*** კურტ უოლკერი** — მაკკეინის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი უკრაინის საკითხებში;

*** ლინას ლინკიავიჩუსი** — ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი;

*** ვალდის ზატლერი** — ლატვიის ყოფილი პრეზიდენტი.



ანდერს ფოგ რასმუსენი



ბენ ჰოჯესი



დენიელ ფრიდი



ჯონ ტეფტი



ლორა კუპერი



მეთიუ ბრაიზა



სინდი მაკეინი



ფილიპ რიკერი

რატომ დასჭირდათ კონფერენციის არცთუ ხელმოკლე ორგანიზატორებს — მაკეინის ინსტიტუტსა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ქართულ ცენტრს **(EPRS)**, რომლის ამჟამინდელ სპონსორებს შორის არიან შვედური საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო SIDA 2 მილიონ 300 ათასი აშშ დოლარის გრანტით, **ევროკავშირი** 635 ათასი 414 ევროს გრანტით, **სოროსის ფონდი, აშშ-ის საელჩო საქართველოში,** OSIF და სხვა ორგანიზაციების — „მომხრეებისა და პარტნიორების“ — დამატებითი დახმარება, როგორც ეს მითითებულია EPRS-ის ვებვერდზე?

კერძოდ: საქართველოში აშშ-ის საელჩოსი; საქართველოში ბრიტანეთის საელჩოსი; ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების; სოროსის ფონდ „ღია საზოგადოების“; სასტუმრო Rooms Hotel Tbilisi-ის; საქართველოს ბანკის; TBC ბანკის (რომელიც ეკუთვნის 17 მილიონი დოლარის „გათეთრების“ ბრალდებით გამოძიების ქვეშ მყოფ **მამუკა ხაზარაძეს**, ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ თანადამფუძნებელსა და ხელმძღვანელს. გასულ კვირას ხაზარაძემ წარადგინა მოძრაობა „ლელო“, რომელიც მისივე განცხადებით, ივანიშვილის ერთპიროვნული ხელისუფლების დასამხობად შექმნა).

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად წელიწად-ნახევრით უკან დავიხიოთ: 2018 წლის 8 თებერვალს თბილისში, იმავე სასტუმრო Rooms Hotel Tbilisi-ში გაიმართა პრეზენტაცია სტრატეგიული კვლევების ამერიკული ინსტიტუტის The Heritage Foundation-ის მოხსენებისა „ნატოს წევრობა საქართველოსთვის: აშშ-ისა და ევროპის ინტერესებში“, რომლის ავტორიც არის **დუგლას** და **სარა ელისონების** სახელობის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი **ლუკ კოფი** (Luke Coffey). მოხსენება მოიცავდა 14 რეკომენდაციას, რომელთაგან მე-5 გულისხმობს **„საქართველოს სწრაფ გაწევრებას ნატოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე“**, რომლებზეც, ავტორის ჩანაფიქრის თანახმად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლები კოლექტიური თავდაცვის შესახებ არ უნდა გავრცელდეს: **„10 წელია, მესმის საქართველოს ნატოსკენ მისწრაფების შესახებ — დადგა კრეატიული და პრაგმატული გადაწყვეტილებების დრო! საქართველო უნდა გაწევრდეს ნატოში დაჩქარებული წესით, ეს იქნება ძლიერი მესიჯი რუსეთისთვის, რომ იგი ვერ შეძლებს შეზღუდოს საქართველოს მისწრაფება ნატოსკენ თავისი არალეგალური ოკუპაციით! “ — განაცხადა მაშინ ლუკ კოფიმ და მაგალითად მოიყვანა გერმანია, რომელიც „ჯერ ნატოს წევრი გახდა, შემდეგ კი გაერთიანდა“.**

მოიცა! განა 2019 წლის 9 სექტემბერს კონფერენციაზე ანდერს ფოგ რასმუსენმა სხვა რამ თქვა?! განა არ გაიმეორა, თანაც სიტყვასიტყვით, ლუკ კოფის მოხსენების ყველა თეზისი?! ესე იგი, **თბილისში მიმდინარე კონფერენციის მთავარი მიზანი, რომელზეც ცნობილი ამერიკელი „ყვავყორნები“ მოფრინდნენ, სხვა რამ იყო? დიახ, პატივცემულო მკითხველო, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს საქართველოს მოქმედი ხელისუფლების დამხობა და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დაბრუნებაა, რომელსაც საქართველოში ახლახან ჩატარებული კიდევ ერთი კონფერენცია მიეძღვნა.**

2019 წლის 17 ივნისს, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამდე 3 დღით ადრე, **გიული ალასანიას** მოწვევით თბილისში ჩამობრძანდა პენსილვანიის უნივერსიტეტის გლობალური ჩართულობის ბაიდენის ცენტრის უფროსი დირექტორი **მაიკლ კარპენტერი** — აშშ-ის თავდაცვის მდივნის ყოფილი თანაშემწე რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის საკითხებში და **ჯო ბაიდენის** ყოფილი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. თავის გამოსვლაში გიული ალასანიას მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „რუსული გავლენის კვალდაკვალ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში“, ასევე ეგორ კუროპტევთან ინტერვიუში მაიკლ კარპენტერმა განაცხადა, რომ აუცილებელია რუსი ტურისტების ნაკადის შეზღუდვა და რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღება. მისი თქმით, ტურიზმი რუსული ოკუპაციისა და ეკონომიკური ექსპანსიის ერთ-ერთი ფორმა ყოფილა, თანაც „რუს ტურისტებს შორის ეფ-ეს-ბეს უამრავი თანამშრომელია; ისინი აქ რჩებიან საცხოვრებლად და მასობრივად იძენენ უძრავ ქონებას“... სააკაშვილის ექსტრემისტებმა კეთილსინდისიერად შეასრულეს კარპენტერის შეკვეთა, რომლის შედეგად პუტინი იძულებული შეიქნა, დროებით აეკრძალა რუსეთსა და საქართველოს შორის საჰაერო სამოქალაქო გადაზიდვები და რეკომენდაცია მისცა რუს ტურისტებს, თავი შეეკავებინათ საქართველოს მონახულებისგან. თუმცა **რუსული ტურიზმის შეზღუდვა არ ყოფილა კარპენტერის საიდუმლო მისიის მთავარი მიზანი, ისევე, როგორც მისი გამოსვლა კონფერენციაზე, რომელშიც, სხვათა შორის, ლუკ კოფიც მონაწილეობდა. მაიკლ კარპენტერის მთავარი ამოცანა იყო და რჩება საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დამხობა და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში დაბრუნება. ამის მიზეზი ,გიული ალასანიასადმი სიყვარული კი არა, ბაიდენისა და სააკაშვილის ორმხრივი კომერციული ბიზნესინტერესებია ანაკლიის პორტის დაჩქარებული მშენებლობის პროცესში.**

11 ივნისს, „გავრილოვის ღამემდე“ 9 დღით ადრე, აშშ-ში ვიზიტად მყოფ საქართველოს იმჟამინდელ პრემიერმინისტრ **მამუკა ბახტაძესთან** ერთობლივ პრესკონფერენციაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **მაიკ პომპეომ** პომპეზურად განაცხადა: **„აშშ იმედოვნებს, რომ საქართველო დაასრულებს ანაკლიის პორტის პროექტს. პორტი გააძლიერებს საქართველოს ურთიერთობებს თავისუფალ ეკონომიკებთან, რაც ხელს შეუწყობს მას, არ იქცეს ჩინეთისა და რუსეთის ეკონომიკური ინტერესების მსხვერპლად. ისინი ყალბი მეგობრები არიან და საქართველოსადმი კეთილი ინტერესები არ ამოძრავებთ“.**

რატომ არ განსჯის ქართული ოპოზიცია პომპეოს, როდესაც ის ქართველებს უბრძანებს, შიმშილით დაიხოცონ — უარი თქვან რუს ტურისტებზე, რუსულ ბაზარსა და მონაწილეობაზე ჩინურ ზემომგებიან პროექტში — „ერთი სარტყელი და ერთი გზა“, მაგრამ **აუცილებლად ააშენონ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ღრმაწყლოვანი პორტი ანაკლიაში — როგორც პერსპექტივაში სარეზერვო სადგომი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის, აფხაზეთში დისლოცირებულ რფ-ის თავდაცვის სამინისტროს მე-7 ბაზიდან 4 კილომეტრში?! პომპეო დუმს იმაზე, რომ ტრამპი არ დაუშვებს ანაკლიის პორტის აშენებას ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა ფულით — აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტისთვის საქართველო რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ზონაა, ამიტომ არასდროს უხსენებია ის რუსეთის პრეზიდენტთან საუბარში, უკრაინაზე კი მუდმივად ლაპარაკობს!** ჰოდა, პომპეოც ცდილობს, 3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ტვირთი „გადაულოცოს“ ქართველ გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც ისედაც გაღატაკდნენ სააკაშვილის სექტის მიერ ანტირუსული პროვოკაციების შედეგად გამოწვეული ეროვნული ვალუტის მკვეთრი ინფლაციის გამო!

დასასრულ, რისთვის გააკრიტიკეს საქართველოს მოქმედი ხელისუფლება გასულ კვირას თბილისში ჩატარებული კონფერენციის ამერიკელმა მონაწილეებმა:

***ანდერს ფოგ რასმუსენი:** „ხელისუფლება არ უხსნის მოსახლეობას ნატოში შესვლის უპირატესობებს ამ მექანიზმით (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე); მე კარგად მესმის, რომ საქართველოში ბევრს მოთმინება ამოეწურა“;

*** დევიდ კრამერი:** „საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს ნატოელი მოკავშირეები, რომ ალიანსში შესვლის შემდეგ არ ჩაითრევს მათ რუსეთთან კონფლიქტში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო! რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის პირდაპირი დიალოგი დეოკუპაციის საკითხზე არასწორია“;

*** დენიელ ფრიდი:** „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკელები მხოლოდ სააკაშვილს უჭერენ მხარს, ამიტომ მათ დაბლოკეს ბრიჯიტ ბრინკის საქართველოში ჩამოსვლა აშშ-ის ელჩად. ეს შეცდომა იყო. მე მაწუხებს ქართული პოლიტიკის პოლარიზაცია, განსაკუთრებით ის, რაც მოხდა 20 ივნისის შემდეგ. სააკაშვილმა ბევრი კარგი რამ გააკეთა ქვეყნისთვის. რაშიც ის წარმატებულად მიმაჩნია, არის მდგრადი ინსტიტუციების შექმნა, კანონის უზენაესობის დაცვა, მათ შორის — პოლიტიკური ზეწოლისგან“;

*** მეთიუ ბრაიზა:** „თქვენ უნდა შეაჩეროთ რუსეთი, დააწესოთ ფასი იმ მომენტში, როდესაც ის რაიმე უკანონო ქმედებას აკეთებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ანალოგიური ქმედებები იქნება მომავალშიც. საქართველოს სჭირდება, რომ როგორმე დაბრუნდეს აშშ-ისა და ჩვენი ევროპელი მოკავშირეების დღის წესრიგში! საბოლოო ჯამში, ეს შეიძლება გაკეთდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით! ნებისმიერმა, ვინც ივნისიდან თვალყურს ადევნებს მოვლენებს საქართველოში, იცის, რა პროვოკაციულია შინაგან საქმეთა მინისტრ **გახარიას** პრემიერმინისტრად დანიშვნა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, როგორ იქნება საქართველო სტრატეგიულად წარმოდგენილი აშშ-ის დღის წესრიგში... ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის პროექტმა, შესაძლოა, უდიდესი გავლენა მოახდინოს ნატოში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე. ანაკლიის პორტი მოხმარდება ავღანეთში აღჭურვილობისა და სამხედრო ტექნიკის ტრანსპორტირებას, ასევე ნატოს სამხედრო წვრთნების ჩატარებას საქართველოში. **პორტის მშენებლობის შეჩერება აშშ-ის იმედგაცრუებას იწვევს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხს“.**

ამრიგად, აშკარაა ყველა ნიშანი ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულებისა, რომელშიც მონაწილეობენ კონფერენციის ორგანიზატორები, სტუმრები და ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები — „მომხრეები და პარტნიორები“, რომელთა მხარდაჭერითაც ის ჩატარდა.

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
saqinform.ge

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქოცების მუდმივმა აპელირებამ „იმ“ 9 წელიწადზე ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნებზე „იმუშავა“. და მომავალ არჩევნებზე მხოლოდ „თორემ მიშა მოვა“ აღარ გაჭრის ამომრჩევლის მოსაზიდად. ხელისუფლებაში ყოფნის 7 წლის განმავლობაში ქოცებმა დაგვიმტკიცეს, რომ „ქართული ოცნება“, საგარეო თუ საშინაო მიმართულებით, სულაც არ ყოფილა ქართველთა ოცნება და აქედან გამომდინარეა ქოცების რეიტინგის კატასტროფული დაცემა.**

**ერთადერთი, მთავარი პროდასავლური ოპოზიციური ძალა თუ პარტია — აი იარლიყები თუ ტიტულები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებასთან“ ჭიდილში გამანადგურებელი მარცხის შემდეგ მიიწება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობად“ წოდებულმა პარტიამ.**



# «ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვტირი მე...»



თუმცა ეს იარლიყები თუ ტიტულები თვითონ კი არ მიიწებეს ნაცებმა, ჩვენმა „მეგობარმა” დასავლეთმა (წაიკითხე, აშშ) მიაწება და **ქართველთა სისხლსა და ცრემლში გათხვრილ და, აქედან გამომდინარე, ქართველთა საძულველ მიშ-ნაც ფაშისტებს „ჩვენმა მეგობრებმა” ყალბი 40% დაუწერეს და სოლიდური წარმომადგენლობით დასვეს პარლამენტში, სადაც „ქართულ ოცნებას“ „ნაცმოძრაობასთან” ე.წ. კოჰაბიტაცია აიძულეს. ზემოთ ნახსენები გამანადგურებელი მარცხი მთავარი ოპოზიციური ძალის ტიტულითა თუ იარლიყით შეუცვალეს ქართველთმოძულე მიშნაცებს ჩვენმა „მეგობრებმა“ და ამ ამაზრზენი სურათის ფონზე ვცხოვრობთ ბოლო 7 წელიწადია.** ერთადერთი განსხვავება ნაცების 9 წელიწადსა და ქოცების 7 წელიწადს შორის არის ის, რომ ქუჩებში აღარ გვხოცავენ და ციხეებში აღარ გვაწამებ-გვაუპატიურებენ. ეს ნამდვილად არ არის ცოტა — არაერთხელ აღმინიშნავს და ახლაც გავიმეორებ: ვერავინ და ვერაფერი ვერ მათქმევინებს იმას, რომ ნაცების 9 წელი ქოცების 7-ს სჯობდა, მაგრამ, რომ იტყვიან, ყველაფერს აქვს დასასრული — **ქოცების მუდმივმა აპელირებამ „იმ” 9 წელიწადზე ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნებზე „იმუშავა”. მომავალ არჩევნებზე მხოლოდ „თორემ მიშა მოვა“ აღარ გაჭრის ამომრჩევლის მოსაზიდად.** ხელისუფლებაში ყოფნის 7 წლის განმავლობაში ქოცებმა დაგვიმტკიცეს, რომ „ქართული ოცნება“, საგარეო თუ საშინაო მიმართულებით, სულაც არ ყოფილა ქართველთა ოცნება და აქედან გამომდინარეა ქოცების რეიტინგის კატასტროფული დაცემაც.

**ქართველი საზოგადოების ერთადერთი ნუგეში ამ „კატასტროფის“ მიმართ არის ის, რომ, მიუხედავად ნაცებისადმი ჩვენი დასავლეთელი „მეგობრების“ აშკარა თუ ფარული მხარდაჭერისა, ქოცების რეიტინგის დაცემა, საბედნიეროდ, არ ნიშნავს ნაცების რეიტინგის ავტომატურ მატებას** — „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განაყოფი „ევროპული საქართველო“, დიდი ხანია, პოლიტიკური პარტიები კი არა, ლიბერასტული დასავლეთიდან (აშშ) დაფინანსებულ-მართული სექტებია და მათი რეალური რეიტინგი, ერთად თუ ცალ-ცალკე, „ქართული ოცნების“ რეიტინგზე გაცილებით ნაკლებია. რაც შეეხება ოპოზიციურობაზე პრეტენზიის მქონე სხვა პარტიებს: მათი საარჩევნო „მიღწევები“, როგორც წესი, დიდი-დიდი ორი პროცენტია ხოლმე და ნულოვანი ბარიერის პირობებში 2-3 სადეპუტატო მანდატს, ალბათ, აიღებენ. ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაზე, რომელის ერთ-ერთი ვარსკვლავი ვინმე **მაჭუტაძეა,** ხოლო პრიმადონა — „პუბლიცისტკა“ **თაკო ჩარკვიანი,** ლაპარაკიც არ ღირს. როგორც ცნობილია, მომავალ არჩევნებზე ბლოკების შექმნა გამორიცხულია და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციიდან ე.წ. პარავოზის გარეშე დარჩენილი პარტიები რა ჩიტსაც დაიჭერენ, ვნახავთ...

ამთავითვე ადვილი სავარაუდოა, რომ ქოცები აბსოლუტური უმრავლესობით ვეღარ შევლენ პარლამენტში, მაგრამ, დიდი ალბათობით, უბრალო უმრავლესობას შეინარჩუნებენ. აქედან გამომდინარე, დანარჩენ სუბიექტთა შორის ბრძოლა მეორე ადგილისთვის, გნებავთ ნაცების მიერ მითვისებული მთავარი ოპოზიციური პარტიის იარლიყისთვის გაჩაღდება...

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ თავისი მწირი შესაძლებლობების ფარგლებში პირველმა დაიწყო ე.წ. რეალპოლიტიკის კეთება და, მიუხედავად საქართველოს პოლიტიკური ელიტის რუსოფობიისა, რუს პარლამენტარებთან გამართა მოლაპარაკებები, რომლებსაც უკვე ამ ზაფხულს უნდა მოეტანა პირველი რეალური შედეგი რუსეთთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის სახით. მაგრამ სწორედ მთავარი რუსოფობიური ძალების („ნაცმოძრაობისა“ და მისი განშტოების — „ევროპული საქართველოს“) მიერ მოწყობილი პროვოკაციის შედეგად, რომელიც ე.წ. გავრილოვის ღამის სახელით შევიდა ისტორიაში, „პატრიოტთა ალიანსის“ ზემოთ ხსენებული შრომა წყალში გადაიყარა...

რუსეთთან ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვის საქმეს ემსახურებოდა თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში გამართული ე.წ. მაკეინის ფონდის სემინარი თუ კონფერენცია, რომელზეც მიიწვიეს აშშ-ის ყოფილი მაღალი თანამდებობების პირები და დღეს პრეზიდენტ ტრამპის არათუ, უბრალოდ, ოპოზიცია, არამედ გაცხადებული მტრები: **მეთიუ ბრაიზა** — გიგა ბოკერიას ძმაკაცი, რომლის საქართველოში მუშაობისას საშინელებები ხდებოდა; აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში და სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი „გამპრავებელი“ **ჯონ ტეფტი**, ვიღაც ექსპერტი **დევიდ კრამერი** და ნატოს ყოფილი გენმდივანი **ანდერს ფოგ რასმუსენი.** სწორედ რასმუსენმა „შემოაგდო” ნატოში საქართველოს ინტეგრაციის ახალი სქემა, რომელიც, პრაქტიკულად, სოხუმ-ცხინვალზე სამუდამო უარის თქმას ნიშნავს...

ზემოჩამოთვლილ ადამიანებს მოქმედ რუსოფობ პოლიტიკოსებთან ერთად მასპინძლობდნენ ისეთი “გუშინდელნიც”, როგორებიც არიან **ალექსი პეტრიაშვილი** და **დავით ბერძენიშვილი.** ხოლო გიგა ბოკერია და პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ**

**ამერიკელ სტუმრებს მოქმედ რუსოფობ პოლიტიკოსებთან ერთად მასპინძლობდნენ ისეთი «გუშინდელნიც», როგორებიც არიან ალექსი პეტრიაშვილი და დავით ბერძენიშვილი. ხოლო გიგა ბოკერია და პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ისე შესცინცინებდნენ ერთმანეთს თვალებში, რომ ამის შემხედვარეს ეჭვი შემეპარა პრემიერ გიორგი გახარიას დაპირებაში, რომ ნაციონალებს დაამთავრებს...**

**თალაკვაძე** ისე შესცინცინებდნენ ერთმანეთს თვალებში, რომ ამის შემხედვარეს ეჭვი შემეპარა პრემიერ **გიორგი გახარიას** დაპირებაში, რომ ნაციონალებს დაამთავრებს...

ერთადერთი, ვინც „დაავიწყდათ“, „პატრიოტთა ალიანსის“ გენმდივანი და პარლამენტის ვიცესპიკერი ირმა ინაშვილი იყო, რომელიც, მისივე თქმით, სულაც არ დარდობდა იქ არმიწვევას და არც მივიდოდა, რომ არა გიგა ბოკერიას ტყუილებით გაჯერებული ხანგრძლივი მონოლოგი „პატრიოტთა ალიანსის“ პრორუსულობის შესახებ. ბევრს არ გავაგრძელებ ინციდენტზე ლაპარაკს, რომელიც კონფერენციაზე მოხდა, რადგან ის ამაზრზენი კადრები სრულიად საქართველომ იხილა, მაგრამ ვიტყვი: **უკაცრავად და, ვინ მიგდია ვიღაც ექსპერტი დევიდ კრამერი, რომელსაც დაავიწყდა, რომ სტუმარი იყო და არა მასპინძელი; თუმცა, რა დაავიწყდებოდა, რაც არ იცოდა, იანკები ხომ, როგორც წესი, სტუმრად კი არა, მასპინძლად გრძნობენ თავს და უფრო მეტიც, დირექტორობენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში?!** ჰოდა, ეს ნაძირალა ჯერ ხელით შეეხო, პარლამენტის ვიცესპიკერობას თავი რომ დავანებოთ, პირველ რიგში, ქალს და მისი გათრევა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მოითხოვა დარბაზიდან. მაგრამ ამაზე სამწუხარო იყო ის, რომ ვერც ერთმა იქ მყოფმა ქართველმა პოლიტიკოსმა ვერ გაბედა ქალბატონის დასაცავად ხმის ამოღება. აშშ-ის ელჩები, საერთოდ, „ცარსკი ნამესტნიკებად“ მიიჩნევენ თავს, მაგრამ რომელი მეფის ნაცვალი ან ცეკას მდივანი მისცემდა თავს იმის უფლებას, რასაც ამერიკის ელჩები აძლევენ?..

ერთმა ბალტიისპირელმა ისიც კი გაბედა, რომ ირმა ინაშვილს დაემუქრა — მოგიწევთ ბოკერიას შეყვარებაო...

**ერთი სასიამოვნო რამ მაინც მომხდარა — ქალბატონ ირმას ნაამბობის მიხედვით, მას ამ შეხლა-შემოხლის დროს ვიღაც უცნობმა ქართულად მიმართა: ქალბატონო ირმა, ეგენი (ბრაიზები, კრამერები ტეფტები — დ.მ.) არ არიან ამერიკა, ნამდვილი ამერიკა თქვენი მეგობარიაო**

თუმცა, ერთი სასიამოვნო რამ მაინც მომხდარა — ქალბატონ ირმას ნაამბობის მიხედვით, მას ამ შეხლა-შემოხლის დროს ვიღაც უცნობმა ქართულად მიმართა: ქალბატონო ირმა, ეგენი (ბრაიზები, კრამერები ტეფტები — დ.მ.) არ არიან ამერიკა, ნამდვილი ამერიკა თქვენი მეგობარიაო. სამწუხაროდ, ქალბატონმა ირმამ არ გაამხილა იმ ქართველის ვინაობა. მითხრა მხოლოდ ის, რომ ის კაცი პრეზიდენტ ტრამპის წარმომადგენელი ყოფილა და ამ სკანდალის შესახებ აუცილებლად მოახსენებს დონალდ ტრამპს.

15 სექტემბერს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ერთ დაძახილზე, სულ ცოტა, 15 ათასი მომიტინგე მივიდა აშშ-ის საელჩოდ წოდებულ ქაჯეთის ციხესავით მიუდგომელ კრაზანების ბუდესთან.

ვიდექი ამ ხნის კაცი მომიტინგეთა შორის და სიჭაბუკე მახსენდებოდა — როგორ „აფანატებდა“ საბჭოთა „ჯოჯოხეთში“ მცხოვრები ჩემი თაობა „თავისუფალ ამერიკაზე“ და ყველაფერ ამერიკულზე, რომელსაც სანუკვარი made in USA ეწერა. ახლა კი ვუსმენდი „პატრიოტთა“ მოთხოვნების ჩამონათვალს: შეწყვიტეთ მწამებლების — სააკაშვილ-ბოკერიების მხარდაჭერა! არ გვინდა ნატო, გვინდა სამხედრო მიუმხრობლობა! გვინდა პირდაპირი დიალოგი მოსკოვთან, სოხუმთან, ცხინვალთან! არ გვინდა ლგბტ და ა.შ. ამ ყველაფრის შემხედვარეს უკვდავი აკაკის სიტყვები გამახსენდა; „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვტირი მე“...

იანკებო! ჩვენში იტყვიან, ეს ერთი და სხვა მრავალიო და ამიტომ გახსოვდეთ: საქართველო არც პანამაა და მით უმეტეს, გრენადა. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც თქვენს სახელმწიფოზე უფროსი მუხა თუ კაკალი ყოველი მეორე გლეხის ეზოში დგას.

**დავით მხეიძე**

**„20 ივნისის ღამეს შტურმით აპირებდნენ პარლამენტში შესვლას, მაგრამ ამჯერადაც არ დაუკითხავთ ბოკერია. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, ეს ადამიანი იმიტომ ბედავს ამდენს, რომ 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილე იყო, ავანგარდში იდგა და მაშინაც შერჩა. 2003 წლის გადატრიალებას კი მოჰყვა ასობით ადამიანის ჩახოცვა ქუჩებში, გაუპატიურება ციხეებში, ყველაფერი ის, რასაც ჩვენ სისხლიანი რეჟიმის ნამოქმედარს ვეძახით“.**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნანა კაკაბაძე:

# როდესაც ევროპელები ბოკერიას შეყვარებისკენ მოგვიწოდებენ, დამნაშავეები იქ კი არა, აქ, ადგილზე, უნდა ვეძებოთ

**„მოგიწევთ ბოკერიას შეყვარება... მე რასაც ვუსმენ, ბოკერია არ არის თქვენი საუკეთესო მეგობარი. თქვენ მოგიწევთ მისი შეყვარება. ჩვენ სწორედ ეს ვისწავლეთ ლიეტუვაში. შეიძლება ჩვენგან განსხვავებულები იყოთ, განსხვავებული შეხედულებები გქონდეთ, მაგრამ, თუ გსურთ, ამ ადამიანების დარწმუნება სტრატეგიულ, ეროვნულ მიზნებში, მაშინ სასურველია, დარჩეთ ბოკერიასთან მანამ, სანამ არ შეხვალთ ევროკავშირსა და ნატოში, მერე იჩხუბეთ რამდენიც გინდათ. არ უნდა გააკეთოთ ის, რაც გააკეთეთ“, — ასე მიმართა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერსა და ქვეყნის ვიცესპიკერ ირმა ინაშვილს ლიეტუვის პარლამენტის წევრმა ზიგმანტას პავილიონისმა თბილისში, მაკკეინის ინსტიტუტის ორგანიზებით მიმდინარე კონფერენციაზე.**
**რატომ გვავალდებულებენ ევროპელი „პარტნიორები“ გიგა ბოკერიას შეყვარებას და შესაძლებელია თუ არა, რომ ქართველმა ხალხმა გიგა ბოკერია შეიყვაროს? შევეცადეთ, ადამიანის უფლებათა დამცველ ნანა კაკაბაძესთან ერთად გადაგვეხედა უახლესი წარსულისთვის და საზოგადოებისთვის შეგვეხსენებინა გიგა ბიკერიას „საქმენი საგმირონი“.**

— სანამ დავიწყებ საუბარს, ვინ არის გიგა ბოკერია, მკითხველს ვეტყვი, რატომ გვავალდებულებენ ევროპელები გიგა ბოკერიას შეყვარებას.

ევროპელების განცხადება, რომ ჩვენ მოგვიწევს ბოკერიას შეყვარება, ლოგიკურია, რადგან, **უკვე მერვე წელიწადია, საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, გიგა ბოკერია და სხვა დამნაშავეები კი დღემდე არ გასამართლებულან. რვა წლის განმავლობაში გიგა ბოკერია არავის დაუკითხავს სისხლის სამართლის საქმის დანაშაულზე, ამიტომ, ბუნებრივია, ევროპელებს უჩნდებათ განცდა, რომ ამ ადამიანს უსამართლოდ დევნიან. ევროპელებს არ აინტერესებთ, რა ხდება საქართველოში, ისინი საუბრობენ იმაზე, რასაც ხედავენ. ის ძალები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ დასავლეთთან, ვგულისხმობ ნაციონალებს, კარგად იყენებენ ხელისუფლების უმოქმედობას, უუნარობას, როგორც თავადვე დაარქვეს, და ევროპელებიც მათ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობიან.** ვერ ვიტყვი, რომ მთელი ევროპა ნაციონალების მხარდამჭერია, მაგრამ, ვინც არის, მათ სჯერათ. როდესაც ევროპელები მოგვიწოდებენ ბოკერიას შეყვარებისკენ, დამნაშავეები იქ კი არა, აქ, ადგილზე, უნდა ვეძებოთ.

ბოკერია არ დაუსჯიათ, პროკურატურაში არც კი დაუკითხავთ, ამიტომ უცხოელებს არ აქვთ მიზეზი იმისა, რომ ბოკერიაზე ცუდი თქვან.

**— რატომ უნდა დასჯილიყო ან დაკითხულიყო გიგა ბოკერია?**

— დავიწყებ **ბიძინა ივანიშვილის** განცხადებით, რომელმაც თქვა: როდესაც გიგა ბოკერია იყო უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, ამ ორგანიზაციას გაფლანგული აქვს რამდენიმე მილიონი, რომ ბოკერიას ეს თანხები უკანონოდ აქვს გადარიცხული ამერიკაში ლობისტური კომპანიებისთვის. ეს ივანიშვილის სიტყვებია. თქვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ მე ვიყავი **სულხან მოლაშვილის** წამების პირველი მოწმე, უფრო ზუსტად, მე აღმოვაჩინე მისი წამების ფაქტები, **პირადად ვნახე ნაწამები სულხან მოლაშვილი, რომელმაც პირდაპირ დაადო ხელი გიგა ბოკერიას და განაცხადა, რომ ის მონაწილეობდა მის წამებაში, ასევე ყვებოდა იმას, როგორ ამოიცნო ბოკერიას ხმა თვალახვეულმაც კი. სულხან მოლაშვილი კატეგორიულად მოითხოვდა გამოძიების დაწყებას მისი წამების საქმეზე, მაგრამ ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ სამართალი ვერ იპოვა.** საქმე აღძრული იყო არა ბოკერიასა და მწამებლების წინააღმდეგ, არამედ უფლებამოსილების გადამეტებაზე. აქვე მინდა მკითხველს ვუთხრა, რომ სტრასბურგის მოთხოვნაც წამების ფაქტის გამოძიება იყო. გავიხსენებ ე.წ. ციხის ბუნტის საქმეს, რომელზეც საჯაროდ საუბრობდა გიგა ბოკერიას გუნდის წევრი **ელენე თევდორაძე. მან, როგორც კი გამოვიდა ციხიდან, მაშინვე განაცხადა და შემდეგ უკვე სხვადასხვა მედიასაშუალებასთანაც ისაუბრა, რომ გიგა ბოკერიამ გასცა სროლის ბრძანება ბაჩო ახალაიას კაბინეტში, რასაც უდანაშაულო პატიმრების დახვრიტა მოჰყვა.** ეს საქმეც არ გამოუძიებიათ, საქმე აღიძრა, მაგრამ არასწორი მიმართულებით და გიგა ბოკერია დაკითხვაზე არავის დაუბარებია. **ეს არის ბოკერიას მიერ ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც აშკარაა, მაგრამ აქ უკვე არა იმდენად ბოკერიაა დამნაშავე, არამედ პროკურატურა, რომელმაც არანაირი რეაგირება არ მოახდინა და გამოძიება ბოლომდე არ მიიყვანა.** ბოკერიას დანაშაულები შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს და პროკურატურას არ აქვს უფლება, წაუყრუოს; არ ჰქონდათ უფლება, არ დაეკითხათ ბოკერია, მაგრამ არ „შეაწუხეს“. გამოძიება რომ გაგრძელებულიყო, ბოკერიას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. წარსულზე საუბრით რომ არ შემოვიფარგლოთ, აგერ ახლა, **20 ივნისის ღამეს, შტურმით აპირებდნენ პარლამენტში შესვლას, მაგრამ ამჯერადაც არ დაუკითხავთ ბოკერია. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, იმიტომ ბედავს ამდენს ეს ადამიანი, რომ 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილე იყო, ავანგარდში იდგა და მაშინც შერჩა. 2003 წლის გადატრიალებას კი მოჰყვა ასობით ადამიანის ჩახოცვა ქუჩებში, გაუპატიურება ციხეებში, ყველაფერი ის, რასაც ჩვენ სისხლიანი რეჟიმის ნამოქმედარს ვეძახით.**

ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლას, გიგა ბოკერიას აქტიურობით მოჰყვა დემოკრატიის ნიშნების გაქრობა ჩვენს ქვეყანაში. 2003 წლის გადატრიალების შემდეგ საქართველო პირველ ადგილზე იყო პატიმართა რაოდენობით, ციხეებში დაღუპულთა რაოდენობით, იყო წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობა, რაც ომშიც კი აკრძალულია, თვალთვალი, მიყურადება... რომელი ერთი ჩამოვთვალო. და ეს ყველაფერი „ვარდების რევოლუციიის“ შემდეგ ხდებოდა, მაგრამ დღემდე ამაზე არავინ საუბრობს, არავინ იძიებს იმჟამინდელი სახელმწიფო გადატრიალების დანაშაულებრივ ფაქტებს. **„ქართულმა ოცნებამ“ არაფერს არ დაარქვა თავისი სახელი; არ თქვა, რა მოჰყვა 2003 წლის გადატრიალებას და რომ ყოვლად დაუშვებელია, „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს პოლიტიკაში, თანაც ასე აქტიურად. „ოცნებას“ მათთვის პოლიტიკური საქმიანობა საერთოდ უნდა აეკრძალა. აქედან გამომდინარე, ვიტყვი: გიგა ბოკერია თავისი ფეხით არ წავა ციხეში, ამის სურვილიც რომც გაუჩნდეს, მსგავს რამეს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.**

გიგა ბოკერიას „შეყვარების აუცილებლობა“ მოქმედი ხელისუფლების ფესვებში უნდა ვეძებოთ და არა ევროპელების განცხადებებში.

**— რატომ ატარებს ასეთ პოლიტიკას მოქმედი ხელისუფლება, მართლა უნიათოები არიან თუ ვინმეს და რამის წინააღმდეგ ვერ მიდიან?**

— არსებობს მითი, რომ დასავლეთი ზემოქმედებს და მე ეს მჯერა. ვიცი, კარგი კავშირები აქვს **ლევან რამიშვილს** ევროპა-ამერიკასთან და გიგა ბოკერიასაც, მაგრამ ეს არ არის გამართლება, ბოკერია კრიმინალია და მას მხარს არავინ უნდა უჭერდეს.

**— თუკი ქართული მხარე ევროპელებსა და ამერიკელებს ფაქტებით გამყარებულ ინფორმაციას მიაწვდის ბოკერიასა და, საერთოდ, ნაციონალების „შავ“ საქმეებზე, მაინც მოახერხებენ თავისი გავლენის გამოყენებას რამიშვილები, ბოკერიები და ა.შ.?**

— თუკი დადებენ გამოძიებულ საქმეებს, ვერავინ გაბედავს მათ დაცვას, როგორი ანგაჟირებულიც უნდა იყოს ზოგიერთი ევროპაში. უნდა გამოაქვეყნოს ქართულმა მხარემ გამოძიებული კონკრეტული საქმეები და ხმას ვეღარავინ ამოიღებს.

**— ბოკერიას საქმეებზე ხანდაზმულობის ვადები ხომ არ არის ამოწურული?**

— ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებზე ჩვენი ოფისიდან 2 ათასზე მეტი ჩვენება აქვთ გამომძიებლებს მიღებული. თუკი საქმეს პატიმარი არ ჰყავს, ამ საქმეს ვადაც არ აქვს. ასე რომ, გამოძიება დაწყებულია და შეუძლიათ გამოძიება ბოლომდე მიიყვანონ. **დაზარალებულები ჩვენებებს ჩვენს ოფისში იძლეოდნენ, რადგან ეშინოდათ პირდაპირ პროკურატურაში მისვლის, იქ ისევ ძველი კადრები მუშაობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მოწმეებს პროკურატურიდან ურეკავდნენ და ქვეყნიდან გააქციეს, მათ აშინებდნენ. ეს მაშინ მოხდა, როცა პროკურატურას კბილაშვილი და ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობდნენ.**

ჩვენ 2004-2006 წლებში ჩადენილი წამების ფაქტებიც (437 წამების ფაქტი) გვქონდა და ის დოკუმენტებიც გადავეცით პროკურატურას.

**— დღეს რა ვითარებაა პროკურატურაში, შეიცვალა კადრები?**

— რამე რომ შეცვლილიყო, ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე მივიდოდა. **გამოძიება რომ ეწარმოებინათ, ბევრი პოლიტიკური ფიგურა პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებოდა. მათ შორის ისინიც, ვინც ნაწამებ პოლიტიკოსებზე ხმას არ იღებდა და ღირსების შემლახავ ქმედებებზე თვალს ხუჭავდა.**

ხელისუფლება რომ შეიცვალა, სპორტის სასახლეში დიდი შეხვედრა შედგა, სადაც ყველა ნაწამები ადამიანი, რომლებიც კი რეჟიმს გადაურჩნენ, მოითხოვდა ნაციონალების გასამართლებას, მაგრამ მოთხოვნა ყურად არ იღეს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბოკერიას შეყვარებას ითხოვენ უცხოელები. ბოკერია სულ უცხო გარემოშიც რომ მივიდეს და თქვას, რომ ოპოზიციაშია და ამიტომ ატერორებენ, მის დაჭერას ითხოვენ საქართველოში, გამართლდება, რადგან უცხოელები იტყვიან: თუკი დასაჭერი იყო, დაეჭირათ და, თუკი არ იჭერენ, მაშინ ჩაგრავენო.

**— ქალბატონო ნანა, ბევრი მტერი გაიჩინა ახალმა პრემიერმინისტრმა, ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ 20 ივნისის ღამის შემდეგ. მას ძალის გადამეტებაში ადანაშაულებენ. როგორ ფიქრობთ, იყო იმ ღამეს ძალის გადამეტება?**

— საქართველოში, გარდა იმისა, რომ უვარგისი პოლიტიკოსები არიან, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროც სრულიად დანაგვიანებულია. ჩვენს ქვეყანაში უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები ისე არიან ფესვგადგმული, სამშობიაროშიც კი ექიმი ქალს არ ამშობიარებს, სანამ ესენი დასტურს არ იტყვიან...

**ანგაჟირებული, ყოვლად უვიცი ადამიანები ცდილობენ ახლა ადამიანის უფლებების დაცვას, ცდილობენ პოლიტიკაში ჩარევას, ისინი ლაპარაკობენ და მათ ნათქვამს უსმენს ყველა, ისინი სხედან სამინისტროებშიც. მათი შეფასებები ე.წ. გავრილოვის ღამეზე მიკერძოებულია. აუცილებელია, სასწრაფოდ დაიწყონ ყველა არასამთავრობოს ფინანსური შემოწმება და გაარკვიონ, საიდან აფინანსებენ პოლიტიკურ აქციებს...** იმ ღამეს გავრილოვი არაფერ შუაში არ იყო, ეს იყო ძალადობა პოლიციაზე და სახელმწიფო ინსტიტუტზე თავდასხმის მცდელობა. იქ იყვნენ, ერთი მხრივ, დამნაშავეები და, მეორე მხრივ, დაზარალებული პოლიციელები, მაგრამ აქცენტი ამაზე არ კეთდება...

უუნაროა ეს ხელისუფლება და დამნაშავეებიც იქ უნდა ვეძებოთ; სახელმწიფოებრივად არავინ აზროვნებს, ამიტომ ისეთი ტრაგედიაც კი, როგორიც იყო 20 ივნისის ღამე, როცა დაზარალდნენ პოლიციელები, გაშარჟებულია. იმ ღამეს პოლიციამ კანონის ფარგლებში იმოქმედა.

**«ანგაჟირებული, ყოვლად უვიცი ადამიანები ცდილობენ ახლა ადამიანის უფლებების დაცვას... მათი შეფასებები ე.წ. გავრილოვის ღამეზე მიკერძოებულია. იმ ღამეს გავრილოვი არაფერ შუაში არ იყო, ეს იყო ძალადობა პოლიციაზე და სახელმწიფო ინსტიტუტზე თავდასხმის მცდელობა. იქ იყვნენ, ერთი მხრივ, დამნაშავეები და, მეორე მხრივ, დაზარალებული პოლიციელები, მაგრამ აქცენტი ამაზე არ კეთდება...»**

ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საკითხავია, რა უფრო შეიძლება აღმოჩნდეს „სიკვდილის კოცნა“, დრომოჭმული, ძირგამომპალი ლიბერასტული კურსის გაგრძელება თუ დიალოგის წარმოება რუსეთთან; დიალოგისა, რომლის გარეშე დღეს თვითონ „დემოკრატიულ“ დასავლეთსაც ვერ წარმოუდგენია კონტინენტზე მშვიდობა და სტაბილურობა. აკი, ამასწინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმაც განაცხადა, რომ მოსკოვთან დიალოგის გარეშე ევროპის კონტინენტზე მშვიდობა ვერ იქნებაო...“**



# ლევან ჩაჩუა: საქართველოს მართავს არასრულფასოვნების სინდრომით დაკომპლექსებული პოლიტიკური ისტებლიშმენტი

**თბილისში ვიზიტით მყოფმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა მაღალჩინოსანმა მეთიუ ბრაიზამ მედიასთან საუბარში გიორგი გახარიას გაპრემიერების შესახებ მოსკოვში გაკეთებული პოზიტიური განცხადებები „სიკვდილის კოცნას“ შეადარა და აღნიშნა, რომ „საქართველოში პოლიტიკოსის პოლიტიკური სიჯანსაღისთვის ცუდია, როდესაც რუსეთი ამბობს, რომ ის კარგი პირი იქნება პირდაპირი დიალოგის წარმართვისთვის“. მისი შეფასებით, იმ დროს, როცა ორ ქვეყანას შორის უკიდურესად დაძაბული ვითარებაა, მსგავსი განცხადებები კონკრეტული ლიდერის სანდოობას რთულს ან შეუძლებელს ხდის და საზოგადოებაში მისდამი ეჭვებს აჩენს, რაც რუსეთის მხრიდან, შესაძლოა, საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დესტაბილიზაციას ისახავდეს მიზნად: „საზოგადოდ, ვფიქრობ, რომ აქ, საქართველოში, პოლიტიკოსის პოლიტიკური სიჯანსაღისთვის ცუდია, როდესაც რუსეთი ამბობს, რომ ის კარგი პირი იქნება პირდაპირი დიალოგის წარმართვისთვის. ეს უამრავ ეჭვს აჩენს ამ პოლიტიკურ ლიდერზე და მის სანდოობას რთულს ან შეუძლებელს ხდის. მსგავსი განცხადება შეიძლება სიკვდილის კოცნა იყოს...“**

**«ევროპა მიხვდა, რომ არც საქართველო და არც უკრაინა არ ულირს რუსეთთან დაპირისპირებად. ზუსტად ამიტომ გააუქმეს ამასწინათ ყირიმის მოვლენების შემდეგ დაწესებული სანქციები და, ფაქტობრივად, დაივიწყეს ეს თემა. ახლა ჩნდება კითხვა: თუ დასავლეთმა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ყირიმის საკითხი დათმო, ცხინვალისა და სოხუმის დასაცავად წავა რამე კონფრონტაციაზე რუსეთთან?»**

ბრაიზამ ისიც აღნიშნა, რომ დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბევრია „ჯანსაღი ძალაც“, რომლებიც, ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, მყარად ინარჩუნებენ პროდასავლურ კურსს და ქვეყნის ევროატლანტიკური განვითარების გარანტებად რჩებიან...

შეგახსენებთ, რომ **მეთიუ ბრაიზა**, აწ გარდაცვლილ **ჯონ მაკეინთან, ჯეიმს აპატურაისთან, დევიდ კრამერთან, ჯონ ბასთან** და სხვებთან ერთად, რომლებიც საქართველოში ლიბერალური ისტებლიშმენტის მთავარ ლობისტურ ძალას წარმოადგენდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბილისსა და მოსკოვს შორის პირდაპირი დიალოგის იდეას ყოველთვის მწვავედ აკრიტიკებდა. მისი ლოგიკა, ისევე, როგორც კრამერის (და კიდევ სხვა უამრავი აგრესიული ლიბერალის), მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთთან რიტორიკის შერბილება არ შეიძლება, რომ კრემლის მესვეურებს მხოლოდ ძალის ენა ესმით და ა.შ.

რაც შეეხება დასავლეთის ოფიციალურ პოზიციას, რომელიც ამას წინათ დიდი შვიდიანის სამიტზეც ნათლად გამოხატეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დონალდ ტრამპი, ემანუელ მაკრონი და ანგელა მერკელი უკვე დაუფარავად საუბრობენ რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე, აშკარაა, რომ მეთიუ ბრაიზაც, კრამერიც და ყველა დანარჩენი მკვეთრი ანტირუსული განწყობების მქონე მაღალჩინოსანი აცდენილი არიან თანამედროვე დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების დეკლარირებულ პოლიტიკას.

რას ნიშნავს ბრაიზას შეფასება, რომ კრემლში გაკეთებული პოზიტიური განცხადებები გახარიასთვის, შესაძლოა, „სიკვდილის კოცნა“ აღმოჩნდეს და რა გზავნილია ეს დღევანდელი ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, ამასწინათ მეთიუ ბრაიზამ მედიასთან განაცხადა, რომ ნებისმიერი ქართველი პოლიტიკური ლიდერის სანდოობა და ავტორიტეტი, რომელზეც რუსეთის ხელმძღვანელობა იტყვის, რომ მასთან პირდაპირი დიალოგის წარმართვა შეიძლება, ყოველთვის სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. მსგავსი განცხადება, შესაძლოა, „სიკვდილის კოცნა“ აღმოჩნდეს და რეალურად იგი საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში დესტაბილიზაციის პროვოცირებაზე იყოს გათვლილი. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რაც აქამდეც არაერთხელ მითქვამს: რუსეთთან დიალოგი აუცილებელია და, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია, ეს დიალოგი უნდა წარიმართოს ე.წ. დასავლელი პარტნიორების ზედამხედველობისა და მეურვეობის გარეშე. ჩვენ ყოველგვარი შუამავლების გარეშე უნდა დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და თითოეული საკითხი, იქნება ეს ტერიტორიული მთლიანობა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თუ სხვა, განვიხილოთ.

რაც შეეხება კონკრეტულ განცხადებას, რომ თურმე რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან დიალოგი ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერისთვის „სიკვდილის კოცნა“ აღმოჩნდება, არა მგონია, ბრაიზამ ყურმოკვრით მაინც არ იცოდეს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ „ქართულ ოცნებას“ სწორედ იმიტომ დაუჭირა მხარი, რომ ბრაიზასა და სხვა დასავლელი ოდიოზური ფიგურების მიერ ლობირებული კრიმინალური ბანდა — „ნაცმოძრაობა“, გაესამართლებინა და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებით აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს იურისდიქციაში დაებრუნებინა. **ბრაიზას, რასმუსენის, კრამერისა და მომაკვდავი ლიბერასტული ინტერნაციონალის რუპორების მლიქვნელობა უსუსური მცდელობაა ამ ძალების მიერ საქართველოში გავლენის შენარჩუნებისა.** ბოლო პერიოდში დასავლეთში დაწყებულმა ანტილიბერალურმა მოძრაობებმა გააშიშვლა ნეოლიბერალური ტირანია და **საკითხავია, რა უფრო შეიძლება აღმოჩნდეს „სიკვდილის კოცნა“: დრომოჭმული, ძირგამომპალი ლიბერასტული კურსის გაგრძელება თუ დიალოგის წარმოება რუსეთთან; დიალოგისა, რომლის გარეშე დღეს თვითონ „დემოკრატიულ“ დასავლეთსაც ვერ წარმოუდგენია კონტინენტზე მშვიდობა და სტაბილურობა. აკი, ამასწინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმაც განაცხადა, რომ მოსკოვთან დიალოგის გარეშე ევროპის კონტინენტზე მშვიდობა ვერ იქნებაო... დღევანდელი ჩვენი რეალობა სწორედ ის მოცემულობაა, როცა ამა თუ იმ პოლიტიკოსისა და პოლიტიკური გუნდის ეფექტიანობა სწორედ რუსეთთან დიალოგის შესაძლებლობით შეიძლება განისაზღვროს.** რაც შეეხება ბრაიზებსა და კრამერებს, რომლებიც გვეუბნებიან, რომ რუსეთს მხოლოდ ძალის ენა ესმის, ამგვარი მზაკვრული წაქეზებით მათ თავის დროზე სააკაშვილი იქამდე მიიყვანეს, რომ მძინარე ცხინვალი დაუბომბინეს. ახლა არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს, რუსეთმა შეძლო ამ ყველაფრის პროვოცირება და ესენი წამოეგნენ თუ სხვანაირად იყო. ამ რიტორიკისა და მასზე აწყობილი პოლიტიკის შედეგი დამანგრეველია, — ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოცი პროცენტი დაკარგულია. **ისე, საინტერესოა, რას გვპირდებიან მიშას მეგობარი ბრაიზები და კრამერები, როცა რუსეთზე ზეწოლის გაძლიერებისკენ მოგვიწოდებენ და გვმოძღვრავენ, რომ დიალოგზე ფიქრიც კი არ გავბედოთ?!**

**— ალბათ, დასავლეთის მხარდაჭერასა და სანქციების გამკაცრებას ან არსებული სანქციების გაგრძელებას გულისხმობენ, როცა კრემლზე ზეწოლაზეა საუბარი. ეს არ იქნება ეფექტიანი?**

— ჩემი აზრით, ბოლო წლებში უკვე დამტკიცდა, რომ ვერანაირი სანქციები, ვერანაირი პრესინგი თუ დიპლომატიური ზემოქმედება კრემლზე იმ შედეგს ვერ მოიტანს, რომელიც დასავლეთს უნდა. ეს ერთი. მეორე — ევროპა მიხვდა, რომ არც საქართველო და არც უკრაინა არ ულირს რუსეთთან დაპირისპირებად, რადგან ამით მხოლოდ რუსეთი კი არ ზარალდება, თვითონაც არანაკლებ დიდ დარტყმას იღებს. განსაკუთრებით ეს ეხება ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა, მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, იტალია... აი, ზუსტად ამიტომ გააუქმეს ამასწინათ ყირიმის მოვლენების შემდეგ დაწესებული სანქციები და, ფაქტობრივად, დაივიწყეს ეს თემა. ახლა ჩნდება კითხვა: **თუ დასავლეთმა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ყირიმის საკითხი დათმო, ცხინვალისა და სოხუმის დასაცავად წავა რამე კონფრონტაციაზე რუსეთთან?**

თუმცა აქ კიდევ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი: როდესაც ვსაუბრობთ ბრაიზას, კრამერისა და სხვა მსგავსი წამქეზებელი პოლიტიკოსების განცხადებებზე, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ეს ადამიანები აბსოლუტურად აცდენილნი არიან თავიანთი ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების დეკლარირებულ პოლიტიკას. ერთია მათი განცხადებები კრემლთან დიალოგის უპერსპექტივობაზე და მეორე — ტრამპის, მაკრონის, მერკელისა და სხვათა პოზიცია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის მონაწილეობის გარეშე არც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, იქნება ეს ირანის თემა, სირია თუ ჩრდილოეთი კორეა, მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს.

**— მიუხედავად იმ ძირეული გარდაქმნებისა, რომლებიც დასავლურ პოლიტიკურ დღის წესრიგშია, საქართველოს ხელისუფლება რატომ რჩება ძველი იდეოლოგიური დისკურსის გამტარებლად?**

— ჩვენი დღევანდელი პოლიტელიტა — ქოცები და ნაცები, თავიანთი სატელიტებით ძველ, მარგინალურ სისტემას ეკუთვნიან. მათი ძალაუფლების გარანტორი, მათი მფარველი და პოლიტიკური ლეგიტიმაციის მიმნიჭებელი დღესაც არის ის სისტემა. ასე რომ, ბუნებრივია, მათ ამ ჭაობიდან ამოსვლა უჭირთ. ეს არის მიზეზი იმისა, რომ **თავიანთ ქვეყანაში ჩამოწერილი ვიღაც ბრაიზები და კრამერები, რომლებიც საქართველოში „ნაცმოძრაობის“ სისხლიან რეჟიმს ლობირებდნენ, თითის ქნევით გვესაუბრებიან „ოცნების“ ხელისუფლების პირობებშიც, თორემ, ჩვენ ნორმალური ხელისუფლება რომ გვყავდეს, კრამერის განცხადებებისა და დუჟმორეული ღრიალის შემდეგ მასაც და ბრაიზასაც პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებდა, აეროპორტში მიაბრძანებდა და, სანამ ტრაპზე ავიდოდნენ, თითო პანღურსაც უთავაზებდა. მაგრამ ხელისუფლება, რომელსაც ბოკერია ციხის ნაცვლად პარლამენტში უზის და სამართლიანობაზე ალაპარაკებს, რა თქმა უნდა, ამის გამკეთებელი არ არის. სამწუხაროდ, საქართველოს მართავს არასრულფასოვნების სინდრომით დაკომპლექსებული პოლიტიკური ისტებლიშმენტი.**

დღევანდელ საქართველოში ამერიკელს, ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს ყველაფერს უჯერებენ. ასეთი მონური ფსიქოლოგიის ხალხისთვის მისაღებია არა ის, რაც სასარგებლოა საქართველოსთვის, არამედ ის, რასაც საქართველოსთვის სასარგებლოდ უცხოეთში მიიჩნევენ. არ ვამბობ, რომ მსოფლიოს გავლენიან ძალებს ანგარიში არ გავუწიოთ, პირიქით, უნდა გავუწიოთ, რაც ბუნებრივი და აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკა ავანტიურისტულ ხასიათს შეიძენს, უბრალოდ, ქართველ პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს არ აქვს მყარი მსოფლმხედველობა, ეროვნული ღირსება და ისინი მუდამ სხვისი იდეოლოგიური ნასუფრალის შემყურედ რჩებიან. სანამ ამგვარი ცნობიერება იბატონებს, ჩვენს სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს არავინ გაითვალისწინებს!

საერთოდ, **საქართველოში, დიდი ხანია, ნორმად იქცა ის სამარცხვინო პრაქტიკა, რომ, ვისაც ფული აქვს, არჩევნებს ის იგებს, ანუ ის არის ხალხის რჩეული და მას ანდობენ ქვეყნის მართვას. სანამ ეს მავნე პრაქტიკა არ დასრულდება და ხალხი ერთხელ და სამუდამოდ არ მივა დასკვნამდე, რომ, ვისაც ფული აქვს, ის კი არ არის ავტომატურად ქვეყნის მხსნელი და გადამრჩენი, მას კი არ უნდა მივცეთ ძალაუფლება ბრმად, არამედ იმათ, ვისაც სუფთა წარსული აქვს, შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია და რეალურად ძალუძს ქვეყნის ამოყვანა ჭაობიდან. მანამდე სულ ამ მოჯადოებულ წრეზე ვივლით. ერთი ნაძირალა წავა და მეორე მოვა.**

შეცდომის განმეორება უკვე არჩევანია, არჩევანი!

აქედან გამომდინარე, ყველას — სრულიად ერი იქნება თუ ცალკეული პიროვნება — ყოველთვის თავისი არჩევანის შესაბამისად მიეზღვება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**მამუკა ხაზარაძის მიერ ათეული წლების განმავლობაში ნაკვებმა „მწერლებმა“, „პოეტებმა“ და სხვა „ინტელექტუალმა“ წარმონაქმნებმა თავის სატელევიზიო გამოსვლებში დროის 80 პროცენტი იმის მტკიცებას შეალიეს, როგორ მოისყიდა ბიძინა ივანიშვილმა „ინტელიგენციის“ ის ნაწილი, რომელიც ახლა მას უჭერს მხარს, როგორ აჭმევდა მათ და აფინანსებდა წლების განმავლობაში, ხოლო, როცა დასჭირდა, ვალის დაბრუნება ამ სახით მოითხოვა, ანუ პოლიტიკაში მის გვერდით დგომითა და საზოგადოების თვალში მისი „გაპრავებით“.**



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წაიკითხოს მხოლოდ «ინტელექტუალურმა ელიტამ»!

**„არ გამიჭირდება ამ ფრაზის წარმოთქმა!“ — ისე თავდაჯერებულად გვითხრა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერიდან ვინმე თეონა დოლენჯაშვილმა, რომ უნებურად დავიწყე ფიქრი: ნეტავ, თუ მოიძებნება ფრაზა, რომლის წარმოთქმაც გაუჭირდებათ ახალი ქართული სექტის — „მამუკას მოწმეების“ წარმომადგენლებს?**

მართლაც, რაღა უნდა იყოს მოულოდნელი, როდესაც მაყურებელს არნახული უტიფრობით ესაუბრება ქალი, რომელსაც ქართველი საზოგადოების, ალბათ, 10 პროცენტიც კი არ იცნობს და, ვინც იცნობს, ან შემთხვევით წაუკითხავს მისი „შედევრები“, რომლებსაც 90 პროცენტი, უბრალოდ, სისულელეს უწოდებს. სწორედ ეს ქალი ამბობს ფრაზას: **„მამუკა ხაზარაძის გარშემო ვიკრიბებით მთელი საქართველოს ინტელექტუალური ელიტა“** და იქვე ხაზს უსვამს: სულაც არ მიჭირს ამ ფრაზის წარმოთქმაო. ვიცით, ქალბატონო თეონა, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენნაირ უტიფრებსა და უშუბლისძარღვოებს, ამპარტავნებსა და უკიდეგანოდ ამბიციურებს არ უჭირთ ასეთი ფრაზების თქმა. ეს კაცობრიობის დიდი ხნის სენია, როდესაც ცარიელი თავთავი ყველაზე მაღლა ცდილობს თავის აწევას და ამ სენს კაცობრიობა, საუკუნეებია, ვერაფერს უხერხებს.

ძალიან ბევრი ფრაზაა კიდევ ისეთი, თქვენნაირებს მისი წარმოთქმა რომ არ ეხამუშებათ. მაგალითად, თქვენ არ გიჭირთ, საკუთარ თავს „მწერალი“ უწოდოთ და ეს „გააპრავოთ“ იმით, რომ „საბა“ გაქვთ თურმე ორჯერ აღებული... ასევე, მევახშე-ბანკირს სულაც არ უჭირს, წარმოთქვას ფრაზა, რომ „საქართველოს მოსახლეობა გაჭირვებასა და სიდუხჭირეში არ უნდა გმინავდეს!“

გეგონება, ამ ხალხს მე დავადე წელში გამწყვეტი ვალები, მე მოვატყუე „ეფექტური 35“ თუ, რა ვიცი, კიდევ რამხელა პროცენტით და მე გავუყიდე სახლები და არა მან.

ჰო, მართლა: წარმოუდგენელი ტყუილი — 10 წელიწადია, „თიბისი ბანკს“ უკანასკნელი საცხოვრებლიდან არავინ გამოუსახლებიაო... „ჩვენ ვამოწმებთ, არის თუ არა ესა თუ ის ბინა პიროვნებისთვის მართლა უკანასკნელი საცხოვრისი და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გამოსახლება“, — ამ ფრაზით დაგვიდო „ლელო“ მამუკა ხაზარაძემ იმ ადამიანებს, რომლებიც მის დაუნდობელ მევახშეობაზე რამეს ამბობდა.

სინამდვილეში კი საქმე ასეა — **თუ ბინის გარდა კიდევ რამე უმნიშვნელო ფართობი, მაგალითად, მცირე სარდაფი ან ავტოფარეხი „აღმოუჩინეს“ ადამიანს, მაშინ მას ბინა აღარ ეთვლება ერთადერთ საცხოვრისად და მას ბინიდან ასახლებენ. ხაზარაძემ შესანიშნავად იცის, რომ გასახლებული ოჯახი ვერც მცირე ზომის სარდაფში იცხოვრებს და ვერც ავტოფარეხში. სინამდვილეში ეს ოჯახის უსახლკაროდ დატოვებაა, სამაგიეროდ, სტატისტიკაში იწერება, რომ „კეთილშობილ“ ხაზარაძეს უკანასკნელი საცხოვრისიდან არავინ გაუგდია.**

თუმცა რას მივედ-მოვედებით ეს ბოგანოები? განა ჩვენ ხმა ამოგვეღება, როდესაც მამუკა ხაზარაძე, თურმე, საქართველოს „ინტელექტუალური ელიტის“ გადამრჩენელი და ერის „მეორე ილია ჭავჭავაძეა“! სხვათა შორის, ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კიდეც, რადგან აქამდე მეგონა, მამუკა ხაზარაძეს **დავით სარაჯიშვილობაზე,** ანუ ხელოვანებისა და საზოგადო მოღვაწეების დამფინანსებელ-მეცენატობაზე ჰქონდა პრეტენზია. „ილია ჭავჭავაძედ“ უფრო **რატი ამაღლობელს, ლაშა ბუღაძეს, დათო ტურაშვილს** ან რომელიმე მათგანს განვიხილავდი. თურმე „სადა ბანაობ“? მამუკა ხაზარაძეს თავადვე მოსურვებია ილია ჭავჭავაძეობა, უფრო ზუსტად კი, მასში ორივე მათგანი ყოფილა შერწყმული — დავით სარაჯიშვილიც და ილია ჭავჭავაძეც. მართლაც და, საოცარი და უმადური ერი ვყოფილვართ ქართველები, როგორც ამას ასე ხშირად შეგვახსენებენ ამა თუ იმ ბელადის მიმდევარი აქტივისტები. აბა, წარმოიდგინეთ, ამდენი უანგარო მეცენატი, ამდენი კეთილი ქველმოქმედი, ამდენი საკუთარ ხალხზე მტლად დადებული მოღვაწე სხვა რომელიმე ქვეყანაში გინახავთ? ჩვენ კი მაინც ჯიუტად უბედურები ვართ და ცხოვრება გვიჭირსო, — გავიძახით! განა ასე შეიძლება? დაუკვირდით, საქართველოში თვე არ გავა, ახალი დიდი მოღვაწე რომ არ გამოიჩეკოს. თანაც, ისინი განა ხარბები არიან, განა ფულზე გადაგებული მომხვეჭელები გახლავან? — არა, თითოეულმა ეს მილიონები და მილიარდები მხოლოდ დაუღალავი შრომით, ჭკუით, გამჭრიახობით იშოვა და არასოდეს არც ერთი „ბნელი საქმე“ არ ჩაუდენია.

პირიქით — მხოლოდ გასცემს და გასცემს. ოღონდ კი ერს რამე სასიკეთო გაუკეთოს და საკუთარ თავს არც კი დაეძებს, მაგრამ გაგიგონია? ჩვენ, უმადური ერი, ათას ცილს ვწამებთ ყველა მათგანს; ვაბრალებთ, რომ ისინი პირადი მოტივებით ხელმძღვანელობენ და საკუთარ ოჯახსა და პირად კეთილდღეობაზე ზრუნავენ მხოლოდ...

უკვე მერამდენე ასეთი „უანგარო მესია“ მოგვევლინა ქართველებს, ხომ არ დაგითვლიათ ვინმეს? ისიც სათქმელია, თითოეულ ასეთ მესიას „გუნდად“ რომ მოჰყვება ხოლმე თავისი „ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა ელიტა“. ამ „მესიისგან“ კარგად ნაკვები, ნაპატივები ადამიანები, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ისინი „ინტელიგენცია“ არიან და ამიტომაც იმსახურებენ, იკვებონ მუქთად! პლუს ამას — ჩვენ, ბოგანოები, ენის შეუბრუნებლად უნდა ვენდოთ მათ, განსაკუთრებით უნდა დავუჯეროთ ის სიტყვები, რომლებსაც ისინი თავიანთი „მკვებავი მესიის“ შესახებ ამბობენ. ერთი საინტერესო „ტრენდიც“ შემოვარდა უკვე ქართულ „ძაანპოლიტიკაში“, ყველა ასეთი ახალმოვლენილი მესია აუცილებლად ამბობს ფრაზას: **„საქართველოში მესიების დრო უნდა დამთავრდეს!“,** შემდეგ კი იწყებენ ლაპარაკს, რა მაგარი მენეჯერები არიან, როგორ იშოვეს მილიონები საკუთარი განსაკუთრებული გამჭრიახობის წყალობით, როგორ გადაარჩინეს დაღუპვისგან ქართული ხელოვნება, კულტურა, მეცნიერება და ა.შ. ამას აუცილებლად მოსდევს მათი „მცნებები“ — გარკვეულ პუნქტებად ჩამოყალიბებული პოსტულატები, როგორი უნდა იყოს ადამიანი, როგორ უნდა მოვიქცეთ, რა უნდა ვაკეთოთ და რა არა... მოკლედ, „მესიების დამამხობელი“ სრული „მესიური“ პაკეტით მოდის; კიდევ ერთიც — ყოველი ახალი მესია ქართველ ხალხს აუცილებლად უწოდებს „უმადურს“, რადგან ის არ ვაღიარეთ მესიად...



თეონა დოლენჯაშვილი



მამუკა ხაზარაძე

**რაღა უნდა იყოს მოულოდნელი, როდესაც მაყურებელს არნახული უტიფრობით ესაუბრება ქალი, რომელსაც ქართველი საზოგადოების, ალბათ, 10 პროცენტიც კი არ იცნობს და, ვინც იცნობს, ან შემთხვევით წაუკითხავს მისი «შედევრები», რომლებსაც 90 პროცენტი, უბრალოდ, სისულელეს უწოდებს. სწორედ ეს ქალი ამბობს ფრაზას: «მამუკა ხაზარაძის გარშემო ვიკრიბებით მთელი საქართველოს ინტელექტუალური ელიტა» და იქვე ხაზს უსვამს, — სულაც არ მიჭირს ამ ფრაზის წარმოთქმაო. ვიცით, ქალბატონო თეონა, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენნაირ უტიფრებსა და უშუბლისძარღვოებს, ამპარტავნებსა და უკიდეგანოდ ამბიციურებს არ უჭირთ ასეთი ფრაზების თქმა**



ირმა ინაშვილი და დევიდ კრამერი

თუმცა, მხოლოდ თვითონ რომ გვამუნათებდეს ერს, კიდევ რა უჭირს — ამ ფუნქციას ითავსებენ მისი ყურმოჭრილი მონა „ინტელექტუალები“, რომლებსაც „მესია“ წლების განმავლობაში აჭმევდა. ისინი ქართველ საზოგადოებას უმოწყალოდ ლანძღავენ მორიგი „მესიის“ მიუღებლობისა და არშეყვარების გამო.

მთავარი მაინც ის არის, რომ **ყოველი მომდევნო მესიის „მომყოლი ინტელიგენცია“ სხვა მესიების „ინტელიგენციებს“ აუცილებლად უწოდებს „ფსევდოინტელიგენციას“ და გაცხარებული გვიმტკიცებს, რომ „იმ მესიის“ მიერ დაფინანსებული „ინტელიგენცია“ არის მონა და „ფსევდო“, ხოლო „ამ მესიის“ მიერ დაფინანსებული ინტელიგენცია არის „ნამდვილი ინტელიგენცია“, თანაც ძალიან თავისუფალი...**

თავისთავად ძალიან სასაცილო საყურებელია, როგორ ეძახიან მონებს ერთი ბელადის მონები მეორე ბელადის მონებს და თითოეული მათგანი როგორ ამტკიცებს, რომ „თავისუფალი არჩევანი“ გააკეთა და ნებაყოფლობით უდგას გვერდით თავის ბელადს, ხოლო სხვა ბელადის მომხრეებს აძალებენ და აიძულებენ იმ ბელადის გვერდით დგომას... დავაზუსტოთ — **მამუკა ხაზარაძის მიერ ათეული წლების განმავლობაში ნაკვებმა „მწერლებმა“, „პოეტებმა“ და სხვა „ინტელექტუალმა“ წარმონაქმნებმა თავის სატელევიზიო გამოსვლებში დროის 80 პროცენტი იმის მტკიცებას შეალიეს, როგორ მოისყიდა ბიძინა ივანიშვილმა „ინტელიგენციის“ ის ნაწილი, რომელიც ახლა მას უჭერს მხარს, როგორ აჭმევდა მათ და აფინანსებდა წლების განმავლობაში, ხოლო, როცა დასჭირდა, ვალის დაბრუნება ამ სახით მოითხოვა, ანუ პოლიტიკაში მის გვერდით დგომითა და საზოგადოების თვალში მისი „გაპრავებით“.**

სასაცილო საყურებელია ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილისა და „მის ინტელიგენციაზე“ ასე ენაგადმოგდებული ტლიკინის შემდეგ, ალბათ, თვითონვე განიცდიან გარკვეულ უხერხულობას იმის გამო, რომ სწორედ ასევე აჭამა მათ მამუკა ხაზარაძემ წლების განმავლობაში და სწორედ ასევე ითხოვს მათგან ახლა „ვალის დაბრუნებას“ და ისე, რომ არავინ არ ეკითხება, იწყებენ მტკიცებას, რომ მამუკა ხაზარაძეს მათთვის არაფერი დაუძალებია და ისინი ნებაყოფლობით დგანან მის გვერდით... მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სწორედ იმავეს ამტკიცებენ ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოკვებილებიც?!

ამათ დავუჯეროთ და იმათ არა? რატომ?

მით უფრო, რომ უფრო მეტად **კომიკურია, როდესაც ვინმე თეონა დოლენჯაშვილი ამბობს: „ბიძინა ივანიშვილი აჭმევდა ამ ვითომ ინტელიგენციას...“ ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი და სხვები ყოფილან „ვითომ ინტელიგენცია“, ხოლო თეონა დოლენჯაშვილი, რატი ამაღლობელი და სხვები — ნამდვილი და თავისუფალი მწერლები და პოეტები.** თუმცა „ფლეტჩერის სკოლას“ რას გაუგებთ, ჩემო კარგებო?! სწორედ ასე — მამუკა ხაზარაძემ გვაუწყა, რომ აწი საქართველოს ბედი უნდა განაგონ „ფლეტჩერის სკოლის“ კურსდამთავრებულებმა, რომლებსაც თვითონ ხაზარაძე აფინანსებდა და წვრთნიდა წლების განმავლობაში.

დამაინტერესა და ვუსმინე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში „ფლეტჩერის სკოლის“ ერთ კურსდამთავრებულს... ის მთელი 10 წუთის განმავლობაში საუბრობდა, პირდაღებული ვუსმენდი და ვერაფერი გავიგე, რა უნდოდა — ერთი კონკრეტული წინადადება არ ამოსვლია პირიდან და, როგორც იტყვიან, „ილაპარაკა ყველაფერი არაფერზე“...

დიახ! ძნელია ჩვენთვის, ბოგანოებისთვის, „ფლეტჩერის სკოლის“ დიადი მეტრების ლაპარაკის გაგება... სწორედ ამიტომ დავწერე სათაურში, — **წაიკითხოს მხოლოდ „ინტელექტუალურმა ელიტამ“-მეთქი.**

თავდასხვა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რასმუსენიც, ბრაიზაც, კრამერიც და ყველა ის ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლებიც თითქოს თამამ განცხადებებს აკეთებენ საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივაზე და მერე ეს ჩვენი „ლიბერალური“ ისტებლიშმენტი ყალბი ეიფორიით ცდილობს საზოგადოების დაბრმავებას, აი, რამხელა მხარდაჭერა გვაქვს დასავლელი პარტნიორებისგანო, პრაქტიკულად, არიან კარიერადასრულებული დიპლომატები, ანუ ხალხი, რომლის განცხადებებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს“.**



## გურამ ნიკოლაიშვილი:

# სხვის ომში გმირობა და თავის გამოჩენა იმ დროს, როცა საკუთარი საჰაერო და საზღვაო სივრცე სრულიად დაუცველი გაქვს, ნორმალურია?!

**12 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ მედლინ მუნთან შეხვედრის შემდეგ მედიასთან შეფასებები გააკეთა და განაცხადა, რომ საქართველო სტრატეგიულად მზად არის ალიანსის წევრობისთვის. მისი თქმით, დღეს ქვეყანას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დასავლეთის უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს და ამას საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ვიზიტიც ადასტურებს, რაც, ერთი მხრივ, თურმე საზოგადოებაში არსებული ჯანსაღი პროდასავლური განწყობებისა და, მეორე მხრივ, ხელისუფლების მიერ გატარებული ნატოს სტანდარტების შესაბამისი „წარმატებული რეფორმების“ შედეგი ყოფილა.**

თალაკვაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო მომავალშიც წარმატებით გაატარებს დასავლური სტანდარტების შესაბამის რეფორმებს, რომლებიც გააძლიერებს დემოკრატიას და ქვეყანას კიდევ უფრო დააახლოებს თავის „ისტორიულ არჩევანთან“. მეტიც, მისი განმარტებით, დღეს უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პოლიტიკა და, პირველ რიგში, შეუქცევადი სწრაფვა ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ არის გადამწყვეტ ფაზაში და ეს პროცესი აუცილებლად დასრულდება ქართველი ხალხის მიერ წლების წინათ გაკეთებული არჩევანის ასრულებით...

შეგახსენებთ, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობა ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად გამოდის ნატოს გაფართოების იდეის წინააღმდეგ, რაც, როგორც ჩანს, უკვე სერიოზულ პრობლემად იქცა. მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** 2018 წლის 17 ივლისს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში **ვლადიმერ პუტინთან** შეხვედრის შემდეგ მედიასთან განაცხადა, რომ მოცემულ ეტაპზე ნატოს გაფართოება შეცდომა იქნება, რადგან მან, შესაძლოა, მის წევრ სახელმწიფოებს საფრთხე შეუქმნას.

ცნობისთვის: აღნიშნულ ინტერვიუში ტრამპმა განსაკუთრებული ყურადღება ალიანსის წევრ პატარა სახელმწიფოებზე გაამახვილა და დასძინა, რომ, მაგალითად, მონტენეგროს შეუძლია აშშ-ის ჩათრევა მესამე მსოფლიო ომში. თუმცა იმავე ინტერვიუს ბოლოს „თეთრი სახლის“ მესვეურმა ისიც აღნიშნა, რომ ამერიკა არ არის ვალდებული, სხვის ომში იომოს: „რატომ უნდა იომოს ჩემმა შვილმა მონტენეგროს დასაცავად...“ მოგვიანებით აღნიშნულ ფრაზას დასავლეთის „ლიბერალური“ ძალებისგან ხმაური და მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

რას ნიშნავს დღევანდელ ვითარებაში პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ნატოს წევრობისთვის სტრატეგიულ მზადყოფნაზე გაკეთებული განცხადება და რეალურად რა პოლიტიკური მოცემულობაა ამ ყველაფრის უკან?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ მედლინ მუნთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველო „სტრატეგიულ მზადყოფნაშია“ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისთვის. მისი შეფასებით, ეს ხელისუფლების მიერ წლების განმავლობაში გატარებული წარმატებული რეფორმების შედეგია. რეალურია ეს შეფასება? ვართ კი ჩვენ დღეს მზად ალიანსის წევრობისთვის, გნებავთ, სტრატეგიულად და გნებავთ, სხვა თვალსაზრისით?**

— დავიწყოთ იმით, რომ ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, როგორც სტრუქტურა, არ არის ის ორგანო, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ალიანსში ახალი სახელმწიფოს მიღება-არმიღების საკითხში. მას არ აქვს შესაბამისი ბერკეტები, არსებითი გავლენა იქონიოს სამიტზე და ამით მნიშვნელოვნად შეცვალოს სამხედრო ბლოკის ხელმძღვანელობის პოზიციები. ეს ერთი. მეორე — საყოველთაოდ ცნობილია, რომ **ნატოს წევრი წამყვანი სახელმწიფოები: გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი ალიანსის გაფართოების კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. მეტიც, დონალდ ტრამპი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ამბობდა და მას შემდეგ სულ იმეორებს, რომ არ სურს, მისი ქვეყნის შეიარაღებული ძალები სხვის ომში, სხვის დასაცავად იბრძოდეს.** გახსოვთ, ალბათ, რაც თქვა მან დაახლოებით ერთი წლის წინათ ჰელსინკიში მონტენეგროზე... ის დრო, როცა „თეთრი სახლის“ პოზიცია (შეიძლება ფორმალურად, მაგრამ მაინც) მდგომარეობდა იმაში, რომ ნატოს კარი ღიაა, დასრულდა და ახლა უკვე ფორმალურადაც აღარ გვესმის მსგავსი განცხადებები. ეს, შეიძლება ითქვას, არის პირდაპირი შედეგი უწინარესად იმ ფუნდამენტური ცვლილებისა, რომელიც ტრამპის არჩევის შემდეგ განიცადა ვაშინგტონმა, თუმცა ეს პროცესი ამით არ დასრულებულა. **ცვლილებების ტალღა ჯაჭვურად მოედო ევროპასაც და ჩვენ დღეს ვხედავთ იდეოლოგიურ დონეზე არსებითად შეცვლილ ევროპას — ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს, რომლებსაც არანაირი დიპლომატიური კეკლუცობა არ სჭირდებათ იმის სათქმელად, რომ დღევანდელ ვითარებაში ალიანსის გაფართოება მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება.**

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას, რომ საქართველო სტრატეგიულად მზად არის ინტეგრაციისთვის, ბატონ თალაკვაძეს უნდა ესმოდეს, რომ ნატო, უწინარესად, არის სამხედრო ბლოკი და, როდესაც ამ ბლოკში შესვლის მზადყოფნაზე საუბრობ, შენი შეიარაღებული ძალები მინიმალურ დონეს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. თუმცა მე, როგორც სამხედრო პირი, გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ **დღეს შეიარაღებული ძალები საქართველოს, ფაქტობრივად, არ ჰყავს; ჩვენ არ გაგვაჩნია არც საჰაერო და არც საზღვაო თავდაცვა, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენი ძალების ერთ-ერთი ძლიერი მხარე, როგორიც იყო ყოველთვის არტილერია, პრაქტიკულად მოშალეს და გაანადგურეს. თუ რამეს ვაჭარბებ და ვაზვიადებ, გამოვიდეს ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი, რომელსაც თალაკვაძის მსგავსად მიაჩნია, რომ მათ წარმატებული რეფორმები გაატარეს შეიარაღებულ ძალებში, და გამცეს პასუხი.**

**— იმავე შეხვედრაზე თალაკვაძემ ხაზგასმით განაცხადა, რომ დღეს, როგორც არასდროს, ისეთი მხარდაჭერა აქვს დასავლეთში საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ახლოს არის ეს განცხადება რეალობასთან?**

— არჩილ თალაკვაძე არ არის სამხედრო პირი და შეიარაღებული ძალების ბევრი არაფერი გაეგება, მაგრამ, რადგან წარმატებულ რეფორმებზეა საუბარი, მინდა, ვკითხო: წარმატებული იყო, მაგალითად, ის „რეფორმა“, როდესაც **ლევან იზორიას მინისტრობის პერიოდში ოფიცრების მთელი ნაკადი გაუშვეს თავდაცვის სამინისტროდან? ჯამში, იცით, რამდენი ადამიანი გაათავისუფლეს? — დაახლოებით 2500; და ეს ყველაფერი იმიტომ გააკეთეს, რომ სამხედრო ბიუჯეტის 20% უნდა მოხმარებოდა ვითომ რაღაც ახალი ტექნიკის შეძენას. საუბარია „ჯაველინებსა“ და „სტინგერებზე“, რომლებიც რეალურად არაფერში გვჭირდებოდა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მძიმე ტექნიკა, ტანკები, არტილერია, ძირითადად, კონსერვაციაზე გადაიყვანეს; არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ავიაცია, პრაქტიკულად, გაუქმდა. აი, ეს არის მათი „წარმატებული რეფორმები“.**

რაც შეეხება ნატოს, ვილაცას ჰგონია, რომ ეს ერთობლივი წვრთნები და სწავლებები, რომლებზეც უზარმაზარი ფული იხარჯება და ეს ფული, ყველამ იცის, რომ წყალში იყრება, ჩვენს თავდაცვისუნარიანობას ვითომ აძლიერებს. სინამდვილეში არც ერთი ეს წვრთნა არ არის მორგებული საქართველოს სტრატეგიულ ამოცანებზე. უბრალოდ, საქართველო გამოყენებულია ტერიტორიად, რომ ჩვენს მიწაზე ჩვენივე ფულით მომზადდნენ სამხედროები, ოღონდ არა ჩვენი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ სხვებისთვის საჭირო საერთაშორისო მისიებისთვის. კი, ბატონო, კარგია ამ მისიებში მონაწილეობაც, თუ აქვს ქვეყანას ამის რეალური რესურსი, მაგრამ **სხვის ომში გმირობა და თავის გამოჩენა იმ დროს, როცა საკუთარი საჰაერო და საზღვაო სივრცე სრულიად დაუცველი გაქვს, ნორმალურია?!**

**— რასმუსენის განცხადებაზე რას ფიქრობთ? მის მინიშნებას, რომ საქართველომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე უნდა იფიქროს ალიანსში შესვლაზე, როგორც საზოგადოებაში, ისე პოლიტიკურ სპექტრში მწვავე რეაქცია მოჰყვა.**

— ერთ რამეს მიაქციეთ ყურადღება: **რასმუსენიც, ბრაიზაც, კრამერიც** და ყველა ის ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლებიც თითქოს თამამ განცხადებებს აკეთებენ საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივაზე და მერე ეს ჩვენი „ლიბერალური“ ისტებლიშმენტი ყალბი ეიფორიით ცდილობს საზოგადოების დაბრმავებას, აი, რამხელა მხარდაჭერა გვაქვს დასავლელი პარტნიორებისგანო, **პრაქტიკულად, არიან კარიერადასრულებული დიპლომატები,** ანუ ხალხი, რომლის განცხადებებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მიკვირს, საქართველოს ხელისუფლება საგარეო პოლიტიკას ამ ადამიანების რიტორიკაზე რომ აგებს და არა იმ ტენდენციებზე, რომლებიც რეალურად წარმართავს დღევანდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ დღის წესრიგს. ვფიქრობ, ეს ძალიან საშიშია და, თუ ვინმე არის მმართველ გუნდში საღად მოაზროვნე, ამას უნდა ხვდებოდეს. რასმუსენის განცხადებას რაც შეეხება, ერთადერთი, ვინც ამ განცხადებამ ააღელვა და ააფორიაქა, იყო ჩვენი საზოგადოება. სხვა, ვინც უნდა გაეღიზიანებინა მას პირველ რიგში, მშვიდად შეხვდა ამ ყველაფერს იმიტომ, რომ ამ წლების განმავლობაში ყველამ გაიგო ერთი ჭეშმარიტება: რა კრიტერიუმიც არ უნდა დააკმაყოფილოს ამა თუ იმ ქვეყანამ, რა რეფორმები და ძირეული გარდაქმნებიც არ უნდა განახორციელოს, თუ დიდ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება არ არის, ის ვერასოდეს ვერ გახდება ვერც ნატოს და ვერც ევროკავშირის წევრი. ეს არის ისეთი ჭეშმარიტება, როგორც ორჯერ ორი — ოთხი, მაგრამ, სამწუხაროდ, **ჩვენი ჭკუათხელი და სხვის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტელიტა ამ ჭეშმარიტებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ დასავლეთში წლების წინათ ჩამოწერილი მაკეინის ინსტიტუტის პროვოკატორებს შესციცინებს თვალებში. ამიტომაც ისინი რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოვაშოროთ სათავიდან, თორემ, რაც დრო გავა, მავნე პოლიტიკა ისეთ სახეს მიიღებს, ისეთ აბსურდამდე შეიძლება მივიდეს ქვეყანა, მერე გამოსავალზე ფიქრი რთული იქნება.**

**— დღევანდელ ვითარებაში ხედავთ რეალური ცვლილებების წინაპირობას?**

— მართალი გითხრათ, არ მჯერა პოლიტიკაში მოულოდნელობების და ნამდვილად არ მაქვს ის განცდა, რომ უახლოეს მომავალში რამე არსებითად შეიცვლება, მაგრამ ერთ რამეს უკვე ყველა ვხედავთ: ეს ხელისუფლება თავისი საგარეო კურსით, თავისი ორიენტირებით ვერ გრძნობს თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკურ მაჯისცემას. ჩვენი ხელისუფალნი ვერ ხვდებიან, რომ სამყარო აღარ არის ერთპოლუსიანი, იგი ძირფესვიანად შეიცვალა. აი, ამიტომაა ზუსტად მათი სათავეში ყოფნის თითოეული დღე ქვეყნისთვის საშიში და ამიტომაა მათი პოლიტიკა წარუმატებლობების უწყვეტი ჯაჭვი. ეს მომავალშიც გაგრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ ისევ საზოგადოება არ მივა უკიდურეს ზღვრამდე...

**«ამ წლების განმავლობაში ყველამ გაიგო ერთი ჭეშმარიტება: რა კრიტერიუმიც არ უნდა დააკმაყოფილოს ამა თუ იმ ქვეყანამ, რა რეფორმები და ძირეული გარდაქმნებიც არ უნდა განახორციელოს, თუ დიდ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება არ არის, ის ვერასოდეს ვერ გახდება ვერც ნატოს და ვერც ევროკავშირის წევრი. ეს არის ისეთი ჭეშმარიტება, როგორც ორჯერ ორი — ოთხი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ჭკუათხელი და სხვის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტელიტა ამ ჭეშმარიტებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ დასავლეთში წლების წინათ ჩამოწერილი მაკეინის ინსტიტუტის პროვოკატორებს შესციცინებს თვალებში»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**თუ ნატოში ამ პირობებით მიგვიღებენ, ეს ორგანიზაცია მოინდომებს საქართველოში სარაკეტო დანადგარების განთავსებას, მიზეზად კი ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოებას დაასახელებს. და როგორ გგონიათ, საით იქნება მიშვერილი ეს დანადგარები? — სწორია, რუსეთისკენ. და როგორ გგონიათ, ზედ საზღვართან არსებულ სარაკეტო დანადგარებს როგორ შეხედავს რუსეთის ფედერაცია: არ მოითხოვს რუსი მოსახლეობა ამ დანადგარებისგან თავის დაცვას და მით უმეტეს იმ პირობებში, როცა საქართველოს ხელისუფლებამ ნებისმიერ დროს შეიძლება კვერი დაუკრას ევროპისა და ამერიკის ლიდერებს და ეს დანადგარი ერთ, არც თუ მშვენიერ დღეს, გაისროლოს?**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკის მიერ გადმოგდებული სატყუარა, რომელსაც თუ გადავყლაპავთ, სირიას დავემსგავსებით

**აგერ უკვე 30-ე წელს ვითვლით, რაც პირველად ითქვა (მიტინგზე), რომ საქართველოს ხსნა ნატოში ინტეგრაციაა. ისე როგორ იქნებოდა, საბჭოთა კავშირის ნამსხვრევებში მოყოლილი რესპუბლიკები ამერიკასა და ევროპას არ „დაეთრიათ“ და ამიტომ დაპირების მოფიქრებაც კი არ დასჭირდათ. უბრალოდ, აქ ნათქვამი ხელზე დაიხვიეს: თურმე ქართველებს ყველაზე მეტად ნატოში შესვლა სურთო, და საკენკს, სახელად NATO/OTAN, ყოველწლიურად ზუსტად იმ დოზით გვიყრიდნენ, რამდენიც საჭირო იყო. ჩვენც აღფრთოვანებულები ვიკვებებოდით, სანამ ჯერ „მაპ-ზე უკეთესი“ არ დაგვიყარეს საკენკად და შემდეგ, როცა საფრანგეთის პრეზიდენტყოფილმა ნიკოლა სარკოზიმ არ თქვა: რა ნატო, თქვენ ხომ არ „გძმარავთო“?!**

ჰო, სარკოზი იყო პირველი, ვინც ხმამაღლა აღიარა, — გამორიცხეთ საქართველოს ნატოში გაწევრებაო და ის მაშინვე არასერიოზულ კაცად გამოაცხადეს. სარკოზის არასერიოზულობა რომ დავიჯეროთ, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ საფრანგეთის ჯერ ფინანსთა და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი, ბოლოს კი ქვეყნის პრეზიდენტი თურმე მასხარა ყოფილა. ჰო, 65-მილიონიანი საფრანგეთის, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის, პრეზიდენტი ყოფილა მასხარა. გჯერათ?!

ჰოდა, ამერიკელებმა და ევროპელებმაც არ დაიჯერეს, რომ ამას შევჭამდით და ამიტომ აუცილებელი შეიქნა რაღაც ახლის მოფიქრება, ისეთის, ნატოს საწინააღმდეგო ტალღას რომ ჩააქრობდა. შეიძლება ტალღა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ, მოსახლეობის უმრავლესობას რეალურად რომ აღარ სჯერა ნატოში შესვლის პერსპექტივის და ამ საკითხს სკეპტიკურად უყურებს, ცხადზე ცხადია. შედეგად, რამდენიმე დღის წინათ მივიღეთ ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის, საქართველოში ხელისუფლებისა თუ ოპოზიციისთვის ყოველთვის სასურველი სტუმრის, **ანდერს ფოგ რასმუსენის,** განცხადება, რომელმაც ყველანაირი კითხვის ნიშანი მოხსნა და მივედით დასკვნამდე: ნატო არა, კვახი!

და მაინც, რა თქვა რასმუსენმა ისეთი, რომ ამგვარი დასკვნის საფუძველი გვაქვს?

**„ერთმნიშვნელოვნად პრობლემურია, გადაუწყვეტელი სასაზღვრო დავები გქონდეს რუსეთთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ისმის კითხვა: როგორ შეიძლება ამის გადაწყვეტა? ვფიქრობ, უნდა განიხილოთ საქართველოს შიგნით, მოისურვებდით, ასეთ შემთხვევაში დათანხმებოდით ისეთ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მეხუთე მუხლი მხოლოდ საქართველოს მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გავრცელდებოდა? ნატოში კი ზუსტად იმავე საკითხზე უნდა დავფიქრდეთ. ჩვენ გვაქვს პრეცედენტი — გერმანია გაყოფილი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. გერმანია ნატოს შეუერთდა 1955 წელს, თუმცა მხოლოდ დასავლეთი — ნატოს წესები არ ვრცელდებოდა აღმოსავლეთ გერმანიაზე. მაგრამ, როცა გერმანია კვლავ გაერთიანდა 1991 წელს, ნატოს წესები აღმოსავლეთზეც გავრცელდა. პრინციპში, მსგავსი შეთანხმება შეიძლება საქართველოს შემთხვევაშიც შედგეს. რა თქმა უნდა, ამის განხილვა საკმათოა საქართველოშიც და ნატოშიც, მაგრამ მგონია, ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. რადგანაც, თუ ასე არ ვიზამთ, პრეზიდენტ პუტინს დე ფაქტო ვეტოს უფლებას გადავცემთ, რომელიც მუდამ შეძლებს, საქართველოს, უკრაინისა და სხვა მეზობელი ქვეყნების ნატოში გაწევრება აღკვეთოს კონფლიქტების გამწვავებითა და შენარჩუნებით“,** — განაცხადა რასმუსენმა.

პირველ რიგში, ის ვთქვათ, რომ საქართველოსა და გერმანიის შედარება უადგილოა. ჯერ ერთი, გერმანია სხვა განზომილება და მასშტაბები იყო; მეორე — საბჭოთა კავშირი, ანუ მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფო, არ იყო ამ გაერთიანების წინააღმდეგი და მეტიც: ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ **ედუარდ შევარდნაძის** სახით გერმანიის გაერთიანების საქმეში აქტიურად მონაწილეობდა.

რეალურად, **ეს არის ამერიკის მიერ გადმოგდებული სატყუარა, რომელსაც, თუ გადავყლაპავთ, შემდეგ ფორმულირებას მივიღებთ:** საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი წავა იმისა, რომ ქვეყანა ნატოში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე შევიდეს. ამასთანავე, არსებობს უდიდესი საფრთხე იმისა, რომ სწორედ საქართველოს მეშვეობით ევროპამ და ამერიკამ რუსეთის პროვოცირება მოახდინონ.

გეტყვით როგორ: **თუ ნატოში ამ პირობებით მიგვიღებენ, ეს ორგანიზაცია მოინდომებს საქართველოში სარაკეტო დანადგარების განთავსებას, მიზეზად კი ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოებას დაასახელებს. როგორ გგონიათ, საით იქნება მიშვერილი ეს დანადგარები? — სწორია, რუსეთისკენ.**

**როგორ გგონიათ, ზედ საზღვართან არსებულ სარაკეტო დანადგარებს როგორ შეხედავს რუსეთის ფედერაცია: არ მოითხოვს რუსი მოსახლეობა ამ დანადგარებისგან დაცვას და მით უმეტეს იმ პირობებში, როცა საქართველოს ხელისუფლებამ ნებისმიერ დროს შეიძლება კვერი დაუკრას ევროპისა და ამერიკის ლიდერებს და ეს დანადგარი ერთ, არც თუ მშვენიერ დღეს, გაისროლოს?** რა მოხდება შემდეგ? — „არაფერი განსაკუთრებული“, **საქართველო დაემსგავსება სირიას, რეგიონს, რომელიც დღემდე ომია და ერთი შენობაც არ არის დარჩენილი, ჭურვი არ ჰქონდეს მოხვედრილი. მერე რიგრიგობით დაგვბომბავენ კოალიციური ჯარები, — აქაოდა, ტერორისტებს ვებრძვითო; თურქეთი აჭარას დაიკავებს იმ საბაბით, რომ საზღვრები უნდა გაამაგროს; იქით სომხეთი იზრუნებს თავის საზღვრებზე; აქეთ — აზერბაიჯანი და საქართველო ზუსტად ისე დარჩება მხოლოდ ფურცელზე, როგორც დღეს სირიაა დარჩენილი. მერე ევროპა იმაზე იმსჯელებს, საქართველოდან წასული ლტოლვილები მიიღოს თუ არა და რა რაოდენობით, აჭამოს თუ არ აჭამოს... და დაგვერქმევა ყოფილი ქვეყანა და ყოფილი ერი.**




ეს არის ამ შეთავაზების ყველაზე მძიმე, მაგრამ ყველაზე რეალური გაგრძელება. როგორც უნდა შევალამაზოთ, რამდენიც უნდა ვიდავოთ, ფაქტია, ასე მარტივად არაფერი მოხდება. უბრალოდ, ევროპელი თუ ამერიკელი ლიდერები კარგად ხვდებიან, 99%-იანი სიზუსტით, რომ გამორიცხულია, საქართველოს მოსახლეობამ ეს მოინდომოს, ამიტომ მომავალში მათ სათქმელი ექნებათ: თქვენთვის ნატოს კარი ღიაა, მაგრამ არ შემოდიხართო. უკვე იმას კი არ გვეტყვიან: აკაკუნებთ და არ გიღებენ, ღიაა და შემოსვლა არ გინდათო. **ეს კარგად მოფიქრებული მახე, რომელშიც საქართველო უნდა გაებას, არ არის მხოლოდ იმისთვის, ჩვენი ქვეყანა რომ აღიგავოს პირისაგან მიწისა. რუსეთთან საომარად ყველაზე კარგი პოლიგონი სწორედ ჩვენი ტერიტორიაა. ამერიკელებმა კარგად იციან, რომ სხვა მეზობლებს ვერ ააბუნტებენ, ვერ „დააგოიმებენ“, ვერავინ გაბედავს, მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოს მხოლოდ ამერიკის საამებლად ეომოს. ჰოდა, მათაც გადაწყვიტეს, რომ ასე აჯობებს და საქართველოსაც ყველაზე, ყველაზე მუხანათური სატყუარა გადმოუგდეს.** ისე არ იფიქროთ, თითქოს ეს მხოლოდ ამერიკასა და ევროპას აძლევს ხელს, ამ პროცესს ორივე ხელით მივესალმება თურქეთი და აკი თქვა კიდეც ამ განცხადების შემდეგ **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა,** რომ უახლოეს მომავალში ამერიკასთან საჰაერო რაკეტების შესყიდვაზე მოლაპარაკებებს დავიწყებთო. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ „შინაურობაში“ ჩვენი ბედი გადაწყვეტილი აქვთ და ახლა მხოლოდ შესაფერის დროს ელოდებიან, რათა ზარ-ზეიმით მიგვიღონ ნატოში და შემდეგ ასეთივე ზარ-ზეიმით დააყენონ სარაკეტო დანადგარები.

> **ევროპა და ამერიკა გადამწყვეტ იერიშზე რომ არის გადმოსული, ცხადია. ისიც ცხადია, რომ საქართველო ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ და ჩვენი გავლით რუსეთზე დარტყმა სურთ. ანუ, ადრე ნათქვამი, რუსეთთან უკანასკნელ ქართველამდე ვიომებთო, ისევ ძალაში რჩება**

კარგად დავფიქრდეთ და გავიხსენოთ **ამ 30 წლის განმავლობაში რაში და როგორ ვიგრძენით ნატოს დახმარება. ვერ გაიხსენეთ ხომ? ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ — ჩვენ თუ დავეხმარეთ ორგანიზაციას, რომლის წევრებიც არ ვართ და ჯერჯერობით, ახალ ნათქვამს თუ არ ჩავთვლით, არც პერსპექტივა გვაქვს? დიახ, ქართველი ჯარისკაცები დღემდე მონაწილეობენ ნატოს მისიებში, იბრძვიან და სიცოცხლეს წირავენ. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ალბათ, მხოლოდ იმ ჯარისკაცების ოჯახის წევრებს ახსოვთ, რომ შვილები, ძმები, მამები ცხელ წერტილებში ჰყავთ გაშვებული, თორემ ჩვენ ისე შევეგუეთ ამ ყველაფერს, თითქოს ასეც უნდა იყოს; თითქოს ჩვენი დასაცავია მშვიდობა სამხრეთ აფრიკასა და ავღანეთში, თითქოს ჩვენი ჯარისკაცები უნდა იყვნენ ყველგან მაშინ, როცა ყველა წამყვანი ევროპული ქვეყანა კონტინგენტს ამცირებს და ამცირებს სწორედ საქართველოს დარი სახელმწიფოების ხარჯზე.** სწორედ ნატოში ინტეგრაციის დაპირებებით იწვევენ ნატოს არაწევრი ქვეყნების ჯარისკაცებს ცხელ წერტილებში, საკუთარი ქვეყნის მეომრები კი გაჰყავთ, იმიტომ, რომ მოსახლეობა ჯანყდება: სხვის ომში ჩვენს შვილებს რატომ ხოცავთო?! გესმით? ნატოს წევრი ქვეყნების მოსახლეობა სხვის ომს ეძახის ამ კოალიციის მიერ განხორციელებულ ქმედებებს და ჩვენ იქამდე მიგვიყვანეს, რომ ჩვენი ომი ჰქვია.

რომ გითხრათ, სიტუაციიდან მარტივი გამოსავალი არსებობს-მეთქი, მოგატყუებთ. ევროპა და ამერიკა გადამწყვეტ იერიშზე რომ არის გადმოსული, ცხადია. ისიც ცხადია, რომ საქართველო ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ და ჩვენი გავლით რუსეთზე დარტყმა სურთ. ანუ, ადრე ნათქვამი, რუსეთთან უკანასკნელ ქართველამდე ვიომებთო, ისევ ძალაში რჩება.

**ბესო ბარბაქაძე**

ხალხი და ხელისუფლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევროპას რეალური სურათი რომ დავუდოთ წინ, კავშირში კი არა, აეროპორტებშიც აღარ შეგვიშვებენ. პრინციპში, იმ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ, რომელიც ასე ზარ-ზეიმით აღვნიშნეთ, არაერთი ასეული ქართველი სწორედ აეროპორტიდან გამოაბრუნეს უკან, ზოგს საკმარისი თანხა არ ედო ჯიბეში, ზოგიც სახეზე არ მოეწონათ და ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, სახელმწიფოს თავისი მოქალაქე დაეცვას და გაეპროტესტებინოს: თუ სრულუფლებიან წევრად აღგვიქვამთ, მაშინ ქვეყანაში შესვლას რატომ გვიშლითო?!

# აფრიკის ღატაკ ქვეყნებში თითოეულ მოსახლეს დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, საქართველოში — 1 დოლარზე ნაკლები

**საქართველოში ყველაფერზე საუბრობენ — პოლიტიკაზე, საშინაო თუ საგარეო ურთიერთობებსა და პრობლემებზე, ტურიზმის განვითარებაზე, ვირუსების პრევენციაზე, მაგრამ ხმას არავინ არ იღებს სტრატეგიაზე, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას სილატაკიდან გამოიყვანს. რამდენიც უნდა იძახოს ხელისუფლებამ, წინ მივდივართო, რამდენი დასკვნა ან ციფრები უნდა გაგვაცნონ ეკონომიკური წინსვლის, ფაქტია — სანაგვე ურნებში გადაყუდებული ადამიანების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ, თუ აქამდე, ძირითადად, მოხუცები მათხოვრობდნენ და ურნებშიც ისინი იქექებოდნენ, ახლა მათ არასრულწლოვანები დაემატნენ. პატარა ბავშვები ურნაში ნაპოვნ საკვებს იქვე ჭამენ, რადგან კუჭმა მოთმენა არ იცის. მათ, უბრალოდ, შიათ და არ აქვს მნიშვნელობა, რას პოულობენ და რამდენს — მთავარია, დალეჭონ და ცარიელმა კუჭმა რამე მიიღოს.**

## ნაგვის ურნებში გადაყუდებული ადამიანების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება



**დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც ასე მწვავედ დგას და რომელზეც არაერთხელ დაგვიწერია, ინტელიგენციას (უფრო ზუსტად კი, ხელისუფლების მხარდამჭერებთან ასოცირებულ ინტელიგენციას) კი არ ადარდებს, პირიქით — მოგვიწოდებს: ბევრი შვილი არ გააჩინოთ, გაჭირდა ცხოვრებაო. საკანონმდებლო დონეზეც ხომ არ დავაწესოთ, ვის რამდენი შვილის ყოლის უფლება აქვს და საზოგადოდ, ისიც გავარკვიოთ, ცოლის მოყვანის ან გათხოვების უფლების მოსაპოვებლად, რა პარამეტრებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ?**

არასრულწლოვანთა მათხოვრობაზე რამდენჯერმე დედაქალაქის მერმაც გააკეთა განცხადება, მთავრობის წარმომადგენლებმა მწუხარე სახის რაინდებივით თავი გადააქნიეს, — პრობლემაა და მოსაგვარებელიაო, მაგრამ მოგვარების გზებზე არავის არაფერი უთქვამს. ღამით მოზარდების პრობლემა „იმალება“, რადგან ისინი ზაფხულში მიწისქვეშა გადასასვლელებში, სკვერებში ათევენ ღამეს, ზამთარში მეტროს სადგურებში დარჩენას ცდილობენ, დღისით კი ისევ ლუკმაპურის საშოვნელად გამოდიან. სხვათა შორის, **მათხოვრების დაყოფა სამ კატეგორიად შეიძლება: ისინი, ვისაც მართლა უჭირთ; ისინი, ვისაც ეს საქმე ბიზნესად აქვს ქცეული, და მესამე კატეგორიაა ქუჩის ყაჩაღები, რომლებიც პირდაპირ მოდიან და ფულს კი არ გთხოვენ, გძალავენ, ჯიბიდან გიღებენ, ხელიდან გტაცებენ.** ბოლო კატეგორიას, ერთი შეხედვით, ძირითადად, ბოშები წარმოადგენენ, მაგრამ, როცა ეს ნამდვილ ბოშებთან ვთქვი, უარყვეს: ბოშები საქართველოში ძალიან ცოტანი დავრჩით, ისინი მოლდოველები არიან და ბოშობას იბრალებენ, ნამდვილი ბოშა არ მათხოვრობს, მკითხაობს, რაღაცას ყიდის, მაგრამ მათხოვრობით არაო. გაგიკვირდებათ და, მერე მოვიკითხე ეს თემა და ძირძველი ნამდვილი მათხოვარი ბოშა სანთლით საძებარია. ეს ისე, ხელისუფლებამ რომ იცოდეს. „ბიზნესმენ მათხოვრებს“ რაც შეეხება, ისინი ელიტურ უბნებში სხდებიან, წინ გულის ამაჩუყებელ წერილს დებენ და დღის ბოლოს, სულ ცოტა, 30-40 ლარით ბრუნდებიან შინ. იქვე, გვერდით ნამდვილი გაჭირვებული რომ დაუჯდეს, ერთ ამბავს აუტეხენ, ბიზნესს მართმევო.

ეს რაც შეეხება იმ მათხოვრებს, რომლებიც არ მალავენ გაჭირვებას და იქამდე მივიდნენ, რომ ქუჩაში ნაგავში იქექებიან. თუ ხელისუფლებას ჰგონია, რომ დანარჩენი საქართველო უკეთ ცხოვრობს, ძალიან ცდება. ხუთსულიან ოჯახს თვეში 361 ლარს რომ დაუწესებ, იცით, ეს რას ნიშნავს? ახლავე გეტყვით, ბატონებო. აფრიკის ის ქვეყნები, რომლებსაც ცივილიზებული სამყარო ულატაკესად აღიარებს და იქ შიმშილით ხალხი ყოველდღიურად იხოცება, იცით, რატომ არიან ყველაზე ღარიბი ქვეყნების სიაში? იმიტომ, რომ **აფრიკის ღატაკ ქვეყნებში თითოეულ მოსახლეს დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს და სწორედ ეს ითვლება სილატაკედ. თვლაში დრო რომ არ დახარჯოთ, ხუთსულიანი ოჯახის წევრებზე 361 ლარი რომ გადაანაწილოთ, დღეში 81 ცენტი გამოდის, ე.ი., ერთი დოლარიც არა, მაგრამ ეს ყველაფერი ისე კარგად გვაქვს შეფუთულ-შელამაზებული, რომ ცალკე სააკაშვილს უკრავდნენ ტაშს უპრეცედენტო რეფორმებისა და ქვეყნის განვითარებისთვის და ცალკე მოქმედი ხელისუფლება აოცებს სამყაროს არანორმალური ინფლაციის ფონზე ეკონომიკის წარმატებული ზრდით.** ეს ევროპასა და ამერიკაში წარსადგენ ფურცელზე წერია ყველაფერი ასე ლამაზად, თორემ ქართულ რეალობაში **81 ცენტი აქვს დაწესებული ხელისუფლებას ადამიანის სარჩენად და მერე რა, თუ ამ თანხით სრულფასოვანი კვება შეუძლებელია.** ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ევროპელები ტაშს გვიკრავენ, ასე განაგრძეთ და მალე ევროკავშირში მიგიღებთ, როცა თქვენი ქვეყანა მზად იქნება, ანუ როცა მოსახლეობას იმ დონის შემოსავალი ექნება, ევროკავშირს ტვირთად არ დააწვებაო. შესაბამისად, ჩვენი ხელისუფლების მარიფათზე ყოფილა დამოკიდებული, როგორ მოახერხებს მათ დარწმუნებას, რომ საქართველოში ცხოვრება საამურია და ცოტა გვიკლია იმ დრომდე, როცა ფეხს ფეხზე გადავიდებთ და ჩვენს მოხუცებს ევროპელები მოუვლიან. ანუ, **დაგვემართება დაახლოებით იგივე, რაც დაემართა საბერძნეთს, ქვეყანას, რომელიც ევროკავშირში შევიდა და... რამდენჯერმე გაკოტრდა. ჰო, ქვეყანა გაკოტრდა და უმძიმესი ფინანსური კრიზისი გადაიტანა. ფინანსურის გარდა, იყო პოლიტიკური კრიზისიც, პარლამენტისა თუ მთავრობის რამდენჯერმე გადადგომა. ქართულ სინამდვილეში ეს რომ წარმოვიდგინოთ, ხომ ხვდებით, სადამდე მივალთ?!**

ახლა, ხელისუფლებას რომ ვუთხრათ, მათხოვრების აღრიცხვა დაიწყეთო, ვერ მოახერხებს, რადგან ქუჩაში ყოველდღიურად ახალ-ახალი გაჭირვებული გამოდის და, თუ ვინმე აკლდება, მხოლოდ იმიტომ, რომ გამწარებული სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლის და მათი სამუდამო განსასვენებელიც ძირითადად უპატრონოთა სასაფლაოზეა. ამიტომ ლოგიკურიც იყო, სამიოდე წლის წინათ ნაძალადევის გამგეობამ ტენდერი რომ გამოაცხადა 100 კუბოსა და ამდენივე სუდარის შეძენაზე, უპოვართათვის უფასოდ გადასაცემად გვინდაო. სამწუხაროდ, ეს რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ეჭვი გვაქვს, თუ ასე გაგრძელდება, მალე ყველა გამგეობა გამოაცხადებს ანალოგიურ ტენდერს.

ზემოთ მათხოვრების აღრიცხვა ვახსენეთ და არ გვიხუმრია. მაგალითად, შვედეთში ანალოგიური პრაქტიკა უკვე შემოიღეს და მათხოვრებს ლიცენზიის გარეშე მათხოვრობა ეკრძალებათ. პრინციპში, კი არ ეკრძალებათ, მაგრამ, თუ ლიცენზია არ ექნება, დაახლოებით 400 დოლარით დააჯარიმებენ. 400 დოლარი ქართულ ვალუტაზე დაახლოებით 1200 ლარია, ანუ ის თანხა, რომელიც სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, 5-სულიანმა ოჯახმა სამი თვის განმავლობაში უნდა იკმაროს. ბედის ირონიაა, ევროპაში ერთი მათხოვრის ჯარიმა საქართველოში ხუთსულიანი ოჯახის სამი თვის სარჩო რომ არის. მათხოვრის ლიცენზია შვედეთში ევროპული საზომებით ძვირი არ არის და ის დაახლოებით ასი ლარის ოდენობისაა. ახლა წარმოიდგინეთ, ასლარიანი ლიცენზია რომ მოსთხოვოს ხელისუფლებამ მათხოვრებს, რა ოდენობის თანხა შევა ბიუჯეტში. სრული სერიოზულობით ვამბობთ: **არ გამორიცხოთ, რომ ხელისუფლებამ ამ მიმართულებით ფიქრი დაიწყოს, რადგან რეალურად, ქართული ბიუჯეტი მხოლოდ გადასახადებიდან ივსება, თორემ რაიმეს წარმოებაზე, კარგა ხანია, ხელი ავიღეთ და არც უახლოეს პერსპექტივაში ჩანს, რომ წარმოებით დავკავდებით.**

უკვე გავარკვიეთ, რომ ერთი ევროპელი მათხოვარი იმ ხუთ ქართველზე უკეთესად ცხოვრობს, რომლებსაც სახელმწიფო ეხმარება. ახლა ისიც ვთქვათ, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელმა რამდენიმე დღის წინათ რომ განაცხადა: ოჯახები, რომლებსაც უჭირთ, ბევრ შვილს ნუ აჩენენ, რადგან ხომ უნდა ხვდებოდნენ, რომ ვერ გაზრდიანო?! დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც ასე მწვავედ დგას და რომელზეც არაერთხელ დაგვიწერია, ინტელიგენციას (უფრო ზუსტად კი ხელისუფლების მხარდამჭერებთან ასოცირებულ ინტელიგენციას) კი არ ადარდებს, პირიქით — მოგვიწოდებს: ბევრი შვილი არ გააჩინოთ, გაჭირდა ცხოვრებაო. საკანონმდებლო დონეზეც ხომ არ დავაწესოთ, ვის რამდენი შვილის ყოლის უფლება აქვს და საზოგადოდ, ისიც გავარკვიოთ, ცოლის მოყვანის ან გათხოვების უფლების მოსაპოვებლად რა პარამეტრებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ? ამ მიმართულებით დავაწესოთ ლიცენზიები, ფასიც ძვირი დავადოთ და, მაგალითად, თუ ცოლის მოყვანა გინდა, კეთილი ინებე და ბიუჯეტში ათასი ლარი გადაიხადე. **მერე ყველაფერი თავისით მოგვარდება, ათასი ლარის გადამხდელი ბევრი არ იქნება, აღარ შეიქმნება ოჯახები, აღარ გახდება ეს ოჯახი ხუთსულიანი და სახელმწიფოც იმ 361 ლარს დაზოგავს, ეს თანხა ბიუჯეტში დარჩება და ხელისუფალნი ხელფასებსაც გაიზრდიან (ჭარბ ფულს ხომ უნდა უქნან რამე?!)**

ახლა მთავარია, ხელისუფლება დროულად გამოფხიზლდეს, შეეშვას ცალკე ჩვენი და ცალკე ევროპელების მოტყუებას და იმის მტკიცებას, რომ წინ მივიწევთ. **ევროპას რეალური სურათი რომ დავუდოთ წინ, კავშირში კი არა, აეროპორტებშიც აღარ შეგვიშვებს. პრინციპში, იმ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ, რომელიც ასე ზარ-ზეიმით აღვნიშნეთ, არაერთი ასეული ქართველი სწორედ აეროპორტიდან გამოაბრუნეს უკან, ზოგს საკმარისი თანხა არ ედო ჯიბეში, ზოგიც სახეზე არ მოეწონათ და ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, სახელმწიფოს თავისი მოქალაქე დაეცვას და გაეპროტესტებინოს: თუ სრულუფლებიან წევრად აღგვიქვამთ, მაშინ ქვეყანაში შესვლას რატომ გვიშლითო?!** მანამდე კი, მათხოვრების აღრიცხვა კი არა, სადმე ერთი დიდი თავშესაფარი მოაწყვეთ და ეგებ არასრულწლოვანები მაინც ღამით ნორმალურად დააძინოთ, დღისით საკვები მისცეთ და რამე ხელობა ასწავლოთ, რათა მთელი ცხოვრება ურნაში გადაყრილი საკვების იმედად არ იყვნენ. ბავშვობიდანვე რომ ამას აკეთებს, სხვა რამეს, უბრალოდ, ვერ ისწავლის...

**ბესო ბარბაქაძე**

**2019 წლის აღმოსავლურმა ეკონომიკურმა ფორუმმა ნათლად წარმოაჩინა რუსეთის მზარდი გავლენა არა მხოლოდ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, არამედ სრულიად მსოფლიოში, და განამტკიცა უკვე მიღწეული წარმატებები და ქვეყანას გაუხსნა სამხედრო-პოლიტიკური, ფინანსურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები.**

გეოპოლიტიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# რუსეთი მსოფლიოს პოლიტიკაში წამყვან პოზიციაზე გავიდა

**რუსეთის ქალაქ ვლადივოსტოკში რამდენიმე დღის წინათ დასრულდა V აღმოსავლური ეკონომიკური ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა 8 500 სტუმარი მსოფლიოს 65 ქვეყნიდან. ფორუმის შედეგებმა აჩვენა, რომ რუსეთი გახდა ქვეყანა, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოს დღის წესრიგს.**




## ინდოეთი

14,5 მლრდ დოლარის რუსული იარაღის შესყიდვის გახმაურებული კონტრაქტებისა და „როსატომის" მიერ 2040 წლამდე 20 ატომური ელექტროსადგურის აშენების შესახებ შეთანხმების გარდა, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინისა** და ინდოეთის პრემიერმინისტრ **ნარენდრა მოდის** თანდასწრებით ხელმოწერილი დოკუმენტების პაკეტი ბევრი სხვა შეთანხმების რეალიზაციას ითვალისწინებს.

ლაპარაკია რუსულ-ინდური ლოჯისტიკური დერეფნის შექმნაზე ირანისა და პაკისტანის გავლით თანამშრომლობაზე კოსმოსში, შორეულ აღმოსავლეთ-არქტიკის რეგიონში (ამ მიმართულებით ინდოეთმა 1 მლრდ დოლარი გამოყო), თავდაცვის სფეროსა და ნახშირწყალბადის ენერგეტიკაში. და ეს ყველაფერი მოხდება უდოლარო ვაჭრობის პირობებში (რაც, სხვათა შორის, სრულად შეესაბამება ინგლისის ბანკის ხელმძღვანელ მარკ კარნის ინიციატივას დოლარზე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს მთავარ ვალუტაზე, უარის თქმის შესახებ).

ისიც აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის მიხედვით მეორე და ეკონომიკის სიძლიერით მესამე ქვეყნის მმართველი პარტიის ლიდერ **ბჰარატია ჯანატას**, თავისი ნაციონალისტური განწყობების მიუხედავად, კარგი კონტაქტები აქვს დიდი ბრიტანეთის უმაღლეს წრეებში. ეს კარგად გამოჩნდა ცოტა ხნის წინანდელი ფულის რეფორმის მიმდინარეობისას. დელისა და ლონდონს შორის შეთანხმების რაღაც ფორმის გარეშე ინდური მხარე ასეთ მასშტაბურ კონტრაქტებს ხელს არ მოაწერდა, თანაც „ერთი ზალპით", რაც ამ ფაქტს დამატებით პოლიტიკურ განზომილებას ანიჭებს.

ეს განზომილება, უწინარესად, მდგომარეობს იმაში, რომ **„სტრატეგიული და განსაკუთრებით პრივილეგიური ხასიათი", რომელიც ყოველთვის იყო დამახასიათებელი რუსულ-ინდური ურთიერთობისთვის, ახლა პრინციპულად ახალ დონეზე გადავიდა. და ეს სიგნალია არა მხოლოდ აშშ-ის ან ჩინეთისთვის, არამედ სრულიად მსოფლიოსთვის: რუსეთმა მის წინააღმდეგ კოლექტიური დასავლეთის მიერ გაჩაღებულ 5-წლიან „ჰიბრიდულ ომს" არა მხოლოდ გაუძლო, არამედ, ფაქტობრივად, დაიწყო მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგის შექმნა. ასე რომ, როგორც სახარებაშია ნათქვამი, „ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა".**

უნდა გავაცნობიეროთ, რომ თუნდაც მხოლოდ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის „კალიბრებიანი" ხომალდების ბაზირების პერსპექტივა ინდოეთის ოკეანის აკვატორიაში „დოლარის იმპერიისთვის" კოშმარია, რომელსაც შეუძლია, ჯვარი დაუსვას გლობალური ეკონომიკის ამჟამინდელ მატრიცას, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენზე.

## იაპონია

2019 წელს აღმოსავლური ეკონომიკური ფორუმის მნიშვნელობით მეორე მოვლენა იყო ამომავალი მზის ქვეყნის პრემიერმინისტრ **სინძო აბეს** ჩასვლა ვლადივოსტოკში. არსებულ ვითარებაში მისი ვიზიტი შეიძლება შეფასდეს, როგორც ოფიციალური ტოკიოს მიერ დამარცხების ჩუმი აღიარება მოსკოვთან პაექრობაში, და არა როგორც სამხრეთ კურილებზე თევზის გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობის გამო პროტესტის შედეგი. რუსეთის პრეზიდენტმა პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, როცა ფორუმზე დამსწრე უცხო სახელმწიფოების მეთაურებს მიმართა, აბე ყველაზე ბოლოს ახსენა — მონღოლეთის პრეზიდენტ **ჰალტმაგიინ ბატულგას,** ინდოეთის პრემიერმინისტრ **ნარენდრა მოდისა** და მალაიზიის პრემიერმინისტრ **მაჰათჰირ მოჰამადის** შემდეგ.

და დამატებით: ვლადივოსტოკისკენ მიმავალ გზაზე (ასე დაემთხვა) პუტინი ეწვია ულან-ბატორს, სადაც დაესწრო ხალხინ-გოლის ბრძოლების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს; იმ ბრძოლებისა, რომლებშიც საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სამხედრო ნაწილებმა **გიორგი ჟუკოვის** (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მარშალი) ხელმძღვანელობით გაანადგურეს იაპონელი აგრესორები.

ერთი წლის წინათ იმავე აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე იაპონიას, მისი თანხმობით და მისივე ინიციატივითაც კი, შესთავაზეს, აშშ-ის კილვატერიდან გამოსულიყო, შეერთებოდა რუსეთსა და ჩინეთს და ამით შეიქმნებოდა „ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის დიდი რგოლი". ამასთანავე — ფაქტობრივად, თვით ტოკიოს პირობებით, იაპონიას შესთავაზეს ბერინგის სრუტიდან სამხრეთ წყნარი ოკეანის რეგიონამდე ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის „გიგანტური კონექტორის" როლი თავისი ლოჯისტიკური ჰაბით კურილის კუნძულებზე.

მაგრამ, როგორც ჩანს, მოხუცის, მისი ცოლისა და ოქროს თევზის ზღაპრის მსგავსად, ტოკიოში გადაწყვიტეს, გადაეხედათ გარიგების დეტალებზე და მოითხოვეს სამხრეთ კურილის დაბრუნება თავიანთ იურისდიქციაში... და ვერაფერს მიაღწიეს.

**ახლახან კი სინძო აბემ განაცხადა თავდაპირველ ვარიანტთან დაბრუნების მზადყოფნის შესახებ, მაგრამ ამჯერად პაუზა აიღო რუსეთმა. იაპონიის პრემიერის რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებებზე გამოითქვა მზადყოფნა, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხდეს აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტზე, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება ჩილეში.**

უმაღლეს დონეზე შეხვედრისას პუტინმა განაცხადა „ორმხრივი კავშირის განვითარების სამომავლო ნაბიჯების" შესახებ, რაც, მოსკოვისა და ტოკიოს ამჟამინდელი და წარსული ურთიერთობების გათვალისწინებით, უცნაურია, მაგრამ არანაკლებ უცნაური ჩანდა აზრი რუსეთისა და თურქეთის კავშირის შესახებ, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, რეალობად იქცა...

## ჩინეთი

2018 წლისგან განსხვავებით, 2019 წლის აღმოსავლურ ეკონომიკურ ფორუმზე არ იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინპინი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თითქოს რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობაში რაღაც „უკუქცევა" დაიწყო, უფრო პირიქით — ამის დასტურია იაპონიის ზღვის თავზე საჰაერო სივრცეში სტრატეგიული ბომბდამშენების ერთობლივი პატრულირება.

2 მლრდ-ზე მეტი შემოსავლის მქონე აგროსამრეწველო კორპორაცია Mengniu Dairy Company Limited-ის ვიცეპრეზიდენტმა **ჩჟაო ძენცზიუნმა** ასე შეაფასა ვითარება:

„რუსეთსა და ჩინეთს შორის დამატებითი ურთიერთთანამშრომლობა აშკარაა. ჩვენ ამჟამად მხოლოდ ერთობლივად შევძლებთ ყველა საკითხის გადაწყვეტას". და ეს არ არის ვიღაც ცალკე ბიზნესმენის პირადი აზრი, ეს არის საერთო ხაზი ჩინეთის კომპარტიისა და მთავრობისა, რომელიც იძულებულია, სავაჭრო და საფინანსო ომი აწარმოოს აშშ-თან.

როგორც ჩანს, ამჟამინდელ აღმოსავლურ ეკონომიკურ ფორუმში ჩინეთის ლიდერის მონაწილეობა მიზეზთა გამო მიზანშეუწონლად მიიჩნიეს. ამასთანავე, როგორც სპეციალურად აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** 2019 წლის 5 სექტემბერს გაზეთ „იზვესტიისთვის" მიცემულ ინტერვიუში, თანამედროვე ჩინეთი „უფროს ძმასავით" არის რუსეთისთვის, ხოლო მასთან ურთიერთობა, რომელმაც მრავალწახნაგოვან პარტნიორობასა და სტრატეგიულ ურთიერთქმედებას მიაღწია, თანაბარუფლებიან და ურთიერთსასარგებლო საფუძველზე იგება.

რუსეთ-ჩინეთის საინვესტიციო ფონდის თანადირექტორის მოადგილის — **ოლეგ ჩიჟის** თქმით, დღეისათვის მხოლოდ ამ ფონდმა ჩადო 7 მლრდ-ზე მეტი ინვესტიცია 35 ერთობლივ პროექტში. ყოველ შემთხვევაში ვლადივოსტოკში გამართულ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თათბირზე სპეციალურად განიხილეს შორეული აღმოსავლეთისა და არქტიკის რეგიონის ტერიტორიის განვითარების საკითხები, მათ შორის, უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მიზიდვის ზომები.

## მალაიზია

მალაიზიის 94 წლის პრემიერმინისტრის, **მაჰათჰირ მოჰამადის,** ვლადივოსტოკში ჩასვლა 2019 წლის ეკონომიკური ფორუმის მთავარ სენსაციად იქცა. გასაგებია, რომ რუსეთში სამუშაო ვიზიტით ჩასვლაზე, იქიდან კი — იაპონიაში, მას რაღაც საგანგებო გარემოებებმა უბიძგა. თუმცა, 15-წლიანი „პენსიის" შემდეგ, 2018 წელს დიდ პოლიტიკაში დაბრუნება ადამიანისა, რომელიც 1981-2003 წლებში შეუცვლელად ხელმძღვანელობდა მალაიზიის მთავრობას, საგანგებო მდგომარეობაა.

როგორც ცნობილია, ბრიტანეთის ყოფილი კოლონია მალაიზია, რომელმაც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი 1963 წელს მოიპოვა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანია Malaysian Airlines-ის „ბოინგ 777"-ის კატასტროფის გამოძიებაში. ეს ავიალაინერი, რომელიც რეის MN-17-ით ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურში მიფრინავდა, 2014 წლის 17 ივლისს დონბასის თავზე ჩამოაგდეს, მაჰათჰირ მოჰამადი კი ყოველთვის გამოთქვამდა ეჭვს ამ კატასტროფის „დასავლური" ვერსიის მიმართ, რომლის თანახმადაც თვითმფრინავი „პრორუსულმა სეპარატისტებმა" ჩამოაგდეს რუსეთის მიერ მიცემული საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკით".

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან, ფაქტობრივად, დეზავუირება მოახდინა სტატუსისა თავისი ქვეყნის, როგორც საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის სრულუფლებიანი მონაწილისა ამ საქმეში, როცა განაცხადა, რომ მალაიზიის წარმომადგენლები თავიდანვე იყვნენ ჩამოცილებულნი ამ ჯგუფის მუშაობას და გამოძიების შედეგები მიზნად ისახავდა არა კატასტროფის ჭეშმარიტი მიზეზების დადგენას, არამედ იმის დამტკიცებას, რომ ამ კატასტროფაზე პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება, ამიტომ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ დაწესებული სანქციები გამართლებულია.

თუ მალაიზიის მხარეს, ამჟამინდელი პრემიერმინისტრის სახით, აქვს ამ მოსაზრების დამამტკიცებელი აუცილებელი სამხილები, მაშინ მათი გამომზეურება ნამდვილი „ბომბი" იქნება. გასაგებია, თანამედროვე მსოფლიოს ეს ფინანსურ-ეკონომიკურ სტაბილურობას არ შეჰმატებს, მიუხედავად იმისა, რომ დასავლელი პოლიტიკოსებიდან, რომლებიც ამ მოვლენასთან იყვნენ დაკავშირებულნი, დღეს ხელისუფლებაში არიან მხოლოდ **ანგელა მერკელი** და **სინძო აბე...**

ამას მშვენივრად ხვდება ისეთი გამოცდილი და ავტორიტეტული ლიდერი, როგორიც მაჰათჰირ მოჰამადია, ამიტომ შეუძლებელია, არ ეძებდეს ასეთი სპეციფიკური „აქტივის" რეალიზაციის ოპტიმალურ ვარიანტს და მისი საქციელი ეკონომიკური ფორუმის პლენარული სხდომის მიმდინარეობისას, რომელიც მან նაადრევად დატოვა, შეიძლება ზემოხსენებული გარემოებებით აიხსნას.

## მონღოლეთი

**მონღოლეთს,** ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, ამერიკელები დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდნენ, როგორც პოტენციურ პლაცდარმს თავიანთი ზემოქმედების პროექციისთვის ერთდროულად რუსეთსა და ჩინეთზე და უზარმაზარ ძალისხმევას იჩენდნენ იქ ფეხის მოსაკიდებლად, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ის წარმატებები, რომლებსაც მათ მიაღწიეს, სრულიად ნიველირებულია, რაც აუცილებლად აისახება ავღანეთში აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის პერსპექტივაზე.

ამრიგად, **2019 წლის აღმოსავლურმა ეკონომიკურმა ფორუმმა ნათლად წარმოაჩინა რუსეთის მზარდი გავლენა არა მხოლოდ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, არამედ სრულიად მსოფლიოში, განამტკიცა უკვე მიღწეული წარმატებები და ქვეყანას გაუხსნა სამხედრო-პოლიტიკური, ფინანსურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები.**

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რევოლუციის შემდგომ, 1917 წლის 2 ნოემბერს, პირველი მნიშვნელოვანი დეკრეტი, რომელიც ლენინის ხელისუფლებამ მიიღო, იყო დეკლარაცია რუსეთში შემავალი ხალხების უფლებების შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა უშუალოდ სტალინი და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ლენინი. პირველი, ვინც თვითგამორკვევის უფლებით ისარგებლა და დატოვა რუსეთის ფარგლები, ფინელები იყვნენ, შემდეგ — ბალტიისპირელები, მათ მიჰყვა უკრაინა, სულ ბოლოს რუსეთს ამიერკავკასიის რესპუბლიკები ჩამოშორდნენ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32, 2019 წ.

# სტალინის პირადი ცხოვრების ნაკლებად ცნობილი ფაქტები

**სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობის შემდეგ დასავლეთის მიერ მოსყიდულმა პარტიულმა ელიტამ თანმიმდევრულად დაიწყო ქვეყნისა და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების მორყევა. ჯერ კიდევ რევოლუციის წინა პერიოდში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ აძლიერებდნენ რევოლუციურ მუხტს რუსეთის იმპერიაში, „მათ გათვლილი ჰქონდათ, რა ფორმით და როგორ უნდა განაწილებულიყო ნედლეულით მდიდარი ტერიტორია, რომელზე მცხოვრები ადამიანებიც „უვარგისია ცივილიზაციისთვის“ (მარკიზ დე კიუსტინი).**

ამ მიზნით, **სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსულმა მიგრანტებმა რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაიწყეს განხორციელება თავიანთი ჩანაფიქრისა, რომლისთვისაც ყველაზე იოლი გზა სამოქალაქო ომის გაჩაღება იყო, რათა სხვათა დაუხმარებლად ერთმანეთი დაეხოცათ აბორიგენებს, რომლებიც ამ მდიდარ ტერიტორიას განაგებდნენ. რევოლუციის შემდგომ ქვეყნის სათავეში ადგილობრივ მცხოვრებთა 2% მოხვდა, დანარჩენი ყველა არარუსი იყო, არა რუსეთის პატრიოტები, ავანტიურისტები და სწორედ მათ დაიწყეს თავიანთი ავანტიურისტული გეგმების განხორციელება.**

მივყვეთ თავიდან: სტალინის წინააღმდეგ პირველად ქართველმა რევოლუციონერებმა გაილაშქრეს, სწორედ აქ, საქართველოში უწოდეს მას ნაცრისფერი რევოლუციონერი და წარმოშობით ოსი პროვოკატორი. სწორედ ქართველმა რევოლუციონერებმა აიძულეს ახალგაზრდა კობა, გასცლოდა საქართველოს, თავისი ცხოვრება სხვა ხალხების სამსახურში გაეტარებინა და სხვა მიწას მიბარებოდა. როგორც ბევრი სხვა უბედურება, ესეც ჩვენი „საამაყო მენშევიკების“ ბრალია.

ტურუხანსკის გადასახლებიდან 1917 წლის 12 მარტს პეტროგრადში დაბრუნებული სტალინი იმავე დღეს მივიდა „პრავდის“ რედაქციაში და გამოაქვეყნა გაზეთის პირველ გვერდზე წერილი, ხოლო 14 მარტს — ორი დღის შემდეგ, ხელში აიღო „პრავდის“ რედაქტორობა და დაიწყო შეტევა დროებით მთავრობაზე. 18 მარტს სტალინი აირჩიეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობაში და დანიშნეს პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. **დროებითი მთავრობის თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა შტაბმა მიიღო დაშიფრული ტელეგრამა თავისი სამხედრო აგენტისგან, რომ ლენინი მოსყიდულია გერმანიის დაზვერვის მიერ და თანმხლებ პირებთან ერთად დალუქული ვაგონით მიემართება პეტროგრადისკენ.** (იხ. ფოტო №1)

დროებითმა მთავრობამ ხმაური ატეხა მიღებული ინფორმაციის გამო, რაც იმის მიზეზი შეიქნა, რომ გამოეწერათ ორდერი ლენინის დაპატიმრების შესახებ.

1917 წლის 7 ივლისს გამოიცა ბრძანება **ლენინის** დაპატიმრების შესახებ გერმანიის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით. სტალინმა ლენინი ალილუევების ოჯახში გადამალა. ორი დღის შემდეგ სტალინმა თავისი ხელით გაპარსა ლენინს თავისი ცნობილი „ბლანჟე“ და, როგორც შეძლო, სახე შეუცვალა. ლენინს გაჰყვა **ზინოვიევი** და ორივემ სესტორეცკის ყურეს შეაფარეს თავი, როგორც მთიბავებმა. ტროცკის ჯვარი დაესვა ლენინის ადგილის დასაკავებლად. ქვეყნის ხელმძღვანელად სტალინი დარჩა. სწორედ სტალინი გამოვიდა პარტიის მეექვსე ყრილობაზე ლენინის ნაცვლად და ანგარიში ჩააბარა პარტიას. სტალინი იქნა არჩეული იმ ხელმძღვანელთა ვიწრო წრეში, რომლებიც უნდა გაძღოლოდნენ ცენტრალურ კომიტეტს.

„სტალინის ხმა“ კიდით-კიდემდე გაისმა იმპერიაში. სტალინზე იწერებოდა ყველა ცენტრალურ თუ პერიფერიულ პრესაში. 1917 წლის მარტიდან ოქტომბრამდე 400 გვერდზე შექმნა და გამოაქვეყნა საპროგრამო მასალები, რომლებიც მოცემულია დღეს ყველასგან მივიწყებულ მის თხზულებათა მესამე ტომში.



სტალინი ავტომობილში, უკან — ნადეჟდა ალილუევა


Р.С.Ф.С.Р.
Московский Совет
Отдел Местного Транспорта (МОСТРАНС)
АВТО-ОТДЕЛ
Действительно по 1 Октября 1922 г.
УДОСТОВЕРЕНИЕ №
Выдано оно тов. Сталину
должность Народному ком. Р.К.И.
для беспрепятственного проезда на автомобиле по Московской и прилегающим к ней губерниям.
НАЧ. АВТО-УПРАВЛ. МОСТРАНСА:
ЗАВ. АВТО-ИНСПЕКЦИЕЙ:

სტალინის მართვის მოწმობა, ქვეყნდება პირველად

რამდენად სკრუპულოზურად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას იმ საშვიდანაც ჩანს, რომელიც მასზე 1918 წლის 1 მარტს გასცეს. (იხ. ფოტო №2).

ეს საშვი სმოლნის სასახლეში შესვლის ნებართვაა, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ მას ყველა იცნობდა, საშვი მაინც უნდა გაესინჯათ, ასე იყო შემდგომ კრემლშიც. სტალინი ყველა შესვლა-გამოსვლაზე აკურატულად აწვდიდა თავის საშვს ოფიცერს, რის გამოც იგი ძალიან გაცვდა.

**რევოლუციის შემდგომ, 1917 წლის 2 ნოემბერს, პირველი მნიშვნელოვანი დეკრეტი, რომელიც ლენინის ხელისუფლებამ მიიღო, იყო დეკლარაცია რუსეთში შემავალი ხალხების უფლებების შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა უშუალოდ სტალინი და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ლენინი. პირველი, ვინც თვითგამორკვევის უფლებით ისარგებლა და დატოვა რუსეთის ფარგლები, ფინელები იყვნენ, შემდეგ — ბალტიისპირელები, მათ მიჰყვა უკრაინა, სულ ბოლოს რუსეთს ამიერკავკასიის რესპუბლიკები ჩამოშორდნენ.**

ლენინი ძალიან წუხდა ნაციონალური მხარეების ჩამოშორებას რუსეთისგან და ამტკიცებდა, რომ სწორედ ფედერალიზმი განამტკიცებს ქვეყნის ერთიანობასა და სიმტკიცეს, რომლის კატეგორიული წინააღმდეგიც იყო სტალინი.

1917 წლის ბოლოს სტალინმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ფედერალიზმის წინააღმდეგ“, რომელშიც წერდა:

**„ნუთუ გასაგები არ არის, რომ ფედერალიზმი რუსეთში ვერ გადაწყვეტს და არც შეუძლია გადაწყვიტოს ნაციონალური საკითხი, რომ ის მხოლოდ გააძნელებს და აურ-დაურევს ყველაფერს“** (იხ. ფოტო №3 და ფოტო №4).

ლენინის დაჟინებული მოთხოვნით რუსეთი მაინც გახდა ფედერაციული რესპუბლიკა. სტალინთან დიდი მუშაობა დასჭირდა ლენინურ გვარდიას და თვით ლენინს, რათა დაეთანხმებინათ წამოყენებულ იდეაზე. რა შედეგითაც დამთავრდა რუსეთის ფედერალიზმი, აშკარაა. მაგალითისთვის მხოლოდ ჩეჩენო-ინგუშეთისა და ამიერკავკასიის სხვა ხალხების რუსეთთან ურთიერთობაც კმარა, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოზე.

1922 წელს რუსეთში მძვინვარე შიმშილობამ უბიძგა ლენინსა და ტროცკის, თავის მხარეზე გადაეყვანათ ისედაც შეშინებული მღვდელმთავრები და რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელს თანხმობა ათქმევინეს საეკლესიო განძეულის ეკლესიებიდან გამოტანასა და გაყიდვაზე, რითაც უნდა შეეძინათ პური შიმშილობის დასაძლევად. მიუხედავად სასულიერო და საერო ხელისუფლებების ძალისხმევისა, რუსეთის მრევლმა ხელი არ ახლო საეკლესიო განძეულობას, რასაც ადგილებზე სისხლიანი შეტაკებებიც კი მოჰყვა.

**„ულმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარე ლევ ტროცკიმ 1922 წლის 12 მარტს სტალინს წერილით მიმართა, რომ ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს მონასტრებიდან სამონასტრო ქონების ამოღება და სთხოვს, მიიღოს ზომები პასუხისმგებელ პირთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ მიცემულ დავალებას. სტალინმა ტროცკის წერილს რეზოლუცია გაუკეთა „განვიხილოთ ბიუროზე“. სტალინი“.**

ლენინი და ტროცკი დეკრეტის ძალით მოითხოვდნენ იმ პირთა დაპატიმრებასა და დახვრეტას, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ მონასტრებიდან განძეულის გატანას, რის გამოც ქალაქ შუია-ვოსკრესენსკის ეკლესიის განძის მცველები 15 მარტს დეკრეტის ძალით დახვრიტეს. შედგა პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც სტალინის პრინციპულ მოთხოვნას, გაუქმებულიყო ლენინისა და ტროცკის მიღებული დეკრეტი ეკლესიებიდან განძის ამოღებისა და ადამიანთა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, პოლიტბიუროს უმრავლესობამ სტალინის წინადადებას მხარი დაუჭირა. მიუხედავად პოლიტბიუროს გადაწყვეტილებისა, ლენინი და ტროცკი სთხოვდნენ დავალების შემსრულებლებს, გაეგრძელებინათ განძის ამოღება და რეპრესიები.

თუ როგორ აისახება ლენინისა და ტროცკის დამოკიდებულება ეკლესიისა და მღვდელმსახურთა მიმართ, ოფიციალურ დოკუმენტებში თვალნათელი გახდება, როცა ამ ბრძანებას წაიკითხავთ:

**„ბრძანება №13666/2. 10/ 5/ 1919 წელი.**

**სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, ამხ. კ. ძერჟინსკის**

**სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დაამთავროთ მღვდლებისა და რელიგიის საქმე. მღვდლები დაპატიმრებულები უნდა იყვნენ, როგორც კონტრევოლუციონერები და მესაბოტაჟეები, ისინი ყველგან უმოწყალოდ უნდა იყვნენ დახვრეტილნი. რაც შეიძლება მეტი ეკლესია უნდა დაექვემდებაროს დაკეტვას. ტაძრები დალუქული და საწყობებად გამოყენებული უნდა იქნეს.**

**სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე კალინინი.**

**სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვი (ლენინი)** ▶


ШИФРОВАННАЯ ТЕЛЕГРАММА.
В.-Секретно.
Отъ кого: отъ военного агента
Кому: Огейквар
Откуда: изъ Петрограда.
По номеру 58025. Брутъ доказываетъ ... Германскимъ Правительствомъ ... лицъ собирающихся ѣхать черезъ Германiю. По словамъ агента эти лица знали что деньги выданы Германскимъ Правительствомъ. Этотъ же агентъ сказалъ Бруту что одинъ изъ уѣхавшихъ сообщилъ ему что онъ получилъ деньги отъ Германскаго Консула. Номеръ 00318.
ГОЛОВАНЬ.

ფოტო №1


Управление делами Временного Рабоч. и Крестьянск. Правительства.
Петроград.
Смольный Инстит.
Пропускъ № 21
Выданъ
на право свободнаго прохода въ Помещение Временнаго Рабочаго и Крестьянскаго Правительства въ Смольномъ Институте.
Управляющий делами Правительства

ფოტო №2

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 1917 წლის 7 ივლისს გამოიცა ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ გერმანიის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით. სტალინმა ლენინი ალილუევების ოჯახში გადამალა. ორი დღის შემდეგ სტალინმა თავისი ხელით გაპარსა ლენინს თავისი ცნობილი „ბლანჟე" და, როგორც შეეძლო, სახე შეუცვალა. ლენინს გაჯყვა ზინოვიევი და ორივემ სესტორეცკის ყურეს შეაფარეს თავი, როგორც მთიბავებმა. ტროცკის ჯვარი დაესვა ლენინის ადგილის დასაკავებლად. ქვეყნის ხელმძღვანელად სტალინი დარჩა.

◀ 1923 წლის 16 აგვისტოს პარტიის მე-12 ყრილობის შემდეგ სტალინმა გამოსცა ცირკულარული წერილი №30 ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა პარტიული ორგანიზაციის სახელმძღვანელოდ. წერილში ეწერა შემდეგი:

**„სასულიერო პირებთან და ორგანიზაციებთან დამოკიდებულების შესახებ".**

**ყველა გუბერნიასა და ორგანიზაციას! მოვითხოვთ, შეწყდეს ეკლესიების ძარცვა და დაკეტვა იმ მოტივით, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ამის განკარგულება გასცა, რეგისტრაციის გაუვლელობისთვის თუ ბეგარის გადაუხდელობისთვის. „დაპატიმრებები რელიგიური მოტივით", თუ მათ არ უმტკიცდებათ ანტისახელმწიფოებრივი ქმნედებები. შეწყდეს მლოცველთა დარბევა და დაშინება, რაც უფრო აძლიერებს რელიგიურ გრძნობებს".**

1936 წელს კულტურის სამინისტრომ სცენიდან მოხსნა **დემიან ბედნის** პიესა „გოლიათი", რომელიც რუსეთის მონათვლას ეხებოდა.

როგორც ჩანს, პიესის მოხსნა სცენიდან სტალინის მითითებით მოხდა, რაზეც მიანიშნებს დემიან ბედნის მიმართ სტალინის წერილი, რომელშიც სტალინი მკაცრად მიმართავს მას რუსი ხალხის აუგად მოხსენიების გამო. პიესაში კი წმინდა ვლადიმერი „დერჟიმორდად" ჰყავს გამოყვანილი. ეს რუსი ხალხის უპატივცემულობად ჩათვალა სტალინმა. პიესის ავტორი კი მკაცრად გააკრიტიკა. ის უსაქმურობა, რომელსაც დემიან ბედნი რუს ხალხს მიაწერს, „ეს რუსი ხალხის მიმართ ცილისწამებაა", — ასკვნის სტალინი.

„ამონაწერი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომის ოქმიდან.

12 მარტი 1933 წელი.

20-30-იან წლებში მიმდებარე ტერიტორიებსა და რაიონებში სრულიად განადგურდა 10 ეკლესია. სამასი დარჩენილი კი გადაკეთდა ქარხნის საამქროებად, კლუბებად, საერთო საცხოვრებლებად, ციხეებად, არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილ იზოლატორებად და კოლონიებად. არქიტექტურული განაშენიანების გეგმები ითვალისწინებს 500-ზე მეტი ტაძრისა და ეკლესიის აღებას. ყოველივე ამაზე დაყრდნობით, ცენტრალური კომიტეტი შეუძლებლად მიიჩნევს მშენებლობის პროექტრირებას ტაძრებისა და ეკლესიების ხარჯზე, რაც ძველი რუსული ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ ძეგლებად უნდა ჩაითვალოს. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები და მუშურ-გლეხური პოლიტმილიცია მოვალენი არიან, ყოველგვარი ზომები მიიღონ ძველი რუსული ხუროთმძღვრების არქიტექტურული ძეგლების დასაცავად და ამ საქმეში დისციპლინარული და პარტიული პასუხისმგებლობაც გამოიყენონ.

ცეკას მდივანი ი. სტალინი".

**„ამონაწერი ცკ-ის პოლიტბიუროს სხდომის ოქმიდან, 11 ნოემბერი 1939 წელი**

რელიგიის, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა და მართლმადიდებელი მორწმუნეებისადმი ცკ ადგენს:

1. ამიერიდან მიზანშეუწონლად ჩაითვალოს სსრკ-ის შსსკ-ის ორგანოების პრაქტიკა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა, მართმადიდებელ მორწმუნეთა დაპატიმრებისა;

2. ამხანაგ ულიანოვის (ლენინის) 1919 წლის 1 მაისის ბრძანებულება №13662/2 „მღვდლებთან და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ", რომლის შესრულება დავალებული ჰქონდა ამხ. ძერჟინსკისა და შესაბამის ორგანოებს, გაუქმდეს;

3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩაატაროს იმ ბრალდებულთა და დაპატიმრებულთა საქმეების რევიზია, რომლებიც უკავშირდებოდნენ ღვთისმსახურებას. გათავისუფლდნენ ის პატიმრები, რომლებიც ამ მოტივით იყვნენ დაპატიმრებულნი, თუ კი მათ მოქმედებას ზიანი არ მოუტანია საბჭოთა ხელისუფლებისათვის;

4. გადაწყვეტილებას იმ მორწმუნეთა საკითხის შესახებ, რომლებიც ციხეში იმყოფებიან და სხვა კონფესიებს განეკუთვნებიან, ცკ დამატებით გამოიტანს.

ცკ-ს მდივანი ი. სტალინი".

სტალინი, როგორც თავგანწირული რაინდი, ურყევად დგას რუსი ხალხის სადარაჯოზე და არავის მიუტევებს რუსი ხალხის შევიწროებასა და შეურაცხყოფას.


ფოტო №3


ფოტო №4

**სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსულმა მიგრანტებმა რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაიწყეს განხორციელება თავიანთი ჩანაფიქრისა, რომლისთვისაც ყველაზე იოლი გზა სამოქალაქო ომის გაჩაღება იყო, რათა სხვათა დაუსმარებლად ერთმანეთი დაეხოცათ აბორიგენებს, რომლებიც ამ მდიდარ ტერიტორიას განაგებდნენ. რევოლუციის შემდგომ ქვეყნის სათავეში ადგილობრივ მცხოვრებთა 2% მოხვდა, დანარჩენი ყველა არარუსი იყო, არა რუსეთის პატრიოტები, ავანტიურისტები და სწორედ მათ დაიწყეს თავიანთი ავანტიურისტული გეგმების განხორციელება**

აი ამის ნათელი მაგალითი:

**„1943 წლის 4 სექტემბერს გამომიძახეს სტალინთან (წერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 განყოფილების ხელმძღვანელი გ. გ. კარპოვი ) და მომთხოვეს, მიმეწოდებინა შემდეგი ინფორმაცია:**

1. მიტროპოლიტ სერგის დახასიათება (ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, მისი ავტორიტეტი ეკლესიაში, მისი დამოკიდებულება ხელისუფლებასთან);

2. მიტროპოლიტების — ალექსისა და ნიკოლაის — დახასიათება;

3. როდის და როგორ იქნა არჩეული პატრიარქად ტიხონი;

4. ვინ არიან მსოფლიო და იერუსალიმის პატრიარქები;

5. ინფორმაცია ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელების შესახებ;

6. როგორ მატერიალურ პირობებში იმყოფებიან ამჟამად მიტროპოლიტები სერგი, ალექსი და ნიკოლაი;

7. საბჭოთა კავშირში მართლმადიდებლური ეკლესიებისა და საეპისკოპოსოების შემოსავლები;

მას შემდეგ, როდესაც პასუხი გავეცი, დამისვეს პირადი ხასიათის 3 კითხვა:

1. ვარ თუ არა რუსი?

2. რომელი წლიდან ვარ პარტიაში?

3. რა განათლება მაქვს და რატომ ვარ გათვითცნობიერებული საეკლესიო საკითხებში?

ამის შემდეგ ამხანაგმა სტალინმა თქვა:

— საჭიროა, შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც განახორციელებს ეკლესიის ხელმძღვანელობასთან კავშირს და მე მომმართა, მქონდა თუ არა ამის შესახებ წინადადება. ვუპასუხე, რომ ამ საკითხისთვის საკმარისად მზად არ ვიყავი, მაგრამ ვთქვი, რომ, ვინაიდან უკვე არსებობდა საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მუდმივად მოქმედი კომისია კულტის საქმეების შესახებ, აქედან გამომდინარე, შექმნილიყო სსრკ-ის უმაღლეს საბჭოსთან კულტის საქმეთა განყოფილება.

ამხ. სტალინმა შემისწორა, რომ მსჯელობა მიდიოდა არა უმაღლეს საბჭოსთან, არამედ მთავრობასთან არსებულ ორგანოს შექმნაზე და საუბარია, ან კომიტეტის, ან საბჭოს ორგანიზებაზე, შემდეგ ისევ ჩემი აზრი იკითხა.

ვუპასუხე, რომ მიჭირდა ამ საკითხებზე აზრის გამოთქმა. სტალინი კი დაფიქრდა და შემდეგ განაცხადა:

1. საჭიროა, მთავრობასთან (სახკომსაბჭოსთან) შეიქმნას საბჭო, რომელსაც ვუწოდებთ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიების საქმეთა საბჭოს;

2. საბჭოს დაეკისრება, განახორციელოს ურთიერთკავშირი მთავრობასა და პატრიარქს შორის;

3. საბჭო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს არ იღებს, აბარებს ანგარიშს და იღებს მითითებებს მთავრობისგან.

ამხანაგმა სტალინმა მალენკოვსა და ბერიასთან შეათანხმა და შემდეგ მეც მკითხა აზრი, საჭირო იყო თუ არა მიტროპოლიტების — სერგის, ალექსისა და ნიკოლაის მიღება. როცა დადებითი პასუხი მიიღო, იქვე ამხანაგ სტალინის აგარაკზე დამავალეს, დამერეკა მიტროპოლიტ სერგისთან და მთავრობის სახელით გადამეცა შემდეგი:

თქვენ გესაუბრებათ სახ. კომისართა საბჭოს წარმომადგენელი. მთავრობას სურვილი აქვს, მოგიწვიოთ თქვენ, აგრეთვე, მიტროპოლიტები — ალექსი და ნიკოლაი, მოისმინოს თქვენი გასაჭირი და დაგეხმაროთ თქვენი პრობლემების გადაჭრაში. თქვენი მიღება შესაძლებელია ან დღესვე საათ—საათნახევრის შემდეგ, ან, თუ ეს დრო არ გაკმაყოფილებთ, მაშინ მიღების ორგანიზება შეიძლება ხვალ (კვირას), ან მომავალი კვირის ნებისმიერ დღეს. იქვე ამხნაგ სტალინის თანდასწრებით დავუკავშირდი მიტროპოლიტ სერგის და გადავეცი ზემოაღნიშნული, ვთხოვე მოთათბირებოდა მიტროპოლიტ ალექსისა და ნიკოლაის, თუ ამჟამად ისინი მასთან იმყოფებოდნენ.

ამის შემდეგ სტალინს მოვახსენე, რომ მიტროპოლიტები მადლობას უხდიან მთვრობას ასეთი ყურადღებისთვის და გამოთქვეს სურვილი, რომ დღესვე მოვიდოდნენ მიღებაზე.

ორი საათის შემდეგ მიტროპოლიტები — სერგი, ალექსი და ნიკოლაი კრემლში მობრძანდნენ, სადაც ისინი ამხანაგმა სტალინმა მიიღო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში. მიღებას ვესწრებოდით მე და ამხანაგი მოლოტოვი.

ამხ. სტალინისა და მიტროპოლიტების საუბარი 1 საათი და 55 წუთი გრძელდებოდა.

ამხ. სტალინმა მიტროპოლიტებს უთხრა, რომ საბჭოთა მთავრობამ იცის ომის პირველი დღეებიდანვე ეკლესიის პატრიოტული საქმიანობის შესახებ, რომ ფრონტიდან და ზურგიდან მთავრობა მრავალ წერილს იღებს, რომლებშიც მოწონებულია ეკლესიის პოზიცია სახელმწიფოს მიმართ.

ამხ. სტალინმა მოკლედ აღნიშნა ეკლესიის დადებითი როლის შესახებ ომის დროს. სთხოვა სტუმრებს, გამოეთქვათ საპატრიარქოში არსებული და მათი პირადი გადაუჭრელი პრობლემები.

მიტროპოლიტმა სერგიმ ამხ. სტალინს მოახსენა, რომ ყველაზე მთავარ და მომწიფებულ პრობლემას წარმოადგენს ეკლესიის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის საკითხი, რადგან, უკვე 18 წელია, იგი საპატრიარქოს მეთვალყურეობს, მაგრამ საბჭოთა კავშირში სინოდი არ მოქმედებს 1935 წლიდან; ამიტომ სასურველია მღვდელმთავართა კრების მოწყობა, რომელიც აირჩევს პატრიარქს და 5-6 არქიელისგან შემდგარ ორგანოს (სინოდს).

მიტროპოლიტებმა ალექსიმ და ნიკოლაიმ ასევე გამოთქვეს აზრი სინოდის შექმნის აუცილებლობაზე და დაასაბუთეს, რომ ეს არის ყველაზე სასურველი და მისაღები ფორმა; აღნიშნეს, რომ მღვდელმთავართა კრებაზე სავსებით კანონიკურია.

მოიწონა რა მიტროპოლიტ სერგის წინადადება, ამხ. სტალინმა დასვა კითხვები:

ა) როგორი წოდება ექნება პატრიარქს?

ბ) როდის იქნება შესაძლებელი მღვდელმთავართა შეკრება?

გ) საჭიროა თუ არა დახმარება მთავრობის მხრიდან, რათა კრება წარმატებულად ჩატარდეს (შენობა, ტრანსპორტი, ფულადი დახმარება და ა.შ)?

მიტროპოლიტმა სერგიმ უპასუხა, რომ ეს საკითხი მათ წინასწარ განიხილეს და ისინი მიიჩნევენ სასურველად და სწორად, თუ მთავრობა ნებას დართავს, პატრიარქს მიენიჭოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წოდება (ასეთი იყო პატრიარქ ტიხონის წოდება).

ამხ. სტალინი დაეთანხმა.

მეორე კითხვაზე მიტროპოლიტმა სერგიმ უპასუხა, რომ მღვდელმთავართა კრება შესაძლებელი იქნება ერთი თვის შემდეგ. ამხ. სტალინმა გაიღიმა და იკითხა:

— განა არ შეიძლება ბოლშევიკური ტემპების გამოვლენა?

ამ კითხვით მე მომმართა, ამიტომ ვუპასუხე, რომ, თუ ჩვენ დავეხმარებით მიტროპოლიტ სერგის შესაბამისი ტრანსპორტით (თვითმფრინავებით) ეპისკოპოსთა მოსკოვში ჩამოსაყვანად, მაშინ კრება შეიძლება ჩატარდეს 3-4 დღის შემდეგ.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მომავალი უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მწარმოებლობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით. ერი, რომლის წარმოება შეფერხდა სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით და ხეირიანად ველარ აჯილდოვებს მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული".

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

თვითმოქმედება პირადი ინიციატივის, თაოსნობის გამოჩენაა რაიმე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასე განმარტავს უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი ამ სიტყვას. საქართველოს ახსოვს მის სახელოვან შვილთა თაოსნობითა და პირადი ინიციატივით რამდენი კარგი რამ გაკეთდა ქვეყნისთვის, თუმცა დღეს ცხოვრება ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს და ახალ-ახალ ინიციატივებსა და იდეებს მოითხოვს ჩვენგან.

ცნობილია, რომ ნიკო ნიკოლაძის, როგორც საზოგადო მოღვაწის, გაზეთების გამომცემლის, ნიჭიერი პუბლიცისტის, მეცნიერის, პოლიტიკოსის, განმანათლებლისა და სახელმწიფო მოხელის ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრება გაჯერებული იყო მისი დროის საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობითა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილეობით. ამ ადამიანს ყველაფერი ახალი, ინოვაციური ჩამოჰქონდა საქართველოში, იყო პიონერი ძალიან ბევრ საქმეში. საქართველოს ისტორიაში ის შევიდა, როგორც ტყიბულის, ჭიათურის სამთომრეწველობის, ფოთის პორტის ფუძემდებელი... ჯერ კიდევ შორეულ 1871 წელს ფოთის მომავალი თავკაცი წერდა, „სანამ ფოთში პორტი არ გაიმართება, ისეთი, რომ ზღვის გემებს ყოველთვის შეეძლოს რიონში შემოსვლა და თავისუფლად დაცლა-დატვირთვა, მანამდი ფოთის მომავალი ყინულზეა დაწერილიო".

ფოთის, როგორც საპორტო ქალაქისა და მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრის, შექმნა მართლაც დიდწილად არის დაკავშირებული ნიკო ნიკოლაძის სახელთან.

თვითმოქმედება მისთვის ნიშნავდა თავისუფალ ეკონომიკურ საქმიანობას. ნიკო ნიკოლაძე დარწმუნებული იყო, რომ ქვეყანას ეკონომიკური განვითარების გარეშე ბედნიერი მომავლის იმედი არ უნდა ჰქონოდა:

„ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მომავალი უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მწარმოებლობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით. ერი, რომლის წარმოება შეფერხდა სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით და ხეირიანად ველარ აჯილდოვებს მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული. იმან თუ სწრაფად ვერ მოახერხა თავისი წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება, გაადვილება და გახვავიანება, მისი საქმე წასული და დაღუპულია".

ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ბაქო-თბილისი-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა და მისი ორგანიზაცია.

აი ილია კი წერდა, რომ ჩვენი ხალხი უნდა გამოფხიზლდეს და მიხვდეს: „ჩემს ქვეყანაში ყოველივე საქმე უფრო უპრიანია ჩემ ხელთ იყოს, ვიდრე სხვის ხელშიო; თუ რამ გაკეთდეს, ჩემის ხელით გაკეთდესო, და თუ გამორჩომაა რამე, მე გამოვრჩე, სხვის გამორჩომასაო. აქამომდე ამგვარ საქმეებისათვის ჩვენ მიძინებულნი ვიყავით, ჩვენის ქვეყნის სიკეთით სხვანი ხეირობდნენ, ჩვენის ქვეყნის საქმეებისაგან სხვანი მდიდრდებოდნენ და, თუ ლუკმა გავარდეს, ისევ ჯამში ჩავარდეს, ის არა სჯობიაო?"

მაგრამ რას ფიქრობენ დღეს ის ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის ბატონ-პატრონობის პრეტენზია აქვთ?

საკითხავი აი ეს არის. ჩვენ კი, მკითხველო, ისევ სულმნათ ილიას მივუგდოთ ყური:

# სხვის ხელში ყურება ვერაფერი თამასუქია

## «ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი...»



ქართული ბრენდი „სადილი" — ხორცის კონსერვების საწარმო დედოფლისწყაროში

### «ჩემს ქვეყანაში ყოველივე საქმე უფრო უპრიანია ჩემ ხელთ იყოს, ვიდრე სხვის ხელშიო; თუ რამ გაკეთდეს, ჩემის ხელით გაკეთდესო, და თუ გამორჩომაა რამე, მე გამოვრჩე, სხვის გამორჩომასაო»

**„თვითმსაჯულება, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა"** *(„რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს". 1887 წ.).*

„შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარიკი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ" *(„რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს". 1887 წ.).*

**„ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა, თვითმხედველობისა არა აქვს გახსნილი და გადაშლილი. ეგ ნაკლია მიზეზი, რომ ჩვენს საკუთარს საქმეში, ჩვენს საკუთარს ავკარგიანობაში ვერაფერი გაგვიგნია, თავი და ბოლო ერთმანეთზედ ვერ გადაგვიბამს.** ეგ არის მიზეზი, რომ ჩვენ ჩვენი კრიტიკა არა გვაქვს არა-რომელისამე საგნისა საზოგადოდ, და ლიტერატურისა საკუთრად" *(„რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს". 1887 წ.).*

**„ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით თუ ხორცით, რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირვებიდამ, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით"** *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

„გვეყო, რაც ჩვენმა წარსულმა ჩვენ მაგალითები გვიჩვენა. ნუთუ აქამომდე გული ვერ დავაჯერეთ, რომ ჩვენს გარე ჩვენი ხსნა სიზმარია! მაშ თუ ასეა, სწავლისა და განათლების სახსარის ნაკლებულობას ჩვენის ცრემლით, ვახით და ვიშით ვერ შევავსებთ. სულ ტყუილია! როგორც თვითოეული კაცი, ისე საზოგადოება, ისე ხალხი მარტო თავისით არის თავისით უნდა იყოს კიდეც. ძალაც ამისთანა ხალხშია და ბედიცა" *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

**„დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის, ყოველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია. საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა**; საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას" *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

**„რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისაგან ბევრ ნურას ველოდებითო; რასაც თვითოეული ცალკე ვერ შევსძლებთო, ამას საზოგადოებრივად, ერთად ადვილად შევიძლებთო"** *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის". 1877 წ. 10 ნოემბერი).*

„თვითმოქმედებაშია მთელი სიმძიმე ამ თავმოსაწონის და პატიოსანის საქმისა. ამასთანავე მთელი სახელოვანებაც, და ამაზედვეა დამყარებული იმედი გამარჯვებისა. **თვითმოქმედება ყოვლად მხსნელი და ძლევამოსილი ძალია ყოველსფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, თუ საზოგადოებას თავის-თავის შველა უნდა"** *(„ქალი მასწავლებელი". 1886 წ. 7 იანვარი).*

„თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებითო" *(„ქართველი სტუდენტობა რუსეთში". 1886 წ. 4 თებერვალი).*

**„რაც გინდა დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი, ერთადერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. მართალია, შესაძლოა სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავიდა-თავი მომქმედი ძალი მთაკლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა.** უამისოდ სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისაგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავისთავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება" *(„ქალთა სასწავლებელი". 1889 წ. 6 მარტი).*

„საზოგადოებას აიღებთ, თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთსა და იმავე უცვალებელს ბედისწერასა ჰხედავთ, რომ მარტო საკუთარს თვითმოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართნია საქმე როგორც საზოგადოების, ისე ცალკე კაცისა. რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზე დანდობილა და თითონ გულ-ხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა — იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად" *(„ქალთა სასწავლებელი". 1889 წ. 6 მარტი).*

**„თვითმოქმედება, თვით თვისის საქმის აჩენა, გაძლოლა და გატანა, ისეთი თვისება ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი.** არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად, უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას, მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტ-ნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თავის სვე-ბედსა თვითონ არ იურვებს, — იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერობაზედ. კაცს თუ საზოგადოებას არა ეძლევა-რა ამ წუთისოფელში უშრომელად, გაურჯელად" *(„ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

**„მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა და ძალღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა"** *(„ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

„არამცთუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ რომ **არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიცა, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარ მხნეობას და გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისად".** („ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).

„ეს თვითმოქმედება, ეს თვით თვისით საქმის აჩენა, გაძლოლა და გატანა, რაკი ერთხელ აღფრთოვანდება და დაიძვრის, რაკი ერთხელ შაბმის ხოლმე ცხოვრების ულელში, მისი გამარჯვება, ძლევამოსილობით სვლა უეჭველია" *(„ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

„მართალია, ეს თვითმოქმედება ხანდისხან ათასნაირ მოსალოდნელ და მოულოდნელ მიზეზთაგან შეფერხდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს-კი მაინც თავისას გაიტანს და ამაშია მისი სიკეთე და ღირსებაცა" *(„ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

„საითაც უნდა მიიხედოთ, რომელი ქვეყანაც გინდათ გასინჯოთ, ყველგან ერთს უცილობელს ჭეშმარიტებას დაინახავთ: **იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოველის მოძრაობის სათავედ შეჰქმნია"** *(„ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

„პირიქით, საცა ეგ თვითმოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერმკრთალია, უღონო და ცოცხალ-მკვდარი" *(„ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

„თვითმოქმედებას არამცთუ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოლაც არის, საცა იწურთნება ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, საცა მოზარდისა, ახალის თაობის ძალღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედურში. ამ მხრით თვითმოქმედება ცალკე კაცისა, თუ საზოგადოებისა, უებრო რამ არის და ვერაფერი ვერ აღემატება, მაგიერობას ვერაფერი ვერ გაუწევს კაცს არსად და არასდროს" *(„ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 1886 წ. 12 მაისი).*

„დიდი საქმეა, როცა ▶

# „სიკეთისათვის ბრძოლაში თვითოეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოვებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლულოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგან საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება“.

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თითონ ხალხი ცდილობს თავისი-თავი გაიტანოს. დღე-და-დღე გვესმის, რომ ჩვენი ხალხი, ნამეტნავად ტფილისის გუბერნიაში, იღვწის შკოლების დამართვისათვის, ყოველ-დღე ისმის, რომ აქ და აქ გამართეს შკოლაო; დღე-და-დღე ეგ თვითმოქმედება მატულობს და იმატებს კიდეც, თუ ხელს არ შეუშლიან“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. იანვარი).*

„წარსულმა წელმა ბევრი რამ უანდერძა ამ ახალს წელიწადს. ეგ წარსული წელი კარგა მსხმოიარე წელიწადი იყო ჩვენი ჭკუა-გონების და გულის სამოქმედოდ დაძვრისათვის და თუმცა თითონ ვერა მოიმკო-რა, მაგრამ იმითაც სადიდებელია, რომ მოსავალი მოთესა, მოიყვანა და ახალ წელიწადს დაულოცა: აი მოვხანმოვთესე, შენ მომკე და შეირგეო, ეხლა შენ იცი და შენმა გამრჯელობამაო, მე-კი გეთხოვები სამუდამოდ და დასასრულ გეუბნები: რაც შევიძელ, იგი ვქმენო!“ „მართალიც არის: რაც შეძლო, იგი ჰქმნა, და ამასაც ვიტყვით, — ამისთანა საქმიანი წელიწადი ბევრი არ ჩამოითვლება ამ ოთხმოც-და-ათის წლის მანძილზე. რა ჰქმნა ასეთი ამ განვლილმა წელიწადმაო, იკითხავს მკითხველი. ისა ჰქმნა, რომ ორი დიდი ძალა წამოაყენა ფეხზე ჩვენში, იმისთანა ძალა, ურომლისოდაც წარმატება ერისა, მისი წინსვლა, მისი ბედნიერება, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ღონიერობა — შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ერთს ეძახიან ძალას თვითმოქმედებისას და მეორეს — თავის-თავის იმედისას“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

**„დიაღ, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ ხელთ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავისთავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში — არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის.** მე თუ თითონ არა ვარ ჩემის ქვეყნისათვის, ჩემის თავისათვისაო, სხვა უფრო არ იქნებაო, — ამ აზრმა თავი იჩინა საყოველთაო დასანახავად უფრო წარსულ წელს, ვიდრე სხვა დროს როდისმე“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

„ამ თვითმოქმედებით და თავის-თავის იმედით დაწყებულ საქმეთა ზოგიერთი მაგალითები წინა-წლების მეოხებითაც თვალ-წინა გვაქვს. ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი — წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჩვენი სკოლები, ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა, — ყოველივე ესენი ერთად და თვითოეულად ცალკე ჩვენის თვითმოქმედების, თავისთავის იმედის შვილები არიან და, როგორც ვხედავთ, თუმცა ტაატით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითი-დღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. ყოველივე ეს მომხდარია ამ ოცს წელიწადში თითოობით, ხანდაზმობით, დროგამოშვებით, კანტი-კუნტად, ხოლო წარსულმა წელიწადმა ერთბაშად მოგვიხნა და მოგვითესა უშველებელი ნაყოფიერი და ნოყიერი დიდი მინდორი საეკონომიო მოქმედებისა, აქამდე უქმად დებული, დაუძრავი და ჩვენ მიერ თითქმის ხელუხლებელი“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

**„მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-და მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყევარში ეს ორი ულლადი, ყოვლთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად“** *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

„ეს ვიგრძენით, ეს ვიცანით. ამას მივხვდით ჩვენ, და წარსულმა წელიწადმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ამასთან გამჭრელი თვალიცა გვქონია საქმის დასანახავად, გონებაც — გამოსარჩევად, ხელიც — მისაწვდენად და მარჯვენაც — საკეთებლად. დავიწყოთ იქიდამ, რომ ამ გრძნობით, ცნობით და მიხვედრით ფრთა-ასხმულებმა შარშან შეადგინეს ერთი პატარა, ჯერ-ხანად ჩუმი, ხმაამოუღებელი, მშვიდობიანი „სახლების ამშენებელი ამხანაგობა“, რომელსაც საგნად დაუდვია ერთი-ერთმანეთის მიშველებით, ერთიერთმანეთის შემწეობით თავის წევრთ სახლები უშენოს ქალაქში. ეს ამხანაგობა არ შობილა ბუკითა და ნაღარითა, არა ჰყვირის ჩხავანა კატასავითა — ქვეყნის მხსნელი მე ვარო, მაგრამ ჰსაქმობს კი ჩუმად, დაუღალავად, და თავდებობაც მისის გაძლიერებისა, განდიდებისა, ამ თითქმის კდემით-მოსილს მოქმედებაშია. ვიმედოვნებთ, რომ იგი, ეხლა თვალად პატარა, თავის დროზე დიდ საქმედ გადიქცევა და ჯეროვანს ყურადღებას დაიმსახურებს ჩვენში“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

„შარშანვე დაიძრა მედგრად და ჰლამის განხორციელებას ღვინის საქმე ჩვენში. ვენახების პატრონებმა კახეთში დაინახეს, რომ ჩვენებურ ღვინოს ღირსეული მერმისი მოელის; რომ თუ თვითონვე არ მოჰკიდებენ ამ დიდს საქმეს ხელს, ეს ძვირფასი სავაჭრო საქონელი ჯერ ჰფოლდება ღირსებით და აზრუ უტყდება, რადგანაც ვაჭარნი აფუჭებენ, და მერე აკლდება ფასი, რადგანაც, რადგან ბაზარი არა აქვს, და საცა აქვს — იქაც გამორჩომა ვაჭარსა რჩება და არა ვენახის პატრონს, რომელსაც დიდის ლუკმისაგან არგუნებენ ხოლმე ნასუფრალს ვაჭრობისას, ძლივ-ძლივ საკმარის ვენახისავე სახარჯოდ. დაინახეს, რომ ამ გზით თვისის ოფლის ნაამაგარით სხვას ამდიდრებენ და თითონ-კი ჰღარიბდებიან, დაიძრა აზრი ამ უნუგეშო ყოფისაგან გამოსახსნელად. ჰფიქრობენ, მოქმედობენ, ირჯებიან, რომ ამ სატკივარს ჯეროვანი წამალი მოუპოვონ და იმედია, რომ მეცადინეობა ამ შემთხვევაში უქმად არ ჩაუვლით“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*



შპს „ქართული დაფნა“ ვანში

**«არამცთუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიცა, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარ მხნეობას და გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწევისად»**



სამშენებლო მასალების იმპორტიორი და მწარმოებელი კომპანია „ნოვას“ საწარმო თბილისში

**«დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც, თუკი სადმე არის, ყოველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია. საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა»**



წიპწის ზეთის მწარმოებელი საწარმო გურჯაანში

„საქმე ის არის, რომ გაჭირვება ნაგრძნობია საერთოდ და საყოველთაოდ, და ქართველს ოლონდ გაჭირვება უჩვენე და გაქცევას თითონ მოახერხებს, ღვთისა და ქვეყნის წყალობითა“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

**„ჩემს ქვეყანაში ყოველივე საქმე უფრო უპრიანია ჩემ ხელთ იყოს, ვიდრე სხვის ხელშიო; თუ რამ გაკეთდეს, ჩემის ხელით გაკეთდესო, და თუ გამორჩომაა რამე, მე გამოვრჩე, სხვის გამორჩომასაო. აქამომდე ამგვარ საქმეებისათვის ჩვენ მიძინებულნი ვიყავით, ჩვენის ქვეყნის სიკეთით სხვანი ხეირობდნენ, ჩვენის ქვეყნის საქმეებისაგან სხვანი მდიდრდებოდნენ და, თუ ლუკმა გავარდეს, ისევ ჯამში ჩავარდეს, ის არა სჯობიაო?** კახეთის რკინის-გზა ერთი ამისთანა ლუკმაა. თავად-აზნაურობა ამით გაიჩენს ერთს მდიდარს წყაროს, ერთს უეჭველს ღონეს გამოკეთებისას, მოჯობინებისას თავისთავისა და ქვეყნის წარმატების გზაზე. ეს ისეთი საქმეა, რომ ამის ხელიდამ გაშვება ერთი შეუნდობარი ცოდვა და დანაშაულობა იქნება წინაშე ქვეყნისა საერთოდ და თვითოეულისა ცალკე. თავად-აზნაურობამ თავის სასახელოდ სწორედ ამ თვალით შეხედა ამ საქმეს და საგანგებო კრებამ საგუბერნიო 197 თავად-აზნაურობისამ ეს საქმე თვის საკუთარ საქმედ იცნო და დაადგინა, მაგ საქმეში ჩვენ უნდა ჩავებნეთ და არავინ სხვაო“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

„არც გლეხობა დარჩა შარშან უიმისოდ, რომ არ დაძრულიყო თავის სახსნელად და წარსამატებლად. იგიც დაადგა ამ ყოვლად-მხსნელს და ყოვლად-შემძლებელს თვითმოქმედების გზას და ძირს დადებულს შვილდს თავისთავის იმედისას დასწვდა თავის ძლიერის ხელით ასაღებად. გლეხკაცობამაც იგრძნო, რომ სხვის ხელში ყურება არაფერი თამასუქია; რომ თვის სატკივარს თითონვე უნდა უწამლოს, თავის-თავს თითონვე უნდა უშველოს. ამისათვის გაიწერა თავის ნებაყოფლობით პური, რომელიც ფულად უნდა იქცეს ფული მოხმარდეს მიწათმოქმედების განკარგებას, გაძლიერებას, იმ გზით, რა გზითაც თითონ დაინახავს საჭიროდ. დღეს-აქამომდე ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობას ნახევარ მილიონზე მეტი აქვს პური თუ ფული ამ საქმისათვის მოგროვებული“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

„აი, სხვათა შორის, რა საქმეები დასთესა წარსულმა წელიწადმა ჩვენში და რა საქმეები უანდერძა ახალსა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ახალი წელიწადი კვლავ ისე პირნათლად გამოგვეთხოვოს, როგორც პირნათლად წარსული გამოგვემშვიდობა, და ყოველს ამისთანა საქმეს იმისთანა კაცები შეახვედროს, რომ ჩვენ, იმ კაცების ღვაწლის მნახველთა, თავი მოვიწონოთ ქვეყნის წინაშე და ვსთქვათ თამამად: ჩვენც კაცნი ვართ და არა-რა კაცებური არ გვეუცხოების“ *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

„ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ასე მოხდეს, და მოხდება კიდეც, თუ არ დავივიწყებთ, რომ თვითოეული ჩვენგანი, — გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი, — სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი. ამიტომაც **სიკეთისათვის ბრძოლაში თვითოეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოვებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლულოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგან საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება“** *(„შინაური მიმოხილვა 1892 წლისა“. 1893 წ. 1 იანვარი).*

80 წლის წინათ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლური პროპაგანდა რუსეთთან გააფთრებული პოლიტიკური დაპირისპირების, ეკონომიკური სანქციების, მზარდი შეიარაღების ფონზე ამკვიდრებს „ნარატივს“, რომ მეორე მსოფლიო ომი, ფაქტობრივად, ჰიტლერსა და სტალინს შორის 1939 წელს დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების შედეგია; თურმე, გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის პოლონეთის გაყოფა რომ არა, მსოფლიო ომი არ დაიწყებოდა — ჰიტლერი ვერ გაბედავდა პოლონეთზე თავდასხმას. აქვე აღვნიშნავ მეორე დასავლურ „ნარატივს“, რომლის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხება უფრო დასავლეთის დამსახურებაა, ვიდრე საბჭოეთის, თუმცა ამ თემაზე შედარებით მეტი კონტრარგუმენტი გამოქვეყნდა ქართულ პრესაში.**

**დასავლეთიდან მართულმა საქართველოს დამანგრეველმა ე. წ. ლიბერალურმა ძალებმა საკამათოდ აქციეს 2008 წლის აგვისტოს ომის დამწყების ვინაობა — 11 წლის განმავლობაში ისე ჯიუტად და უხეშად ცდილობენ, ვირწმუნოთ, რომ „მიშა არაფერ შუაშია“, თითქოს ყველა ამნეზიამ მოგვიცვა. ეს თავისთავად პარადოქსია, მაგრამ ვინ იფიქრებდა თუნდაც ოციოდე წლის წინათ, რომ საკამათო იქნებოდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზები და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ომის დამწყების ვინაობა, მაგრამ ისტორიის რევიზიას პირდაპირი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩემს სტატიებში არაერთი მაგალითი მომიტანია, როგორ შეიძლება ისტორიის გამოყენება პოლიტიკურ იარაღად და როგორ გამოიყენებენ კიდეც. ისტორიის, როგორც პოლიტიკური იარაღის, შემთხვევაში საქმე გვაქვს პროპაგანდასთან, ადამიანთა ცნობიერებასა და განწყობებზე ბრძოლასთან, საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენაზე ამა თუ იმ კონკრეტული მხარის სასარგებლოდ.**

# ვინ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი?

## როგორ ცდილობენ ქართველი ხალხის გაბითურებას

პოსტსაბჭოთა სივრცეზე ასეთი პროპაგანდის ობიექტად მეორე მსოფლიო ომის თემა იქცა. როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობასა და საბჭოეთის ხალხების მიერ ფაშიზმის დამარცხებას. ამასთანავე, რუსეთის ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუს ხალხთან ერთად ფაშიზმის დამარცხებაში არსებითი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკამ. რუსები ღვაწლს არც დასავლელ მოკავშირეებს უკარგავენ, მაგრამ ზუსტად ეს არ აძლევს ხელს დღევანდელ დასავლეთს, რომელსაც სურს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხალხებს რუსეთის მიმართ ნეგატიური განწყობა ჰქონდეთ, ნაცვლად ერთიანი ისტორიული ცნობიერებისა.

**დასავლური პროპაგანდა რუსეთთან გააფთრებული პოლიტიკური დაპირისპირების, ეკონომიკური სანქციების, მზარდი შეიარაღების ფონზე ამკვიდრებს „ნარატივს“, რომ მეორე მსოფლიო ომი, ფაქტობრივად, ჰიტლერსა და სტალინს შორის 1939 წელს დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების შედეგია; თურმე, გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის პოლონეთის გაყოფა რომ არა, მსოფლიო ომი არ დაიწყებოდა — ჰიტლერი ვერ გაბედავდა პოლონეთზე თავდასხმას. აქვე აღვნიშნავ მეორე დასავლურ „ნარატივს“, რომლის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხება უფრო დასავლეთის დამსახურებაა, ვიდრე საბჭოეთის, თუმცა ამ თემაზე შედარებით მეტი კონტრარგუმენტი გამოქვეყნდა ქართულ პრესაში,** ამიტომ ყურადღების ცენტრში, წინამდებარე სტატიის ფარგლებში, სწორედ გერმანია-სსრკ ხელშეკრულებასა და პოლონეთის საკითხს დავტოვებ.

საქართველოში ბევრია დასავლეთის მიერ დაფინანსებული სადეზინფორმაციო საშუალება, რომელთაგან მეორე მსოფლიო ომის თემატიკაზე ბოლო ხანებში განსაკუთრებით გააქტიურდა **„რადიო თავისუფლება“,** თუმცა ამ მხრივ მას ტოლს არც სხვა დეზინფორმატორები და დემაგოგები უდებენ. ყველა ციტატასა და მოსაზრებას ვერ გამოვეკიდები, ამიტომ შევარჩიე ორი, რომლებიც კონცენტრირებულად გამოხატავს ლიბერალური პროპაგანდის ძირითად პოსტულატებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. 2010 წლის 1 აგვისტოს ჟურნალმა „ტაბულამ“ გამოაქვეყნა მასალა სათაურით „რატომ უნდა გვახსოვდეს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“, რომელშიც სწორედ ეს კონცენტრირებული დეზინფორმაციული პროპაგანდაა მოცემული:

**„რუსული ველიკოდერჟავული იდეის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად ფაშიზმზე გამარჯვება, დიდი ხანია, იქცა. საბჭოთა კავშირში ეფექტურად დაინერგა რამდენიმე მითი: ბევრს ჯერაც ჰგონია, რომ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო არა 1939 წლის 1 სექტემბრს, არამედ ორი წლის შემდეგ. „დიდი სამამულო ომის“ ცნების დამკვიდრების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ამ ორწლიანი პერიოდის წაშლა იყო. ეს ბუნებრივია, რადგან მეორე მსოფლიო ომი არ დაიწყებოდა, რომ არა სტალინის ალიანსი ჰიტლერთან, რომელმაც ამ უკანასკნელს პოლონეთზე თავდასხმის საშუალება მისცა. /.../ სწორედ ამ დროს, 17 სექტემბერს, რესპუბლიკის პრეზიდენტმა — იგნაცი მოშიცკიმ, რადიოთი დაუჯერებელი ამბავი ამცნო საკუთარ ხალხს: პოლონეთს ზურგიდან საბჭოთა კავშირმა დაარტყა. წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა. სულ რამდენიმე დღეში მოისპო ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, დიდი და ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო. პოლონეთი გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმის თანახმად, ზუსტად შუაზე გაინაწილეს მდინარე ვისლის გასწვრივ. ამას მოჰყვა ნამდვილი სასაკლაოს გაჩაღება პოლონეთის ტერიტორიაზე. სულ მალე, სტალინის უშუალო ბრძანებით, 25 000 პოლონელი ოფიცერი სმოლენსკთან ახლოს, კატინის ტყეში დახვრიტეს. პოლონეთის აღმოსავლეთ რაიონებიდან ასეულათასობით ადამიანი გადაასახლეს ციმბირში. ჰიტლერისა და სტალინის ორწლიანი მოკავშირეობის სიმბოლოდ კი ვერმახტისა და წითელი არმიის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში ჩატარებული ერთობლივი აღლუმი იქცა“.**

ასეთია ლიბერალური „ნარატივი“ — ისტორიული ფაქტების თუ პირდაპირი დამახინჯება არა, მათი ისე წარმოჩენა, რომ არასწორი დასკვნა გაკეთდეს. ქვემოთ დავშლით ისტორიის გამყალბებლების პროპაგანდისტურ კონსტრუქციას.



გერმანელთა ტანკები ჩეხოსლოვაკიაში

**იოსებ სტალინს მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული ჰიტლერის საბოლოო გეგმები საბჭოეთის მიმართ და ამიტომაც ყველაფერი გააკეთა, რათა არ მომხდარიყო ჰიტლერის გაძლიერება და გერმანიის ექსპანსია აღმოსავლეთის, ანუ საბჭოთა კავშირის მიმართულებით. კერძოდ, სტალინმა ყველაფერი იღონა ჩეხოსლოვაკიის გადასარჩენად, რომელიც 1938 წლის სექტემბერში (გერმანიასთან პაქტის დადებამდე თითქმის ერთი წლით ადრე) დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებმა სამარცხვინოდ დაუთმეს ჰიტლერს საჯიჯგნად და ჩასაყლაპავად**

### 1. საბჭოთა კავშირის მიერ ჰიტლერულ გერმანიასთან პაქტის დადების მიზეზები

1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვის პაქტს, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის — **ვიაჩესლავ მოლოტოვისა** და გერმანიის რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრის — **იოახიმ ფონ რიბენტროპის** ხელმოწერებით გაფორმდა, წინ უსწრებდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა. კრემლის პირველ პირს, **იოსებ სტალინს,** მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული **ჰიტლერის** საბოლოო გეგმები საბჭოეთის მიმართ და ამიტომაც ყველაფერი გააკეთა, რათა არ მომხდარიყო ჰიტლერის გაძლიერება და გერმანიის ექსპანსია აღმოსავლეთის, ანუ საბჭოთა კავშირის მიმართულებით. კერძოდ, **სტალინმა ყველაფერი იღონა ჩეხოსლოვაკიის გადასარჩენად, რომელიც 1938 წლის სექტემბერში (გერმანიასთან პაქტის დადებამდე თითქმის ერთი წლით ადრე) დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებმა სამარცხვინოდ დაუთმეს ჰიტლერს საჯიჯგნად და ჩასაყლაპავად.**

„მიუნხენის გარიგება“ — ასე არის ისტორიაში შესული დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ **ნევილ ჩემბერლენისა** და საფრანგეთის პრემიერმინისტრ **ედუარდ დალადიეს** მიერ ჩეხოსლოვაკიის ჩაბარება, ამ სუვერენული მაღალგანვითარებული სახელმწიფოს ზურგს უკან გამართული მოლაპარაკებები, როდესაც „დასავლური დემოკრატიების“ ლიდერები ადოლფ ჰიტლერს ეახლნენ მიუნხენში და მისი ყველა მოთხოვნა შეასრულეს. **ინგლისელებმა და ფრანგებმა არათუ ხელი აიღეს ჩეხოსლოვაკიის დაცვაზე (რაც ფრანგებს ევალებოდათ კიდეც 1935 წლის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებით, რომელზეც სსრკ-საც ჰქონდა ხელი მოწერილი), არამედ პირდაპირი მუქარებით აიძულეს პრაღა, თავისი ტერიტორიის დიდი (1/5) და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ჰიტლერული გერმანიისთვის. ამით ისარგებლა ჰიტლერმა და ამ ტერიტორიების მიღების შემდეგ რამდენიმე თვეში ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღაც დაიკავა.**

დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ასე მოწადინებულნი ვითომ იმ მიზეზით იყვნენ, რომ ჩეხოსლოვაკიის ხარჯზე დაეკმაყოფილებინათ ჰიტლერის მადა, რომელიც აღარ გააგრძელებდა ექსპანსიას, მაგრამ ეს თვალთმაქცობა იყო. სინამდვილეში, დასავლური „დემოკრატიების“ მიზანს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის დაჯახების დაჩქარება წარმოადგენდა. ინგლის-საფრანგეთს არც ამერიკის შეერთებული შტატები ჩამორჩებოდა ამ მხრივ — მიუნხენის გარიგებაში თავისი წვლილი აშშ-ის პრეზიდენტმა **ფრანკლინ დელანო რუზველტმაც** შეიტანა, როდესაც ჰიტლერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მხარი დაუჭირა კონფერენციის მოწვევას „ომის თავიდან ასაცილებლად“. რეალურად რა ამოძრავებდა დასავლეთს, სხვადასხვა წყაროდან არის ცნობილი. აი რას წერდა სახელმწიფო დეპარტამენტისადმი მოხსენებაში შეერთებული შტატების რწმუნებული საფრანგეთის საკითხებში — **ე. ვილსონი** 1939 წლის 24 ივნისს:

**„[საფრანგეთის] გავლენიან წრეებში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ყველაფრის შემდეგ საფრანგეთმა გერმანიის სასარგებლოდ უარი უნდა თქვას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე იმ იმედით, რომ გერმანია, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირთან კონფლიქტურ მდგომარეობაში შევა“.** დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა **ე. ჰალიფაქსმა** 1939 წლის ივნისში მთავრობის სხდომაზე საფრანგეთში ბრიტანეთის ელჩ **უ. ბულიტზე** დაყრდნობით განაცხადა, რომ **„ხელშეკრულება ჩვენთან სჭირდებათ რუსებს, მაგრამ ჩვენ არ უნდა გავაფორმოთ იგი“.** რაც ყველაზე საინტერესოა, ბრიტანელებსა და ფრანგებს აყოლიებული ჰყავდათ პოლონეთის ხელისუფლებაც. **1939 წლის 9 ივნისს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ბეკმა ლონდონში პოლონეთის ელჩ რაჩინსკის გაუგზავნა ტელეგრამა, რომელშიც მითი-**

80 წლის წინათ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ინგლისელებმა და ფრანგებმა არათუ ხელი აიღეს ჩეხოსლოვაკიის დაცვაზე (რაც ფრანგებს ევალებოდათ კიდეც 1935 წლის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებით, რომელზეც სსრკ-საც ჰქონდა ხელი მოწერილი), არამედ პირდაპირი მუქარით აიძულეს პრაღა, თავისი ტერიტორიის დიდი (1/5) და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ჰიტლერული გერმანიისთვის. ამით ისარგებლა ჰიტლერმა და ამ ტერიტორიების მიღების შემდეგ რამდენიმე თვეში ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღაც დაიკავა.

**◀ თებული იყო, რომ დაუშვებელია ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან, რადგან ასეთი დოკუმენტი „აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილობასა და უსაფრთხოებას“ დაარღვევდა.**

საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ მოუწოდა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, გამოეყენებინათ ჩეხოსლოვაკიის დაცვის ყველა მექანიზმი, გერმანიაზე სამხედრო ზემოქმედების ჩათვლით. საფრანგეთის თანხმობის შემთხვევაში, მოსკოვი მზად იყო ჩეხოსლოვაკიაში ჯარების გასაგზავნად, მაგრამ პარიზმა ენთუზიაზმი არ გამოავლინა, ხოლო პოლონეთის ხელისუფლებამ(!) აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა ჩეხოსლოვაკიის დახმარების მიმართ, როცა განაცხადა, რომ წითელ არმიას არ გაატარებდა თავის ტერიტორიაზე ჩეხების დასახმარებლად.

გამოჩენილი ბრიტანელი პოლიტიკოსები — **დევიდ ლოიდ ჯორჯი** და **უინსტონ ჩერჩილი** მძაფრად აკრიტიკებდნენ თავიანთი მთავრობის პოლიტიკას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მათ ვერავინ დასწამებს კომუნისტებისადმი სიმპათიას, მაგრამ ისინი ხედავდნენ, რომ ეს პოლიტიკა ძირშივე იყო მცდარი. 1939 წლის 6 ოქტომბერს ადმირალიტეტის პირველმა ლორდმა (მომავალმა პრემიერმა) უინსტონ ჩერჩილმა ლონდონში სსრკ-ის ელჩ **ივანე მაისკის** თავისი პოზიცია გაანდო: **„ზოგიერთი ჩემი კონსერვატორი მეგობარი [გერმანიასთან] მშვიდობას ემხრობა. მათ ეშინიათ, რომ ომის შედეგად გერმანია ბოლშევიკური გახდება. მე კი ბოლომდე ომს ვუჭერ მხარს. ჰიტლერი უნდა განადგურდეს ერთხელ და სამუდამოდ. დაე, გერმანია გახდეს ბოლშევიკური, ეს მე არ მაშინებს. უმჯობესია კომუნიზმი, ვიდრე ნაციზმი“.**

ჩერჩილსვე ეკუთვნის სიტყვები, რომ **ჩემბერლენმა ჰიტლერთან ჩეხოსლოვაკიის საკითხში დათმობებით სირცხვილსა და ომს შორის „აირჩია სირცხვილი და მიიღო ომი“.**

საბოლოოდ, 1938 წლის შემოდგომაზე (მიუნხენის ხელშეკრულება 29 სექტემბერს გაფორმდა გერმანიას, იტალიას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის) **ინგლის-საფრანგეთის ზემოქმედებით ჩეხოსლოვაკიას ჩამოერთვა თავისი ტერიტორიების 1/5 მოსახლეობის 1/4-ით. არადა, ჩეხოსლოვაკია მზად იყო გერმანიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, თუნდაც საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი სამხედრო ძალით არ ჩარეულიყვნენ. იმჟამად ჩეხები აკონტროლებდნენ გეოგრაფიულად რთულ მთიან რელიეფს, რომელიც ბუნებრივად მიჯნავს ერთმანეთისგან ჩეხეთსა და გერმანიას, ჰქონდათ სამზოლიანი გამაგრებული ფრონტი, ამიტომ გერმანელებს გაუჭირდებოდათ „ბლიცკრიგი“. ჩეხოსლოვაკიის არმიის საბრძოლო სულისკვეთება საკმაოდ მაღალი იყო, საჭიროების შემთხვევაში კი მთელი ხალხი იომებდა დამპყრობლის წინააღმდეგ.** პრეზიდენტ **ბენეშს** საბჭოთა კავშირის დიპლომატიური და სხვა სახის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა, მაგრამ **ჩემბერლენმა და დალადიემ ბენეში კაპიტულაციაზე დაიყოლიეს, ხოლო 1939 წლის მარტში, როდესაც ჰიტლერმა ისედაც მისთვის მომგებიანი „მიუნხენის გარიგებაც“ დაარღვია და მთელი ჩეხოსლოვაკია დაიკავა (თანაც ჩეხეთი და სლოვაკეთი ერთმანეთისგან განაცალკევა), მას გზა გაეხსნა პოლონეთისკენ.** ბუნებრივია, საბჭოთა კავშირი ამ მოვლენებს სწორად აფასებდა და ეჭვობდა, რომ პასიურობის პირობებში „დასავლური დემოკრატიები“ ისევე გაყიდდნენ პოლონეთსაც (რომელიც ჯერ ამას არ ეჭვობდა), როგორც ჩეხოსლოვაკია გაყიდეს. ეს კი გერმანიას ისე გააძლიერებდა, რომ საბჭოეთთან ომის შემთხვევაში დიდ სტრატეგიულ უპირატესობას დაეუფლებოდა. **საბჭოთა კავშირი ვერ დაუშვებდა იმას, რომ თავისი დასავლური საზღვარი არ გადაწეულიყო დასავლეთით — მინსკიდან, კიევიდან და მოსკოვიდან რაც შეიძლება შორს.**

### 2. არის კი მსხვერპლი პოლონეთი?

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს გერმანიასთან სჭირდებოდა ბუფერული ზონა ძლიერი პოლონეთის სახით, რომელიც ჰიტლერისთვის შეუძლებელს გახდიდა, თავს დასხმოდა საბჭოეთს, მაგრამ გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ პოლონეთის შესაძლებლობები შეიზღუდა. პირველი, რაც გასათვალისწინებელია, **პოლონეთმა თვითონ თქვა უარი საბჭოთა კავშირთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებაზე და ამ გზით წინ აღდგომოდა გერმანიას, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი — ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციაში საბოლოო სიტყვა სწორედ პოლონეთმა თქვა, კაპიტულაციას პრაღა მხოლოდ ვარშავის მუქარის შემდეგ დასთანხმდა. არადა, ჯერ კიდევ 1938 წლის 25 სექტემბერს ჩეხოსლოვაკია, მიუხედავად ჩემბერლენის ზეწოლისა, არ მიდიოდა დათმობებზე და საბრძოლო მზადყოფნას გამოხატავდა.** ამას მოწმობს ლონდონში ჩეხების დესპანის — **იან მასარიკის** მიერ ფორინ ოფისისადმი გადაცემული ნოტა, რომელშიც ეწერა:

**„ჩემი მთავრობა მავალებს, განვაცხადო, რომ ჰიტლერის მოთხოვნები მათი ამჟამინდელი ფორმით აბსოლუტურად და უპიროზოდ მიუღებელია. ამ ახალი და უხეში მოთხოვნების წინაშე ჩემი მთავრობა თავს ვალდებულად გრძნობს, მიიღოს გადამჭრელი ზომები წინააღმდეგობის გასაწევად და, ღვთის შეწევნით, ჩვენ ამას გავაკეთებთ. წმიდა ვაცლავის, იან ჰუსისა და ტომაშ მასარიკის ერი არ გახდება მონა-ერი!“**



პოლონელთა კავალერია ჩეხოსლოვაკიის პოლონელებით დასახლებულ ქალაქში ომის წინ

მაგრამ ჩეხებს მალე მოუწიათ უკან დახევა, რაშიც, როგორც ვთქვით, გადამწყვეტი როლი, „დასავლურ დემოკრატიებთან“ ერთად, პოლონეთმა შეასრულა. ჩეხებმა იცოდნენ, რომ პოლონეთი 1938 წლის განმავლობაში ჯარების მობილიზაციას ახდენდა საზღვარზე, ხოლო გადამწყვეტ მომენტში ოფიციალურმა ვარშავამ გამოაცხადა, რომ იგი შეტევაზე გადავა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ, თუკი მეზობელი სახელმწიფო არ დაეთანხმება გერმანიის მოთხოვნებს. 30 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა და მთავრობამ საბოლოოდ განიხილეს არსებული ვითარება. უმაღლეს ხელისუფლებას სურდა, სამხედროებისგან გაეგო, შესაძლებელი თუ იყო, ქვეყანას გაეძლო გერმანიის, პოლონეთისა და უნგრეთის (ჰიტლერის პირდაპირი მოკავშირე) ერთდროული შემოტევისთვის. პასუხი უიმედო იყო:

**„წინააღმდეგობა შეუძლებელია. არმიას შეუძლია, სამი თავდაცვითი ხაზის საშუალებით წინააღმდეგობა დიდი ხნის მანძილზე გაუწიოს ცალკე აღებულ გერმანიას, გარე დახმარების არარსებობის პირობებშიც, მაგრამ საზღვარი პოლონეთსა და უნგრეთთან არ არის გამაგრებული. ომში მათი ჩაბმა მოასწავებს, რომ ფრონტის ხაზი სამი ათასი კილომეტრის მანძილზე გაიშლება“.**

1938 წლის 30 სექტემბერს (მიუნხენის პაქტის მეორე დღეს) პოლონეთი უკვე მზად იყო ჩეხოსლოვაკიაზე თავდასასხმელად. მზადდებოდა პროვოკაცია, თითქოს ჩეხოსლოვაკია ესხმოდა თავს პოლონეთს. ამ მიზნით, პოლონეთის სატელეგრაფო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია საზღვარზე „ინციდენტის“ შესახებ — თითქოს ჩეხები ესროდნენ პოლონელებს. ბედის ირონიით, 11 თვის შემდეგ თვით პოლონეთი შეიქნა ასეთი პროვოკაციის მსხვერპლი გერმანელების მხრიდან, როდესაც გერმანულმა „ეს- ეს“-მა განახორციელა პოლონეთის მიერ გლაივიცის რადიოსადგურზე თავდასხმის იმიტაცია, რაც გერმანიის მხრიდან პოლონეთის წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბად იქცა.

**აი ასეთი იყო იმჟამინდელი პოლონეთის სახე. პრინციპში, არაფერი განსაკუთრებული — ევროპა ხომ საუკუნეების განმავლობაში ეწეოდა ასეთ „რეალპოლიტიკას“?! პოლონელებმა ვერ გათვალეს, როგორი საშიში ძალა იყო ნაცისტური გერმანია, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის უგულებელყოფის პირობებში. პოლონეთის ხელისუფლება დახარბდა ტერიტორიებს — ფრიშტადტს, ტეშენსა და იაბლუნკოვს. ამის გამო გაწირა ჩეხოსლოვაკია და, ისევ ჩერჩილს თუ დავესესხებით, „აფთრის სიხარბით ჩააფრინდა მსხვერპლს“.**

ასეთი არაადეკვატური პოლონური პოლიტიკის პირობებში საბჭოთა კავშირს სხვა აღარაფერი რჩებოდა, გარდა იმისა, რომ თავიდან აეცილებინა ახალი „მიუნხენის გარიგება“, ამჯერად პოლონეთის მიმართ. **საბჭოთა დაზვერვას მოჰქონდა ინფორმაცია, რომ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შეეცდებოდნენ, გერმანია დაეტაკებინათ საბჭოთა კავშირისთვის. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანია ჯერ პოლონეთს დაეპატრონებოდა.** დღეს უკვე ცნობილია, რომ 1939 წლის მაისში გერმანელებს უკვე ჰქონდათ პოლონეთზე თავდასხმის გეგმა, სახელწოდებით „ვაის“-ი („თეთრი“). გერმანიამ 1939 წლის 28 მარტს გააუქმა პოლონეთთან თავდაუსხმელობის პაქტი, რომელიც 1934 წელს ჰქონდა გაფორმებული. **ამ პაქტის ანულირებამდე რამდენიმე დღით ადრე ჰიტლერმა ლიტვას ათქმევინა უარი პოლონეთის შესაძლო მხარდაჭერაზე და ლიტვასთანაც ორმხრივი ხელშეკრულება გააფორმა თავდაუსხმელობის შესახებ... ამიტომაც ლოგიკურია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მაქსიმალური სარგებელი მიეღო შექმნილი მძიმე ვითარებიდან, ვინაიდან სტალინმა იცოდა, რომ დასავლეთი ჰიტლერს პოლონეთში ვერ შეაჩერებდა.** ისიც გასათვალისწინებელია, რომ **1938 წლის სექტემბერში დიდმა ბრიტანეთმა, ხოლო იმავე წლის დეკემბერში საფრანგეთმა გერმანიასთან თავდაუსხმელობის დეკლარაციებს მოაწერეს ხელი. ამასთანავე, მათ უარი უთხრეს საბჭოთა კავშირს, გერმანიის აგრესია ჩეხოსლოვაკიის მიმართ განეხილათ ერთა ლიგაში (მოსკოვს არ უღიარებია ჩეხოსლოვაკიის ანექსია). ამას, რა თქმა უნდა, ჩვენი მატყუარა ლიბერალები ქართველ მკითხველს საგულდაგულოდ უმალავენ და „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის“ გამოლამის თავს იკლავენ...**




არც იმას ამბობენ, რომ 1939 წლის 10 მაისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა ტელეგრამა გაუგზავნა ვარშავაში ვიზიტით მყოფ თავის მოადგილე ვ. პოტიომკინს, რომ სსრკ თანახმაა, დაეხმაროს პოლონეთს გერმანული აგრესიის შემთხვევაში, „თუკი ამას თავად პოლონელები მოისურვებენ“! პოლონურმა მხარემ ეს შემოთავაზება უპასუხოდ დატოვა.

არსებობს დოკუმენტები, რომელთა კომენტირებაც კი ზედმეტია, იმდენად ნათელია ყველაფერი. მაგალითად, 1939 წლის 22 მაისს დიდი ბრიტანეთის მთავრობის საფრანგეთის მთავრობისადმი გაგზავნილ მემორანდუმში აღნიშნულია: **„სასურველია, სსრკ-თან დაიდოს რაიმე შეთანხმება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი დაგვეხმარება, თუკი ჩვენ აღმოვჩნდებით აღმოსავლეთიდან წამოსული შეტევის ობიექტი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანია ვაიძულოთ, იომოს ორ ფრონტზე, არამედ იმიტომაც, რომ (და ეს მთავარია) ... თუკი ომი დაიწყება, უნდა ვეცადოთ, მასში საბჭოთა კავშირი ჩავითრიოთ“.**



პოლონური ტანკები ჩეხოსლოვაკიის საზღვართან

**გულბაათ რცხილაძე,**
ევრაზიის ინსტიტუტის დამფუძნებელი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მედიათვალი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისრაელის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტოლოგი იაკუბ კედმი მიიჩნევს, რომ ტრამპმა ბოლტონი თავის აპარატში სამუშაოდ მიიწვია არა იმიტომ, რომ მისთვის (პრეზიდენტისთვის) მნიშვნელობა ჰქონდა, რას ეტყოდა ბოლტონი, რას ურჩევდა, არამედ სურდა, რომ ყველა იმ ბრალდების ფონზე, რომლებიც მას წაუყენეს, როგორც თითქოს რუსეთის ინტერესების დამცველს, ასეთი ოდიოზური ფიგურის მრჩევლად დანიშვნა გადაფარავდა პრეზიდენტისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, შეარბილებდა პრეტენზიების სიმწვავეს.**

# ბოლტონი «მოზბოლტეს»

**სწორედ ის ბოლტონი, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლად მუშაობდა ეროვნული უშიშროების საკითხში. და ქორად იყო წოდებული. ფარშევანგის კუდივით გაშლილი ულვაშით, განსხვავებით რომან გოცირიძისგან, რომელსაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ულვაში ცხვირის ნესტოებიდან ეზრდება. ამ ულვაშში გაცრილი წინადადებებით კარნახობდა ბოლტონი დონალდ ტრამპს, რა გზებით, გზატკეცილებით, ავტობანებითა და ქუჩაბანდებით უნდა ევლო მსოფლიო პოლიტიკის დანაღმულ მიხვეულ-მოხვეულში.**



БОЛТОН, С ВЕЩАМИ!

## კრიზისების დიდოსტატი

ბევრი იარა თუ ცოტა, ორწელიწად-ნახევარი გავიდა და „დრო გასრულდა შენიო“, — უთხრა ტრამპმა ბოლტონს, რომელსაც ექსპერტები (ამერიკელებიც კი) ცუდ კაცად მოიხსენიებენ.

დაემშვიდობა მადლობის სიტყვებით, რომლებსაც „პრინციპულ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებების“ წინწაკა წაუყარა.

მწარე, სამეგრელოში ლობიოს რომ შეკაზმავენ, ისეთი.

ეს — ახლა, ამჟამად.

მაგრამ იყო დრო, როცა ბოლტონს მოერგო აღმოსავლური ფრთიანი ფრაზა: ბოლტონმა თქვა — ღმერთმა თქვა! ყურებზე ვდგებოდით ჩვენც, უკეთ რომ გაგვეგონა, რას ბრძანებდა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში.

კრიზისების დიდოსტატად ითვლებოდა. ორიოდ დღის წინათ კი ამერიკულმა ჟურნალმა „ეკონომისტმა“ საბოტაჟის ვეტერანი უწოდა.

„ჩვენ მკაცრად უნდა ვუპასუხოთ რუსეთს! **პუტინმა უნდა გაიგონოს ნატოს არტილერიის ქუხილი და ტანკების გუგუნი წვრთნების დროს, რომლებსაც ალიანსი სულ უფრო ხშირად ატარებს უკრაინელებთან ერთად. მხოლოდ ეს და, აგრეთვე, ჩვენი სხვა ნაბიჯები მიიპყრობს პუტინის ყურადღებას! ძალიან დიდხანს იცავდა შეერთებული შტატები აშშ-სა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის ღონისძიებათა შესახებ. რუსეთი კი განაგრძობდა ბალისტიკური და ზებგერითი სისტემების შექმნას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით აკრძალული იყო.**

ჩვენი ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად გადავწყვიტეთ, გავთავისუფლებულიყავით ამ ვალდებულებისგან და ეფექტიანად დაგვეცვა ამერიკა ოცდამეერთე საუკუნეში. რა საჭიროა ნაკლული სისტემის შენარჩუნება მხოლოდ იმიტომ, რომ გვაქვს ასეთი ხელშეკრულება?!“

ასე გაამართლა ბოლტონმა ამერიკის შესაძლო გამოსვლა აღნიშნული ხელშეკრულებიდან. ეს ერთი.

და, მეორე, ამ ერთ ციტატაშიც კარგად ჩანს მისი უკიდურესად აგრესიული საგარეო პოლიტიკის არსი და ლოგიკა. ქორულიო, რომ ვთქვა, ენა არ მიბრუნდება.

## პერსონები მიდიან, პრინციპები რჩება

ბოლტონი გაუშვეს.

ტრამპმა ულვაშები მოიპარსაო, — ხუმრობენ დასავლეთში ამ საკადრო ცვლილების გამო.

შეიცვლება თუ არა აშშ-რუსეთის ურთიერთდაპირისპირების პოლიტიკა, რომელსაც ტრამპის ადმინისტრაცია განახორციელებს და რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დღევანდელ მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების გეზს?

გასულ კვირაში ეს პრობლემა ექსპერტთა მსჯელობის ერთ-ერთი თემა იყო.

**ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტის აზრით, ბოლტონი საშინელი ადამიანია. ეს, დიდი ხანია, ცნობილია. 1989 წლიდან მუშაობდა უფროსი ბუშის ადმინისტრაციაში, შემდეგ — უმცროსის და მომდევნო ადმინისტრაციებში, ბოლოს — ტრამპთან ერთ-ერთ საკვანძო თანამდებობაზე დამკვიდრდა. ბოლტონი ამერიკული ფასეულობების პერსონიფიცირებული განსახიერებაა, აქედან გამომდინარე, არა მგონია, რომ მისი წასვლის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი დიდად საფუძვლიანი იყოს.**

ბოლტონს სურდა, რომ ყველა ომი მის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული, სირიაში იქნებოდა სისხლისღვრა, ერაყში, ავღანეთში თუ სხვაგან, სულერთია.

ისრაელის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტოლოგი **იაკუბ კედმი** მიიჩნევს, რომ ტრამპმა ბოლტონი თავის აპარატში სამუშაოდ მიიწვია არა იმიტომ, რომ მისთვის (პრეზიდენტისთვის) მნიშვნელობა ჰქონდა, რას ეტყოდა ბოლტონი, რას ურჩევდა, არამედ სურდა, რომ ყველა იმ ბრალდების ფონზე, რომლებიც მას წაუყენეს, როგორც თითქოს რუსეთის ინტერესების დამცველს, ასეთი ოდიოზური ფიგურის მრჩევლად დანიშვნა გადაფარავდა პრეზიდენტისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, შეარბილებდა პრეტენზიების სიმწვავეს.

დღესო, — ხაზგასმით ამბობს კედმი, — ტრამპი დარწმუნებულია თავისი პოზიციის სიმყარეში: რუსეთთან მისი თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ლეგენდამ წონა დაკარგა და აღარავის აინტერესებს, ამიტომ ბოლტონი პრეზიდენტს აღარ სჭირდება.

ტრამპისა და ბოლტონის პოზიციები ირანზე, ავღანეთზე, ვენესუელაზე ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით, ბოლო კვირეებში ერთმანეთს იყო აცდენილი და, როგორც ერთმა ძველმა დიპლომატმა განაცხადა რუსეთის ტელევიზიის (ОРТ-ს) პოლიტიკურ თოკშოუში Время покажет, აბსოლუტურად ცხადი გახდა, რომ პრეზიდენტი ბოლტონს, როგორც „ქეციან ძაღლს“, ისე გააგდებდა თეთრი სახლიდან.

ეს არ ნიშნავსო,— დასძინა დიდი გამოცდილების მქონე ამ დამსახურებულმა პიროვნებამ, რომ ტრამპი კარგია და ბოლტონი — ცუდი. ზოგიერთ მომენტში ისინი განსხვავებულად იწყებენ ლაპარაკს. სულ ესაა.

**იგი რუსოფობი არ ყოფილა. პირიქით, რუსეთს განიხილავდა, როგორც აშშ-ის პოტენციურ მოკავშირეს ჩინეთთან და ირანთან დაპირისპირებაში. მისი აზრით, რუსეთისა და ამერიკის ორი საერთო მოწინააღმდეგე სწორედ ეს ორი ქვეყანაა**

## ვინ დაიკავებს ბოლტონის ადგილს?

ახლა იქ დასვეს ბატონი **კაფელმანი,** რომელიც ერთ დროს **რეიგანის** მრჩეველი იყო. იგი ზუსტად ისეთივე ქორია, როგორიც ბოლტონი ბრძანდება. როცა რეიგანი უსასტიკეს ანტისაბჭოთა პოლიტიკას განახორციელებდა, იგი (კაფელმანი) პირწავარდნილი ანტისაბჭოელი იყო, მაგრამ, როცა გორბაჩოვმა ყველაფერი დათმო და რეიგანი ჩვენი საუკეთესო მეგობარი გახდა, იგი (კაფელმანი) მყისიერად მოლბა და ჩვენი საუკეთესო მეგობრის ნიღაბი მოირგო.

**ასეთი ფერიცვალების მაგალითები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უამრავია, ამიტომ ჩვენს მკითხველს ამერიკელებისა არაფერი გაუკვირდება.**

კანდიდატების სია დიდია. არის ორიგინალური შეთავაზებაც: მაიკ პომპეომ შეასრულოს ერთდროულად სახელმწიფო მდივნისა და პრეზიდენტის მრჩევლის მოვალეობები. რაღაც ამის მსგავსი ადმინისტრაციის ისტორიაში უკვე იყო — კისინჯერი სახელმწიფო მდივანიც იყო და აშშ პრეზიდენტის მრჩეველიც.

ექსპერტების ერთი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ბოლტონის დათხოვნა აშშ-ის პრეზიდენტის მოახლოებულ არჩევნებთან არის დაკავშირებული: ტრამპის ელექტორატის დიდი უმრავლესობა, როგორც საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ადასტურებს, სულაც არ არის საომარ განწყობილებაზე. ბოლტონის მოცილება ტრამპს მშვიდობის მტრედად, ცხადია, ვერ აქცევს, მაგრამ ხაზგასმით წარმოაჩენს მისი, როგორც შეიარაღებული დაპირისპირების მოწინააღმდეგის პოზიციას. ეს კი მომავალ არჩევნებში გამარჯვების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

„ვალდაის კლუბის“ დირექტორი **თევდორე ლვკიანოვი** იზიარებს ამ მოსაზრებას და დასძენს, რომ გამორიცხული არ არის, რუსეთ-აშშ-ის ხელშეკრულებიდან გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორის სახელიც დაისაკუთროს. ტრამპს კი ხელს არ აძლევს, გვერდით ყავდეს ისეთი თვალსაჩინო ფიგურა და პრინციპული მრჩეველი, რომლის შეხედულებები არ შეესაბამება მისი ამომრჩევლების შეხედულებებს. იგი საერთოდ ვერ ეგუება განსხვავებული აზრის მქონე თანამშრომლებს, ამიტომაც მის ადმინისტრაციაში არ ცხრება საკადრო ცვლილებების ართურმა, ანუ დომხალი.

**ბოლტონის მოცილება ტრამპს მშვიდობის მტრედად, ცხადია, ვერ აქცევს, მაგრამ ხაზგასმით წარმოაჩენს მისი, როგორც შეიარაღებული დაპირისპირების მოწინააღმდეგის პოზიციას**

## ამერიკა უწინარეს ყოვლისა!

ბოლტონის მაქსიმალიზმი ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. იგი ამბობდა, რომ „დიდი შეცდომაა საერთაშორისო სამართალს დამორჩილება, მას არავითარი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. არ არსებობს არავითარი გაერო. არსებობს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელსაც რაღაც მიზეზისა გამო არ ხელმძღვანელობს მსოფლიოში ერთადერთი რეალური ძალა — ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ აიძულებს გაეროს, იმუშაოს მაშინ, როცა ეს აშშ-ს სურს. ასეც უნდა იყოს, რადგან ერთადერთი, რასაც აშშ-ისთვის აქვს მნიშვნელობა, ჩვენი ეროვნული ინტერესებია“.

აი, ასეთი გულახდილი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ ბოლტონი; კაცი, რომლისთვისაც ნებისმიერ შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება აბსოლუტურად მიუღებელი იყო.

მისი წასვლა ცუდი არ უნდა იყოს, მაგრამ ამერიკის პრესას თუ დავუჯერებთ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის იმ განყოფილებაში, რომელიც განიარაღებას განაგებს, დღეს სამად-სამი კაცია დარჩენილი, რომელთაც არასოდეს უმუშავიათ განიარაღების კონტროლის საკითხებზე. ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან.

ამიტომ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ-ის პოლიტიკა განიარაღებაზე კონტროლის მიმართულებით ბოლტონის გაკვალულ გზას გაჰყვება და მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. არადა, მომავალ არჩევნებში გამარჯვების უზრუნველსაყოფად ტრამპმა ამერიკას უნდა აარიდოს ახალი დიდი ომი, უწინარესად, ირანის წინააღმდეგ, ამასთან ერთად, გამოიყვანოს აშშ-ის შეიარაღებული ძალები ავღანეთიდან. „როგორც ჩანს, დონალდ ტრამპს სურს, ისტორიაში შევიდეს ისეთ პრეზიდენტად, რომელიც დაამთავრებს შტატების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ ომს ავღანეთში, რომელიც 18 წელიწადი გრძელდება.

ბოლტონი სერიოზული წინაღობა იყო ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე.

თანამედროვე ამერიკის ყველაზე გავლენიანი პოლიტოლოგი **გრემ ელისონი** ამტკიცებს (ტრამპის დამოწმებით): ბოლტონის ნება რომ ყოფილიყო, აშშ ერთსა და იმავე დროს ოთხ ომში ჩაებმებოდაო.

## რუსეთს ებრძოდა, მაგრამ რუსოფობი არ ყოფილა

„საერთაშორისო დისკუსიის“ დროს ბოლტონის პიროვნებაზე ერთი ფრიად საინტერესო და ამავე დროს მოულოდნელი მოსაზრებაც გამოიკვეთა: **იგი რუსოფობი არ ყოფილა. პირიქით, რუსეთს განიხილავდა, როგორც აშშ-ის პოტენციურ მოკავშირეს ჩინეთთან და ირანთან დაპირისპირებაში. მისი აზრით, რუსეთისა და ამერიკის ორი საერთო მოწინააღმდეგე სწორედ ეს ორი ქვეყანაა.**

ბოლტონი რუსოფობი რომ არ ყოფილა, ამ აზრზე დგას ცნობილი ამერიკელი ექსპერტი, რუსეთის ტელესივრცის ხშირი სტუმარი **დიმიტრი საიმსიც.** აღნიშნულ არარუსოფობობას სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მაგრამ ამ საკითხის დაწვრილებით განხილვა დღევანდელი წერილის რიტმიდან იქნება ამოვარდნილი, ამიტომ მკითხველებს ვთხოვ, ნათქვამით დაკმაყოფილდნენ.

გვექნება საშუალება და მაშინ ვილაპარაკოთ.

**არმაზ სანებლიძე**

**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# პლანეტა სოდომი

**პოლონეთის ქალაქ პლოცკში ადგილობრივი სოდომიტების აღლუმისას 15 წლის ყმაწვილი ბერილა წინ აღუდგა უწმინდურთა ხროვას ქრისტეს ჯვარცმით ხელში და მოუწოდა, დაფიქრებულიყვნენ. მისი სიტყვებით, იგი ასე მოიქცა „ბოროტმოქმედებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით".**

ბერილამ სოდომიტების აღლუმის გამართვის შესახებ რომ შეიტყო, შეშინდა გარშემო მყოფთა შესაძლო რეაქციის გამო, რომლებიც ამგვარ ღონისძიებებს მხარს უჭერენ. მან დაინახა, რომ ამ გახრწნილ ადამიანებს მოჰქონდათ წმინდა ღვთისმშობლის გამოსახულება შარავანდედით გულზე, რომელიც ლგბტ-თემის სიმბოლოა. იმავე წამს მიხვდა, რომ უფლება არ აქვს, გაჩუმდეს ფაქტზე, როცა ფეხქვეშ თელავენ ღვთისმშობლის სახელს.

„შევედი ტაძარში და ჯვარი ვთხოვე, ჩავიკარი გულში და ქუჩაში გამოვედი, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაენახა ჩემი ქმედება ამ გარყვნილების წინააღმდეგ. მინდოდა, ჩაფიქრებულიყვნენ და გაეაზრებინათ, რა ბოროტებასაც სჩადიან ახალი თაობის წინაშე.

ბერილას გულში ჩახუტებული ჰქონდა ჯვარცმა, იჯდა ასფალტზე და ლოცულობდა.

მას დაუყოვნებლივ მივარდნენ პოლიციელები და პედერასტებისთვის გზის გათავისუფლება სთხოვეს. ყმაწვილი არ დაემორჩილა. მაშინ მას ბორკილები დაადეს და პოლიციის უახლოეს განყოფილებას ჩააბარეს.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## განათლებული დასავლეთის პარადოქსი: ბრიტანეთის მოსწავლე გოგონებს აუკრძალეს სკოლაში კაბისა და ქვედაკაბის ჩაცმა... თანაკლასელი ბიჭები რომ არ აღაგზნონ

**წლევანდელი სექტემბრიდან ბრიტანელ მოსწავლე გოგონებს სკოლაში კაბებით მისვლა კატეგორიულად აეკრძალათ, რადგან ქალების გარდერობის ეს აუცილებელი შემადგენლები თურმე დროზე ადრე იწვევს განსხვავებული სქესისადმი აღგზნებული დამოკიდებულების გამომჟღავნება-განვითარებას.**

ამ ინფორმაციას დასავლეთის მედია ავრცელებს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო ბრიტანეთის ნორტჰემპტოშირის სასწავლო დაწესებულების Moulton School and Scileg-ის ხელმძღვანელობამ. სკოლის განსწავლული მამები განგვიმარტავენ, რომ ამ სკოლაში, სადაც 11-დან 18 წლამდე ბავშვები და ყმაწვილები სწავლობენ, უწინ კაბის ჩაცმა პრობლემად არ ითვლებოდა, მაგრამ ბოლო ხანებში მშობლები სულ უფრო ხშირად ნებას რთავენ თავიანთ ქალიშვილებს, კაბებითა და ქვედაბოლოებით გამოცხადდნენ სკოლაში, რაც შიშველი მუხლების გამოჩენას უწყობს ხელს და რასაც ნაადრევი სექსუალიზაციისკენ მივყავართ.



ეტყობა, ბევრი იფიქრეს ამ „ჩიხიდან" გამოსავალზე და დაადგინეს: მოსწავლე ბიჭებს გოგონების მიმართ სექსუალური ლტოლვა რომ არ გაუჩნდეთ, ქალიშვილებს აეკრძალოთ სასწავლო დაწესებულებაში ქალის ტანსაცმლით გამოცხადება. მათ უნდა ჩაიცვან მხოლოდ შავი შარვლები. თუ ამ წესს დაარღვევენ, შინ მიაბრძანებენ.

# ასობით ქალმა შიშველი მკერდით ჩაიარა ნიუ-იორკში




**„აუ, რა კარგი დღე არის,
აუ, რამდენი ქალია!" — წამოსცდებოდა იოსებ გრიშაშვილს, ეს რომ დაენახა, მაგრამ ვერ მოესწრო. 26 აგვისტოს გაიმართა ტოპლესით, ანუ შიშველი მკერდით სიარულის დღე.
აქვთ ასეთი აღლუმი დასავლეთში.
დიდი ამბავი!**

სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს შარვალგამოხეულთა ყოველდღიურობა, რომელსაც ჩვენს კალენდრებში წითელი ფერით არ აღვნიშნავთ, არც ვზეიმობთ, არც რაღაც განსაკუთრებულ დემოკრატიულ აქციად არ მიგვაჩნია, რადგან... ასეთია ჩვენი ყოველდღიურობა. აი, ამერიკაში კი ტოპლეს დღის აღლუმში ასობით ქალი გამოვიდა და... რამდენიმე კაცი.

ეგეც პრაიდაღლუმია.

ჩვენთან ჯერჯერობით მხოლოდ შიშველი ჭიპების ეტაპი დავძლიეთ.

ქალთა ჭიპებზეა ლაპარაკი.

ქალთა ტიპებში არც აგერიოთ, ანუ ერთ დროს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი გამოცდების ტრადიციულ თემაში „ქალთა ტიპები „ვეფხისტყაოსანში".





„ვეფხისტყაოსანს" დღეს ნეობოლშევიკები არ კითხულობენ, რადგან ნეოლიბერალურ პრინციპებს არ ესადაგება.

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ „ქალთა ტიპები „ვეფხისტყაოსანში" შიშველი მკერდით?

სიგიჟეა!

ჰო და აქ დავსვათ წერტილი და, მკითხველმა რაიმე გადახრაში ბრალი რომ არ დაგვდოს, ნიუ-იორკის პრაიდაღლუმს დავუბრუნდეთ.

იმ ღონისძიების მონაწილე ქალბატონებმა და, უბრალოდ, ქალებმა საჯაროდ გამოფენილი ძუძუებით ნიუ-იორკის ქუჩებში სერიოზული პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად ჩაიდინეს ეს. მოითხოვეს, რომ საზოგადოებრიობამ ქალის შიშველი მკერდი აღიქვას ისევე, როგორც მამაკაცის ბანჯგვლიანი მკერდ-მუცელი, როგორც თვითონ ამბობენ, „ობიექტურობის გარეშე".

რას ნიშნავს ეს „ობიექტურობის გარეშე", ვერ გეტყვით, რადგან ჩვენი გონება ძლივს ჩასწვდა „კოკა-კოლას" შაქრის გარეშე ვარიანტს, მაგრამ ქალის მკერდის წარმოდგენა ქალის გარეშე ზეფილოსოფია, ანუ პედერასტობაა, ხოლო ვინც ასეთი არის, მას დემონსტრაციებით დაჯერება არ სჭირდება.

დემონსტრანტი ქალები აღშფოთებული ყოფილან თურმე იმით, რომ მამაკაცს შეუძლია, თავისუფლად გაისეირნოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში „ზედა ტანსაცმლის" გარეშე, ფოტოსურათებიც კი გადაიღოს, და მას არავინ დასწამებს საზოგადოებრივი მორალის დარღვევას. ამასთანავე, „ნახევრად შიშველი მამაკაცი ნაკლებად რისკავს, რომ იქნას გაუპატიურებული"(?!).

რას არ გაიგონებ „ოღონდ ითქვას" ვარიანტში!

აღლუმის მონაწილე ნახევრადშიშველი ქალები მოითხოვდნენ თავიანთვისაც ასეთ უფლებებსა და შესაძლებლობებს.

ზოგიერთი აქტივისტი ქალი ბიუსტჰალტერის აუცილებლად ტარების წინააღმდეგაც გამოდის.

უშლის კი ვინმე ხელს?!

აკონტროლებს ვინმე?!

დაუსჯიათ უბიუსტჰალტეროები?!

არა!

მაგრამ აღლუმში მონაწილე კაცებმა თავიანთი აღშფოთებული მეგობრების მოთხოვნის მხარდასაჭერად იმ აღლუმზე ბიუსტჰალტერებით მკერდდამშვენებულებმა ჩაიარეს.

ონანისტები!

მაგრამ რას მოსთხოვ, პრაიდის წევრები არიან.

ნეოლიბერალები!

„აღლუმი მიმართულია საზოგადოების გაუმჯობესებისკენ კანონების შეცვლისა და მსოფლმხედველობის შეცვლის საშუალებით, ასევე, ინფორმაციის გაცვლის გზით იმის თაობაზე, თუ როგორ უწყობს ხელს სექსისტური ორმაგი სტანდარტები ობიექტივაციასა(!) და გაუპატიურების კულტურას (!), — ციტირებს Daily Star-ი აქციის ორგანიზატორებს, — ჩვენ ქალის გაშიშვლების ნორმალიზებას ვახდენთ და ამით ვადასტურებთ, რომ ქალის მკერდი და, საერთოდ, ქალის სხეული მხოლოდ სექსუალური ობიექტები არ არის".

ამგვარი აღლუმი პირველად არ გამართულა. მაგალითად, შარშან ანალოგიური ღონისძიება გაიმართა კალიფორნიაში. წლეულს კი, მაისში, ფრანგმა ფემინისტებმა პარიზში მოაწყვეს აქცია „მამაკაცები ძალადობის წინააღმდეგ" და ამ მიზნით გაიშიშვლეს მკერდი.

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რას გვერჩოდით, როცა „ვარდების რევოლუცია“ მოგვახვიეთ თავს თქვენს წიაღში გამოზრდილი და გაწვრთნილი „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მეშვეობით, რომლებიც შემდგომ „დემოკრატიის შუქურად“ აქციეთ და რომლებმაც ქვეყანა ფიზიკურ, ეკონომიკურ და სულიერ გადაგვარებამდე მიიყვანეს ყოვლად ბინძური, უგვანო მეთოდებითა და საშუალებებით.**

# რას გვერჩით, რა დაგიშავეთ?!

## უფლის წილხვედრი ქვეყანა




**კაცობრიობა მეტად საგანგებო, საპასუხისმგებლო გზის გასაყარზე იმყოფება. მოსალოდნელია უდიდესი სოციალური სიძნელეები, ლოკალური ომები, კრიზისები, პანდემიები, გააფთრებული ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისა და ბატონობისთვის. ამ ვითარებაში პატარა ერების არსებობა და მისი მომავლის განსაზღვრა ძალიან ძნელია, მათ შორის, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის, რომელიც უამრავი გამოწვევის წინაშე დგას და ბეწვის ხიდი აქვს გასავლელი.**

სამწუხაროდ, ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავვარდით, უკომპასო გემივით დავცურავთ და სხვადასხვა პრობლემას ვეჯახებით, რომლებიც, როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორების შედეგია. ჩვენდა საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ბედმა ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა გვარგუნა, რომ მუდამ ყურადღების ცენტრში ვართ და ბევრი გაუაზრებელი მოვლენის მსხვერპლი ვხდებით, თუნდაც, როცა რომელიმე იმპერიის შემადგენლობაში ვართ ან მისი სტრატეგიული პარტნიორი, ან როცა მივისწრაფვით ევროკავშირისკენ, დასავლეთისკენ, რომელსაც ვეკითხებით: **რას გვერჩოდით, როცა „ვარდების რევოლუცია“ მოგვახვიეთ თავს თქვენს წიაღში გამოზრდილი და გაწვრთნილი „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მეშვეობით, რომლებიც შემდგომ „დემოკრატიის შუქურად“ აქციეთ და რომლებმაც ქვეყანა ფიზიკურ, ეკონომიკურ და სულიერ გადაგვარებამდე მიიყვანეს ყოვლად ბინძური, უგვანო მეთოდებითა და საშუალებებით?** დააპატიმრეს უამრავი ადამიანი, აწამეს ისინი და ეს წამება ვიდეოზე გადაიღეს, ადამიანებს წაართვეს კერძო საკუთრება, ბევრი ქუჩაში დახვრიტეს, ებრძოდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას და ცდილობდნენ ქართული ტრადიციების მოშლა-განადგურებას, 2007 და 2011 წლებში სასტიკად ჩაახშვეს ხალხის აღშფოთება, დაიწყეს რუსეთთან ომი, რომელმაც უმძიმესი და გამოუსწორებელი შედეგები მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

რა სავალალოა, რომ ყველა ქვეყნის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები მშვიდად შეჰყურებდით ამ ბოროტებას და მხოლოდ აღშფოთებითა და შეშფოთებით შემოიფარგლებოდით, რაც შემდგომში ჩვენი ქვეყნის ყველა მოვლენის შეფასებისა და ნუგეშის საშუალებად გვიქციეთ.

რა სამწუხაროა, რომ მანიაკებით დაკომპლექტებული ნაცბანდა ამ უმძიმეს და გაუგონარ ბოროტებას სარგებლის, სიამოვნებისა და პატივისთვის სჩადიოდა. რა სასიკვდილო სახადად გვიქციეთ გადატრიალებების მოწყობა ჩვენს ქვეყანაში?!

ქართველმა ხალხმა თქვენ მიერ თავსმოხვეული კოაბიტაციითა და თავისი უდიდესი მიმტევებლობით მსწრაფლ არ უპასუხა ამ ბოროტებას ბოროტებით, მაგრამ ნაცბანდამ თავი არ დამალა, ისინი ცხვრის ქურქში გაეხვივნენ და ნაცვლად იმისა, რომ მოენანიებიათ, ბოროტ პარაზიტებად იქცნენ. არ მოხდა განწმენდა სიბილწისგან, რადგან დაცლილი არიან ყოველგვარი ზნეობრივი სინდისისგან, ჩადენილი ბოროტების შეცნობის უნარდაკარგულები არიან და სიმართლისთვის გადაულახავ ბარიერად იქცნენ. არადა, მხილება ხომ სიმართლის საფუძველია, როგორც **ჭაბუა ამირეჯიბი ამბობს, „ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო სიკეთე არ კმარა არასდროს, ბოროტი კაცი ერის მტერია და სამშობლოს სიყვარულს ნუ მოელი“.** ეს ზუსტ დიაგნოზად მიესადაგება ამ ნაცხროვას, ამიტომ უნდა ამოიძირკვოს ეს ბოროტება. სამწუხაროდ, ეს შანსი არ იქნა გამოყენებული, როცა „პატრიოტთა ალიანსმა“ წინადადება წამოაყენა პარლამენტში განსახილველად, რომ ეს დამნაშავე რეჟიმი გასამართლებულიყო, ამ ინიციატივას საქართველოს ნახევარმილიონამდე მოქალაქე ხელმოწერით უჭერდა მხარს. სამწუხაროდ, 150 დეპუტატიდან მხოლოდ 45-მა მისცა ხმა ამ რეზოლუციას. ვინც არ მისცა, ისინი ხომ ამ ბოროტების მხარდამჭერია?! მათ ორი ცოდვა ჩაიდინეს: პირველი — ამ ბოროტებას არსებობის უფლება მისცეს და მეორე — მათ მიერ 20 ივნისს მოწყობილი აქციის უამრავი მონაწილე დასახიჩრდა და დაზარალდა. სწორედ მათ კისერზეა ეს ცოდვები. როგორც ქართული ანდაზა ამბობს, „ცოდვა გამხელილი სჯობსო“. იქნებ მაშინ მოინანიონ, როცა კიდევ ერთხელ მოხდება პარლამენტში ამ რეზოლუციის განხილვა. გააანალიზონ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და გააკეთონ სათანადო დასკვნები და, ვინც მხარს არ დაუჭერს ამ რეზოლუციას, გაკეთდეს მემორიალური დაფა თვალსაჩინო ადგილზე, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ 30 ვერცხლად გაყიდული პარლამენტარების სახელები. როგორც გენიალური **შოთა რუსთაველი** ამბობს: „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“.

**თქვენ მიერ თავსმოხვეულმა დაყავი და იბატონეს პოლიტიკამ, როცა ქვეყანა ტერიტორიულად გახლეჩილია და სულიერი სიჯანსაღეც საფრთხეშია, გამოიწვია ის, რომ ქვეყანა ჩაყლაპა შურმა, რომელმაც ამდენი სიძულვილი, ზიზღი, ღალატი შვა. ქვეყანა გადაიქცა პოლიტიკური ინტრიგებით მოწამლულ პოლიგონად. ადამიანთა ცნობიერებასა და ფსიქიკაზე ზემოქმედებენ ფინანსური, ინტელექტუალური, ფიზიკური, მორალური და სხვა საშუალებებით, რაშიც ჩართული არიან მოსყიდული შინაური თუ გარეული, კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურები და პიროვნებები.** სამწუხაროდ, ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, არადა, ქართველი ერის სახელმწიფოებრიობა რამდენიმე ათას წელს ითვლის. ჩვენ ვართ მსოფლიოში

**თქვენ მიერ თავსმოხვეულმა დაყავი და იბატონეს პოლიტიკამ, როცა ქვეყანა ტერიტორიულად გახლეჩილია და სულიერი სიჯანსაღეც საფრთხეშია, გამოიწვია ის, რომ ქვეყანა ჩაყლაპა შურმა, რომელმაც ამდენი სიძულვილი, ზიზღი, ღალატი შვა. ქვეყანა გადაიქცა პოლიტიკური ინტრიგებით მოწამლულ პოლიგონად. ადამიანთა ცნობიერებასა და ფსიქიკაზე ზემოქმედებენ ფინანსური, ინტელექტუალური, ფიზიკური, მორალური და სხვა საშუალებებით, რაშიც ჩართული არიან მოსყიდული შინაური თუ გარეული, კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურები და პიროვნებები**

ცნობილი 14 დამწერლობიდან ერთ-ერთის შემქმნელი — ქართული ანბანური სისტემა ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე არსებობდა, ქართველური ტომები ქმნიდნენ ცივილიზაციის საწყისებს. ქართველმა ერმა, რომელსაც ქრისტეს ოთხმა მოციქულმა და მოციქულთა სწორმა წმინდა ნინომ უქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება, შექმნა კულტურის ხელთუქმნელი ძეგლები, რომელთაგან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილია მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და სამთავრო, გელათის სამონასტრო კომპლექსი და სხვ. იუნესკოს მიერ აღიარებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ძეგლების ნუსხაში შედის **ქართული პოლიფონიური სიმღერა, ქართული ქვევრის ღვინის დამზადების ტრადიციული მეთოდი, ქართული ანბანის სამი სახეობა და ქართული ჭიდაობა.** ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობიდან კი აღიარებულია 48 ძეგლი, რომლებშიც ჩვენი ერის კულტურა, ფასეულობები, მრწამსი და ცხოვრების ჯანსაღი წესია გაცხადებული. ქართული სიმღერა და ცეკვა ხომ ეროვნული სულის შთამნერგავია, რომელიც ბევრმა ქვეყანამ გაითავისა და შეიყვარა. **ქართული ტრადიციული სუფრის კულტურა ქართული გენის მცირე აკადემიაა თავისი სტუმარ-მასპინძლობით, მჭევრმეტყველური სადღეგრძელოებით, მომხიბლავი სიმღერით, ცეკვით, პოეზიით, იუმორითა და, რაც მთავარია, კულინარიული საგანძურით დამშვენებული. მათაც კულტურული მემკვიდრეობა ერგო წილად, ისევე, როგორც ხელოსნობის სხვადასხვა დარგის ტრადიციას, ქართულ ხალხურ ცხენოსნურ თამაშობებს, ლელობურთს, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ და სხვა უნიკალურ ქმნილებებს. ისტორიული ფაქტების საფუძველზე საქართველოს დაუმკვიდრდა ღვინის სამშობლოს ტიტული, რომ ის ღვინის ქვეყანაა, აქ ვაზის 500-მდე ჯიშია, აგრეთვე, ხორბლისა და ფუტკრის უნიკალური ჯიშები.**

ქართული ფენომენი, ჩვენი ეროვნული საუნჯე და ტრადიციები უდევს საფუძვლად ამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და ვინ იცის, კიდევ რამდენია ასაღიარებელი. ჩვენს ერს დიდი წვლილი მიუძღვის ცივილიზაციის აღორძინებაში, ამიტომ დიდი ყურადღება, მოვლა-პატრონობა და აღიარება გვმართებს ამ უიშვიათესი ძეგლების მიმართ, რომლებიც არასოდეს კარგავს მაგიურ მომხიბვლელობას ამ ცოდვილ სამყაროში.

ღვთისა და კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილი ეს პატარა ქვეყანა ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ფორპოსტია, რომელსაც უამრავი წმინდანი ჰყავს, მათ სიცოცხლე გაწირეს საქართველოსა და ქრისტიანობისთვის. ქვეყანაში ბევრი სიწმინდეა დაცული, სამწუხაროდ, ძნელბედობის ჟამს ზოგი დაიკარგა, ზოგი საზღვარგარეთ გაიტანეს — საფრანგეთში, რუსეთში. ბედის ირონიაა, რომ ხახულის ღვთისმშობლის ხატის მინანქრის ნამსხვრევები ამერიკაში მეტროპოლიტენ მუზეუმშია გამოფენილი. აღარაფერს ვამბობ ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებზე — ქართულ სიწმინდეებზე, რომლებიც სხვა ქვეყნების მიერ დაპყრობილ ჩვენს მიწა-წყალზე სავალალო მდგომარეობაშია. ფიქრობს კი ამაზე ვინმე? სამწუხაროდ, ჩვენ ძლიერი ქვეყნების პოლიტიკურ ნებაზე ვართ დამოკიდებულნი. **ამხელა კულტურის მქონე და ამდენ ქარ-ცეცხლგამოვლილი ქართველი ერი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად იბრძვის, იმის მაგიერ, რომ უცხოელი პარტნიორები ხედავდნენ და აფასებდნენ ამ უდიდეს მიღწევებს და მისწრაფებებს, პირიქით — თავს გვახვევენ ლიბერასტულ სიბილწეს, უზნეობასა და სიმახინჯეს. ქართველი ხალხი არ დაუშვებს ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ამ ძალების თარეშს, რომლის აღსრულებაც უფალმა ჩვენ გვანდო, რასაც ადასტურებს ჩვენი რწმენის თითქმის ორიათასწლიანი მშფოთვარე ისტორია.**

ქართველმა ხალხმა გაუძლო ისტორიულ ქარტეხილებს, მაგრამ დღეს უნდათ, რომ წარსული დაგვავიწყონ, რომ წინაპართა ნაკვალევზე არ ვიაროთ. არადა, სწორედ ღირსეულ წარსულზე უნდა ავაგოთ ჩვენი მომავალი და იქიდან უნდა ავიღოთ შეუპოვრობა, თავგანწირვა და სამშობლოს სიყვარული. როგორც დიდი წმინდა ილია მართალი ამბობს „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

დღეს ქართველი ხალხის მხარესაა სამართალი და ღმერთი. ჩვენ ვდგავართ ერის საარსებო ბრძოლის წინაშე და მსოფლიოს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ქართველი ხალხი მებრძოლი და სიცოცხლის ღირსია.

ქართველმა ერმა გოლგოთაზე იარა. წმინდა მიწაა ჩვენი ქვეყანა, ხელიხელ საგოგმანები და რა სამწუხაროა, რომ სხვადასხვა შინაური თუ გარეული ძალის საჯიჯგნად გადავიქეცით, მაგრამ დადგება მათი ცოდვა-მადლის განკითხვის დღეც.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**ჯონი ცინცაძე**,
**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**

**ამხელა კულტურის მქონე და ამდენ ქარ-ცეცხლგამოვლილი ქართველი ერი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად იბრძვის, იმის მაგიერ, რომ უცხოელი პარტნიორები ხედავდნენ და აფასებდნენ ამ უდიდეს მიღწევებსა და მისწრაფებებს, პირიქით — თავს გვახვევენ ლიბერასტულ სიბილწეს, უზნეობასა და სიმახინჯეს. ქართველი ხალხი არ დაუშვებს ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ამ ძალების თარეშს, რომლის აღსრულებაც უფალმა ჩვენ გვანდო, რასაც ადასტურებს ჩვენი რწმენის თითქმის ორიათასწლიანი მშფოთვარე ისტორია.**

დაწყებული „მოქალაქეთა კავშირით“, გაგრძელებული ნაცებითა და დასრულებული თქვენით, ქოცებო, ყველანი ქართველი ხალხის ოკუპანტები ხართ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობას მოუსპეთ არსებობის საშუალება, ქვეყანაში მძვინვარებს ტოტალური უმუშევრობა, რომლის გამოც ასევე მძვინვარებს ნარკომანია, შიმშილი, ხალხს არ აქვს პურისა და წამლის საყიდელი ფული.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“.

*ხალხური*

# ოკუპანტი და ოკუპაცია

**ოკუპაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ძალადობრივი გზით მიერთებას, დაკავებას.**

**საქართველო ოდითგან მდებარეობს ევროპა-აზიის გზაგასაყარზე. ამის გამო უამრავი მომხვდური ცდილობდა და ცდილობს ჩვენი მიწის დაკავება-მითვისებას.** ვისი ცხენების ფლოქვებს არ გადაუთელია ჩვენი ტანჯული მიწა — თუ ოსმალოს, თუ სპარსის, თუ მონღოლისა და არაბის... ყველამ საკმარისზე მეტი დაღვარა ქართული სისხლი. იყო ქართული სოფლების დედაბუდიანად აყრა და უცხოეთში (ფერეიდანში) გადასახლება; იყო და არის ქართული მიწების მცხოვრებლებიანად დაპყრობა-მითვისება. და ეს ყოველივე ხდებოდა (მოხდა) ჩვენი, ქართველების, ნების საწინააღმდეგოდ. „ისტორიული მეგობრის“, თურქეთის, მიერ მიტაცებულია ტაო-კლარჯეთის (ართვინ-არტაან-ოლთისი) 12 ათას კვ კმ-ზე მეტი ქართული მიწა მოსახლეობით. დღეს ამ მიწაზე სავალალო მდგომარეობაშია უნიკალური ეკლესია-მონასტრები. ჩვენი გამყიდველი ხელისუფლების დანაშაულებრივი დუმილის გამო ვკარგავთ (თუ უკვე არ დავკარგეთ) აჭარას. თბილისი უკვე გახადეს ოსმალო-სპარსი-არაბი-ჩინელი და უამრავი შემოხეტებული ვიგინდარის სათარეშო ადგილად. **ხალხნო, რომელი საუკუნეა, ხომ ვერ მეტყვით? რა ჰქვია ამას? არ არის ეს ოკუპაცია და არ არიან ამ ვაიხელისუფლების ისტორიული მეგობრები ისტორიული ოკუპანტები?!** გადმოვინაცვლოთ აქეთ! რა მდგომარეობაში არიან ჩვენი მოძმე ინგილოები თავიანთ ძირძველ მიწაზე — ჰერეთ-საინგილოში? რატომ არ აქვთ უფლება, ილაპარაკონ თავიანთ მშობლიურ, ქართულ, ენაზე? თუ აზერბაიჯანელებს აქვთ სრული უფლება, აქ იცხოვრონ ისე, როგორც მათ უნდათ, ჰქონდეთ სალოცავი მეჩეთები, ჰქონდეთ განათლების (საშუალო, უმაღლესი) მიღების უფლება მშობლიურ ენაზე, ჰქონდეთ აზერბაიჯანული თეატრი და, რაც მთავარია, მათ მიმართ არავის არასოდეს გამოუხატავს უკმაყოფილება — იმ უბანში, ხარფუხში, ვარ გაზრდილი და შესანიშნავად ვიცი და მახსოვს ყოველივე, ჩვენ რა გვემართება? რატომაა, რომ ეს უბედურ დღეზე გაჩენილი ხელისუფლება ხმას არ იღებს? რა ხდება? **30 ვერცხლის ბრწყინვალებამ ხომ არ მოგჭრათ თვალი თუ ვიღაცის შიშით ცახცახებთ და ამიტომ ხართ გატრუნულნი? არის თუ არა ეს ქართული ისტორიული მიწების ოკუპაცია? აი, კიდევ ერთი ასეთივე მტკივნეული მაგალითი — უკვე ნაქართველარად წოდებული ლორე-ტაშირის მხარე, ლორე-ტაშირი, სადაც შემორჩენილია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და საფლავები. ეს ძეგლებია: ახტალა, ლორესციხე, ქობერი, ოსკ-აპრი და სხვ.** მათგან რამდენიმე მონასტერი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ნუსხაშია შეტანილი. ამჟამად ლორე-ტაშირი სომხეთის ტერიტორიაზეა. არც ეს არის ოკუპაცია? მოგმართავთ თქვენ, ზრდასრულ ასო-ებს, საქართველოს საზიანოდ „განათლებულ“ ვაიპოლიტიკოსებსა და სოროსის ძღვენით გამაძღართ — რა არის ის, რაც მე ზევით მოგახსენეთ, თუ არა ოკუპაცია? თუ თქვენთვის მხოლოდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვაა ოკუპაცია? აბა, ჩადით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და ჰკითხეთ აფხაზებსა და ოსებს — ძალით დაიპყრო რუსეთმა თუ ეს ყველაფერი მათი ნება-სურვილით მოხდა? თუ არასწორად გატარებული პოლიტიკის ბრალია, ამაშიც ხელისუფლებაა დამნაშავე და არა მოსახლეობა. თქვენ, ყველა ერთ თარგზე მოჭრილო ბნელეთის მოციქულებო, რუსეთმა, რომელსაც დღეს „ძალა შესწევს ქადილისა“, რამდენჯერ გაგაფრთხილათ, ჩემი საზღვრების სიახლოვეს არ დავუშვებ არავითარ ნატო-კატოებსო?! კისერიც გიტეხიათ სტრატეგიული პარტნიორებიანად, ნატოიანად, მაგრამ ჩვენ, ხალხს, რას გვერჩით? იმდენს იძახებთ: „მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოშიო“, რომ რუსეთს აიძულებთ, როგორც იმ დივერსანტმა **სააკაშვილმა** აიძულა და ამის გამო დაგვეკარგა სამაჩაბლო, აფხაზეთი, მოვიდეს და ქვა-ქვაზე დაადუღოს. ფეხებსაც ვერავინ მოსჭამს, ისე, როგორც 2008-ში ვერ აუფრინეს ბუზი. **გეუბნებიან და არ გინდათ, შეიგნოთ, რომ ამ სახელმწიფოს არ სურს თავისი საზღვრების სიახლოვეს უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალები, მით უმეტეს, ნატო. გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს აღარ არის ელცინისდროინდელი რუსეთი. სჯობს, დღეს მასთან უშნო ხუმრობას თავი დავანებოთ, სანამ ქვეყანაში არ მომხდარა დიდი უბედურება თქვენი მცდელობით. ეს ეხება როგორც ხელისუფალთ, ისე გაზრდილ ასო-ებსა და ქვეყანაზე შემთხვევით გაჩენილ მოპოლიტიკოსო სუბიექტებს.**

**დაწყებული „მოქალაქეთა კავშირით“, გაგრძელებული ნაცებით და დასრულებული თქვენით, ქოცებო, ყველანი ქართველი ხალხის ოკუპანტები ხართ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობას მოუსპეთ არსებობის საშუალება, ქვეყანაში მძვინვარებს ტოტალური უმუშევრობა, რომლის გამოც ასევე მძვინვარებს ნარკომანია, შიმშილი, ხალხს არ აქვს პურისა და წამლის საყიდელი ფული. ქვეყანამ, რომელსაც საკუთარ გამგებლობაში არ აქვს საავადმყოფოები და აფთიაქები, როგორ შეიძლება იარსებოს?!** ზოგი მეტყვის: ხომ არის ქვეყანაში საყოველთაო ჯანდაცვაო? — კი, არის, მაგრამ საავადმყოფოების სახელმწიფოს გამგებლობაში არსებობის შემთხვევაში დაიზოგება (თუ ჩემი არ გჯერათ, დაჯექით და იანგარიშეთ) სახელმწიფო სახსრები და, რაც მთავარია, დასაქმდება ჯანდაცვის ბევრი სპეციალისტი; ბევრი ოჯახი გაიჩენს საარსებო წყაროს, თუმცა ამის გამკეთებელი დღეს საქართველოში, არა მგონია, გამოჩნდეს იმ მარტივი მიზეზით, რომ ასეთ შემთხვევაში საკუთარ მეწველ ძროხას გამოუსვამენ ყელში დანას. საქართველოში არ არის მცირე და საშუალო ბიზნესი და, თუ სადმე რამე არის, ისიც ან თქვენიანისაა, ანდა იმ უცხოელის, რომელსაც წილში უზიხართ. უსაქმურ მაღალჩინოსნებს არაფრის კეთებაში აქვთ დანიშნული უზარმაზარი ხელფასები პრემია-დანამატებითურთ. **ბატონო ბიძინა ივანიშვილო, სანამ აგირჩევდნენ, ხალხს რომ დაჰპირდით, თუ მოვალთ ხელისუფლებაში, დაუყოვნებლივ დავიწყებთ სასმელი წყლის პროგრამის განხორციელებასო, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან რა ხანია გასული, ხომ ვერ მეტყვით?** თქვენ ფინანსებთან გაქვთ მჭიდრო კავშირი და თვლა კარგად გეცოდინებათ, ამიტომ **დაიანგარიშეთ: რამდენი დღეა, რაც ქართველ ხალხს ამყოფებთ ტყუილების ტყვეობაში?** ძაღლის ნაკბენივით მახსოვს 2012 წლის 27 მაისი, თავისუფლების მოედანი, როცა ხალხს თვალში ბევრი ნაცარი შეგვაყარეთ თქვენი ზღვარგადასული დაპირება-ტყუილებით. რუსებს, იმ რუსებს რომლებთანაც (ასე ამბობენ) ბიზნესი გქონდათ და რომელთა ქვეყანაშიც თვალებში გამოიხედეთ, აქვთ ასეთი სიტყვა: Живодер, რაც ნიშნავს ცოცხლად გამტყავებელს. ნაცების მერე ესენი ხართ თქვენ — დღევანდელი ხელისუფლება, ქოცები. ახლა უკვე გადმოვერთვები თქვენკენ და გთხოვთ, თუ მოძებნით შესაბამის სიტყვებს, მიპასუხეთ: **რა დაგიშავათ ქართველმა ხალხმა ისეთი, რომ ყველა ელჩი, აშშ-ის ელჩის თამადობით, თავზე დაგვასვით? საქართველოს ყველა მტრის ნაბრძანებს (დიახ, ნაბრძანებს) უსიტყვოდ რომ ასრულებთ? ხელისუფლებაში (პარლამენტი, მთავრობა) შეყარეთ ყველა ჯურის უვიცი და უსაქმური, საქართველოს საგარეო ვალი კი იზრდება და იცით, რატომ?** იმიტომ, რომ ქვეყანაში არ ხდება პროდუქციის წარმოება. თუ მაინცდამაინც თქვენ უნდა იყოთ მაძღარი და დანარჩენი საქართველო შიმშილით სულს ღაფავდეს? ღმერთი აღარ გწამთ? და კიდევ ერთი ფრიად მტკივნეული კითხვა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი: 2021 წელს ვადა გასდის ყარსის ხელშეკრულებას, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ქართველი ხალხის თავზე. აჭარა რომ დაიკარგოს, იცოდეთ, სამარადისო წყევლა-კრულვა არ აგცდებათ თქვენ და თქვენს მოდგმას! აქ ერთადერთი საშველი არის რუსეთის კეთილი ნება, რომელიც დამოკიდებულია არსებული ხელისუფლების გონიერებაზე. გაახილეთ თვალი, მოეგეთ გონს და ის, რაც ქართველ ხალხს არ გვინდა, ძალით ნუ გვახვევთ თავს. ნუ გახდით ხალხს იძულებულს, გამოვიდეს ქუჩაში და ყველა, თქვენით დაწყებული, „უპრაგონოდ“ შემოხეტებული უცხოელებით დამთავრებული, კინწისკვრით გაგყაროთ აქედან, ვინც გადაურჩებით ქართულ სამართალს. არ გვინდა კიდევ ერთი „ბაქტრიონის“ მოწყობა. საქმე საშურია, დრო აღარ ითმენს. ნუ აიძულებთ ხალხს ამის გაკეთებას. მალე ვიზეიმებთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობას და იმედია, უფალი, როგორც ყოველთვის, ახლაც შეგვეწევა! ამინ!

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთში წარმოებული ძმათამკვლელი ბრძოლების მონაწილე, ორი დაღუპული მებრძოლის მამა**
**ანზორ დანელია**



**რა დაგიშავათ ქართველმა ხალხმა ისეთი, რომ ყველა ელჩი, აშშ-ის ელჩის თამადობით, თავზე დაგვასვით? საქართველოს ყველა მტრის ნაბრძანებს (დიახ, ნაბრძანებს) უსიტყვოდ რომ ასრულებთ და ხელისუფლებაში (პარლამენტი, მთავრობა) შეყარეთ ყველა ჯურის უვიცი და უსაქმური?**

**აი, კიდევ ერთი ასეთივე მტკივნეული მაგალითი — უკვე ნაქართველარად წოდებული ლორე-ტაშირის მხარე — ლორე-ტაშირი, სადაც შემორჩენილია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და საფლავები. ეს ძეგლებია: ახტალა, ლორესციხე, ქობერი, ოსკ-აპრი და სხვ. მათგან რამდენიმე მონასტერი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ნუსხაშია შეტანილი. ამჟამად ლორე-ტაშირი სომხეთის ტერიტორიაზეა! არც ეს არის ოკუპაცია?**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წმინდა პეტრეს ტაძარზე გაცილებით დიდია ტაძარი ბაზილიკა ნოტრ-დამ-დელა-პე, რომელიც ააგეს კოტ-დ'იუვარის (სპილოს ძვლის ნაპირის) დედაქალაქ იამუსუკროში 1989 წელს. ფართობი ტაძრისა, რომელიც რომის წმინდა პეტრეს ტაძრის მსგავსია, 30 000 კვ მ-ია და ის ორჯერ აღემატება ვატიკანის ტაძრის ფართობს. ბაზილიკა სიმაღლითაც მეტია რომის წმინდა პეტრეს ტაძარზე.**

**ბევრს მიაჩნია, რომ მსოფლიოში ყველაზე დახრილი პიზის კოშკია, მკვდარი ზღვა ყველაზე მარილიანია, რომის წმინდა პეტრეს ტაძარი კი — ყველაზე დიდი საკრალური ნაგებობა, მაგრამ ეს მხოლოდ მითებია, სიმართლე კი სულ სხვაა — ნამდვილ „ყველაზე ყველაზე"-ს შესახებ ინფორმაცია ცოტას თუ აქვს. აი, რამდენიმე მითი, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს.**

# 6 მითი მსოფლიოში ცნობილ ღირსშესანიშნაობებზე


ნოტრ-დამ-დელა-პე



## მითი №1: რომის წმინდა პეტრეს ტაძარი ყველაზე დიდია

წმინდა პეტრეს ტაძარი ნამდვილად არის რელიგიური ნაგებობა, რომელსაც ყველაზე მეტი ადამიანი ათვალიერებს, ხოლო, როცა მესა იმართება ტაძარსა და მის გარშემო ტერიტორიაზე 60 ათასი ადამიანი იკრიბება, მაგრამ ეს არ არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ტაძარი თავისი ზომებით. წმინდა პეტრეს ტაძარზე გაცილებით დიდია ტაძარი ბაზილიკა **ნოტრ-დამ-დელა-პე,** რომელიც ააგეს კოტ-დ'იუვარის (სპილოს ძვლის ნაპირის) დედაქალაქ იამუსუკროში 1989 წელს. ფართობი ტაძრისა, რომელიც რომის წმინდა პეტრეს ტაძრის მსგავსია, 30 000 კვ მ-ია და ის ორჯერ აღემატება ვატიკანის ტაძრის ფართობს. ბაზილიკა სიმაღლითაც მეტია რომის წმინდა პეტრეს ტაძარზე.





## მითი №2: პიზის კოშკი ყველაზე დახრილია

სინამდვილეში ყველაზე დახრილი კოშკი არის გერმანიაში — ეს არის XIII საუკუნის ეკლესია აღმოსავლეთ ფრიზიის რეგიონის სოფელ ზუურჰუზენში. ის 5,19 გრადუსით არის დახრილი (სიმაღლე 24,7 მ-ს შეადგენს), რის გამოც გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა 2007 წელს.

შესადარებლად: პიზის კოშკის დახრის კუთხე მხოლოდ 3,97 გრადუსია. არის კიდევ თანამედროვე არქიტექტურის ერთი საინტერესო ქმნილება — Capital-Gate („დედაქალაქის კარიბჭე") აბუ-დაბიში, ცათამბჯენი დახრილია 18 გრადუსით და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე დახრილი შენობა მსოფლიოში.





## მითი №3: მკვდარ ზღვაში წყალი ყველაზე მარილიანია

მკვდარ ზღვაში, რომელზეც გასასვლელი აქვთ ისრაელს, იორდანიასა და პალესტინას, მარილის შემცველობა 28%-ია. ეს 7-ჯერ მეტია, ვიდრე ხმელთაშუა ზღვაში და, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ ჩვენს პლანეტაზე უფრო მარილიანი წყალიც მოიძებნება — ეს არის **ტბა ასალი** რესპუბლიკა ჯიბუტიში. ამ ტბის სანაპირო აფრიკის ყველაზე დაბალ ადგილად ითვლება, მის წყალში მარილის შემცველობა 35%-ია.





## მითი №4: ნიაგარის ჩანჩქერი ყველაზე მაღალია

სინამდვილეში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი ვენესუელაშია — ანხელი. ჩანჩქერი ანხელი ტროპიკულ ტყეშია, ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში და მისი სიმაღლე 979 მ-ს შეადგენს წყალი ეცემა სიმაღლე აუიანტეპუიდან („ეშმაკის მთა"). წლის ცხელ პერიოდში მთიდან წამოსული წყლის ნაწილი ორთქლდება და წარმოქმნის გამჭვირვალე წყლის წვეთების ღრუბელს, რომლის სანახავადაც უამრავი ტურისტი რამდენიმე კილომეტრს გადის ჯუნგლებში.





## მითი №5: ნორდკაპის კონცხი ყველაზე ჩრდილოეთი წერტილია

ნორვეგიის კუნძულ მაგერიოს ყოველწლიურად 200 ათასზე მეტი ტურისტი სტუმრობს, რათა ფეხი დადგას, მისი აზრით, ევროპის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ადგილზე, მაგრამ ცდება, რადგან ევროკავშირში ყველაზე ჩრდილოეთი ადგილი კილომეტრ-ნახევრის იქითაა — ეს არის კონცხი კნივშელიოდენი. რაც შეეხება ევროპას, აქ ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს კუნძულები შპიცბერგენი და ფრანც-იოსების მიწა, რომლებიც რუსეთის შემადგენლობაშია.




## მითი №6: კეთილი იმედის კონცხი ყველაზე სამხრეთით მდებარეობს



კეთილი იმედის კონცხიდან კონცხ აგულიასამდე 155 კმ-ია სამხრეთ-აღმოსავლეთით. და სწორედ აგულიასი არის აფრიკის ყველაზე სამხრეთი წერტილი, ამასთანავე, გეოგრაფიული ადგილი, რომელიც ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებს ერთმანეთისგან ჰყოფს. ამ ადგილას აღინიშნება სპეციფიკური ანომალია. XIX საუკუნეში კომპასის ისარი 30 გრადუსზე გადაიხარა დასავლეთით. ადგილის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს: Agulha პორტუგალიურად ნემსს ნიშნავს, ამ შემთხვევაში — კომპასის ისარს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მშფოთვარე პერიოდი იდგა — ლიონში ექიმების გაფიცვა მიმდინარეობდა. მუშახელი საკმარისი არ იყო. ერთმა ანესთეზიოლოგმა ერთდროულად 8 პაციენტს გაუკეთა ნარკოზი. ამ არეულ-დარეულობაში ჟან-პიერს ნარკოზის ორმაგი დოზა ერგო. ამას გარდა, ქირურგის ასისტენტი გახლდათ სტაჟიორი, რომელმაც ადამსს არასწორად ჩაუდგა ფილტვების სავენტილაციო მილი. გულმა ვერ გაუძლო, გაჩერდა და, სანამ სპორტსმენის რეანიმაციას ცდილობდნენ, დაიწყო შეუქცევადი პროცესები. ადამსი ცოცხალი დარჩა, მაგრამ ღრმა კომაში ჩავარდა.**

# მძინარე გიგანტი

## შუმახერი გონს მოვიდა, ფრანგი ფეხბურთელი კი, უკვე 37 წელიწადია, კომაშია



**მსოფლიოს წამყვანმა სააგენტოებმა და გამოცემებმა რამდენიმე დღის წინათ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ლეგენდარული გერმანელი პილოტი, „ფორმულა-1“-ის 7-გზის ჩემპიონი, 50 წლის მიხაელ შუმახერი 6-წლიანი კომის შემდეგ გონს მოვიდა. თანამშრომლებმა პარიზის ჟორჟ პომპიდეს სახელობის კლინიკისა, რომელშიც 9 სექტემბერს გადაიყვანეს გერმანელი ავტომრბოლი, განაცხადეს, რომ კარდიოლოგიის განყოფილებაში მოთავსებული შუმახერი კომიდან გამოვიდა, რომელშიც ის ჩავარდა 2013 წელს ალპების სათხილამურო კურორტ მერიბელში მძიმე ტრავმის შედეგად. ფრანგი ფეხბურთელი კი, რომელიც კომაში 37 წლის წინათ ჩავარდა, ჯერ კიდევ არ მოსულა გონს.**

ფრანგი **ჟან-პიერ ადამსი** 15 წლიდან თამაშობდა პროფესიულ ფეხბურთს. მისი კარიერის პიკი იყო 1970-იანი წლები, როცა იცავდა საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და ქვეყნის საუკეთესო კლუბების ღირსებას. მას კარგად იცნობენ „მეცისა“ და „პარი სენ-ჟერმენის“ გულშემატკივრები. სპორტიდან წასვლის შემდეგ ჟან-პიერმა გადაწყვიტა თავისი ჯანმრთელობისთვის მიეხედა და დათანხმდა, ოპერაცია გაეკეთებინა მუხლზე, რომელიც წლების განმავლობაში აწუხებდა.

ოპერაცია რთული არ იყო, მაგრამ ექიმის შეცდომის შედეგად ფეხბურთელი კინაღამ საოპერაციო მაგიდაზე გამოეთხოვა სიცოცხლეს. ადამსი ღრმა კომაში ჩავარდა და გონს ვერ მოდის, უკვე 37 წელიწადია...

### ჩასვეს გემში და გაუშვეს

ჟან-პიერ ადამსი სენეგალში დაიბადა. 8 წლის იყო, როცა საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. ბიჭის მშობლებს სურდათ, ის ევროპაში გაზრდილიყო, თუმცა არც რჩევებით დახმარებიან და არც ფულით. ჟან-პიერი გემში ჩასვეს და გაუშვეს ქვეყანაში, სადაც უკეთესი ეკონომიკური პირობები იყო. საფრანგეთისკენ მიმავალ გზაზე, გემი რამდენჯერმე გაფუჭდა და კინაღამ ჩაიძირა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ადამსის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. ასეთი შემთხვევა მის ცხოვრებაში რამდენიმე იყო. გამუდმებული ქარის გამო ბიჭს გემზე ფილტვების ანთება დაემართა და მარსელში დატოვეს თავშესაფარში. ცოტა ხნის შემდეგ კი ის პარიზის გარეუბანში მცხოვრებმა წყვილმა იშვილა. ჟან-პიერი კათოლიკური სკოლის მოსწავლე გახდა. კარგად სწავლობდა, ძალიან უყვარდა ფეხბურთი — იყო სკოლის გუნდის კაპიტანი. სკოლის დამთავრების შემდეგ ვარჯიში განაგრძო ადგილობრივ სამოყვარულო კლუბში. ვარჯიშიდან შინ თანაგუნდელს მიჰყავდა ხოლმე ავტომობილით. ერთ-ერთი მგზავრობა კი ტრაგიკულად დასრულდა — ავტომობილი გადაბრუნდა. მძღოლი ადგილზე დაიღუპა, ადამსი კი უსაფრთხოების ღვედმა გადაარჩინა.

ახალგაზრდამ განიცადა მეგობრის დაღუპვა და ფსიქოლოგმა ურჩია, გულის გადასაყოლებლად ცეკვაზე ევლო. გადაწყვეტილებამ ჟან-პიერის ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა იქონია. მან დისკოთეკაზე გაიცნო ბერნადეტი, რომელიც მოგვიანებით ცოლად შეირთო. ბერნადეტი ჟან-პიერის ცხოვრებაში დღესაც მთავარი პირია.

### „კოშმარი თავდამსხმელებისთვის“

ჟან-პიერ ადამსის პირველი პროფესიონალური გუნდი იყო „ნიმი“. 1970 წელს მას 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მწვრთნელი აღტაცებული იყო ფეხბურთელის სიძლიერით, თანაგუნდელებმა კი მას გიგანტი შეარქვეს, მიუხედავად იმისა, რომ არც ისეთი მაღალი იყო (დაახლოებით 180 სმ). ამასთანავე, ის პლასტიკურობითა და სისწრაფითაც გამოირჩეოდა.

1972 წელს ადამსს დებიუტი ჰქონდა საფრანგეთის ნაკრებში სსრკ-ის წინააღმდეგ. სწორედ ამ მატჩში ითამაშა პირველად **მარიუს ტრეზორთან** ერთად ცენტრალურ მცველად.

„ადამსისა და ტრეზორის წყვილი ნამდვილი კოშმარი იყო თავდამსხმელებისთვის, მათი დაცვა შეუვალი იყო“, — წერდა FranceInfo. სამწუხაროდ, ადამსს მუხლის ტრავმამ შეუშალა ხელი ნაკრების მაისურით თამაშში, ამიტომ ნაკრების მხოლოდ 22 მატჩში მონაწილეობდა.

**1973 წელს ჟან-პიერი „ნიცაში“ გადავიდა. იქ თითქმის ყოველ სეზონში (სულ 4 სეზონში) გუნდის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებდნენ, თუმცა ტკივილგამაყუჩებელ ნემსებს იკეთებდა. 1976 წელს ადამსმა საფრანგეთის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიგო. შემდეგ სეზონში კი პარიზის „პარი სენ-ჟერმენთან“ გააფორმა კონტრაქტი. ორი წლის შემდეგ კი დასრულა პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა. იმხანად ის 31 წლის იყო.**

1982 წელს გადაწყვიტა, მწვრთნელობა დაეწყო და შეეცადა, ლიცენზიის მოსაპოვებლად კურსები გაევლო.

1982 წლის 17 მარტს ადამსისთვის დრო გაჩერდა... „ძვირფასო, არ ინერვიულო, ჯობია, ვახშამი მომიმზადო!“ — უთხრა მან მეუღლეს ოპერაციის წინ, მართლაც სანერვიულო არაფერი იყო: ქირურგები გეგმავდნენ, ოპერაცია 1 საათში დაესრულებინათ. ჟან-პიერმა ცოლს უთხრა, შინ წასულიყო და შვილებისთვის მიეხედა, თვითონ კი დაურეკავდა, როგორც კი ოპერაცია დასრულდებოდა. ბერნადეტი ელოდა ზარს, მაგრამ ტელეფონი დუმდა. ღამით აღელვებული ქალი კლინიკაში მივიდა. მას უთხრეს, რომ ჟან-პიერი რეანიმაციაშია.



ბერნადეტ ადამსი

**ადამსის მთავარი შეცდომა, როგორც გაირკვა, იყო ის, რომ ენდო ნაცნობ ექიმს, რომელმაც დაარწმუნა ჟან-პიერი, მყესის ოპერაცია ლიონში გაეკეთებინა, რადგან პარიზში ეს გაცილებით ძვირი დაუჯდებოდა და, იმის მიუხედავად, რომ ადამსს ფულის პრობლემა არ ჰქონია, ის მშვიდად დაწვა დანის ქვეშ ამ რეკომენდაციით.**

მშფოთვარე პერიოდი იდგა — ლიონში ექიმების გაფიცვა მიმდინარეობდა. მუშახელი საკმარისი არ იყო. ერთმა ანესთეზიოლოგმა ერთდროულად 8 პაციენტს გაუკეთა ნარკოზი. ამ არეულ-დარეულობაში ჟან-პიერს ნარკოზის ორმაგი დოზა ერგო. ამას გარდა, ქირურგის ასისტენტი გახლდათ სტაჟიორი, რომელმაც ადამსს არასწორად ჩაუდგა ფილტვების სავენტილაციო მილი. გულმა ვერ გაუძლო, გაჩერდა და, სანამ სპორტსმენის რეანიმაციას ცდილობდნენ, დაიწყო შეუქცევადი პროცესები. ადამსი ცოცხალი დარჩა, მაგრამ ღრმა კომაში ჩავარდა.

**ბერნადეტმა ქმარი შინ წაიყვანა და სასამართლოში საჩელი შეიტანა კლინიკის წინააღმდეგ. საქმის გარჩევა 12 წელიწადს გაგრძელდა. ანესთეზიოლოგი დამნაშავედ ცნეს და დააპატიმრეს მხოლოდ ერთი თვით. ფულადი კომპენსაცია, რომელიც ადამსის სასარგებლოდ დააკისრეს კლინიკას, სასაცილო იყო, მაგრამ ადამსის ოჯახს დაეხმარა „პსჟ“ და „ნიმი“. ეს კლუბები დღესაც მართავენ საქველმოქმედო მატჩებს და ყოფილი თანაგუნდელის ოჯახს ეხმარებიან.**

* * *

ჟან-პიერ ადამსი ახლა 71 წლისაა. მუდმივად შინ არის, წევს თავის ოთახში, სადაც პერიოდულად ექიმები აკითხავენ ხოლმე. ადამსს შეუძლია დამოუკიდებლად ისუნთქოს, მიიღოს თხევადი საკვები სპეციალური მილით. ბერნადეტის თქმით, ჟან-პიერი რეაგირებს ბგერებზე. ქალი დარწმუნებულია, რომ მისი ქმარი არჩევს ბგერებს და ბრაზობს, როცა მედდა უვლის და არა — ცოლი. ბერნადეტი, რომელსაც ევთანაზიის გაგონებაც კი არ სურს, ამბობს, რომ მისთვის ქმარი ცოცხალია, უბრალოდ, სძინავს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**






ჟან-პიერ ადამსი



„ნიმი“, 1971-72 წწ.

**ჟან-პიერ ადამსი ახლა 71 წლისაა. მუდმივად შინ არის, წევს თავის ოთახში, სადაც პერიოდულად ექიმები აკითხავენ ხოლმე. ადამსს შეუძლია დამოუკიდებლად ისუნთქოს, მიიღოს თხევადი საკვები სპეციალური მილით. ბერნადეტის თქმით, ჟან-პიერი რეაგირებს ბგერებზე. ქალი დარწმუნებულია, რომ მისი ქმარი არჩევს ბგერებს და ბრაზობს, როცა მედდა უვლის და არა — ცოლი. ბერნადეტი, რომელსაც ევთანაზიის გაგონებაც კი არ სურს, ამბობს, რომ მისთვის ქმარი ცოცხალია, უბრალოდ, სძინავს**

# ბავშვი სპეცრაზმის წინააღმდეგ

## ყველაზე უშიშარი ბავშვი XXI საუკუნეში — სადამ ჰუსეინის შვილიშვილი



**ამერიკულმა გაზეთმა New York Times-მა „XXI საუკუნის ყველაზე მამაცი და უშიშარი ბიჭი“ დაასახელა. გასაკვირია, მაგრამ თვით ამერიკელებიც კი აღიარებენ, რომ ეს ბიჭი ნამდვილი გმირია, რომელიც მარტო დაუპირისპირდა ამერიკულ სპეცრაზმს. ეს ბიჭია მუსტაფა სადამ ჰუსეინი.**

სადამ ჰუსეინის 14 წლის შვილიშვილი ბოლო იყო, ვინც ავტომატური იარაღით ხელში წინააღმდეგობას უწევდა ამერიკელ სპეცრაზმელებს შეიხ **ნავაფ ზეიდანის** სახლის შტურმისას. იმ მომენტში ის სახლში ერთადერთი ცოცხალი ადამიანი გახლდათ, მის გარშემო კი მიმოფანტული იყო მამის — **კუსაის,** ბიძა **უდეისა** და მათი მცველის — **აბდელ-საბადის** გვამები. ოპერაციაში მონაწილე ამერიკელი ჯარისკაცების თქმით, როცა სახლში შეიჭრნენ, მათ მუსტაფა ჰუსეინმა ცეცხლი გაუხსნა ავტომატური იარაღიდან. მას შემდეგ, რაც თვალწინ მოუკლეს მამა და ბიძა, ბიჭმა ცეცხლი არ შეწყვიტა და სნაიპერის შაშხანით სიცოცხლეს გამოასალმა 14 ამერიკელი ჯარისკაცი, სადამის შვილიშვილთან ბრძოლა 6 საათს გაგრძელდა. როცა ამერიკელებმა ბიჭი მოკლეს, ვერ იჯერებდნენ, რომ ამ ხნის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდათ ერთი ადამიანი, მათი შოკი კი გამოიწვია იმან, რომ ეს ადამიანი, ფაქტობრივად, ბავშვი იყო.

მუსტაფას შესახებ დაწერილი სტატიის ბოლოს გაზეთ New York Times-ის ჟურნალისტი **რობერტ ეისკი** წერს: **„ამ ბიჭის მსგავსი ვინმე ჩვენ რომ გვყოლოდა, თითოეულ ქალაქში დავუდგამდით ქანდაკებას, ყველგან და ყოველთვის ვილაპარაკებდით მის სიმამაცეზე და ის იქნებოდა მოზარდი თაობისთვის მისაბაძი მაგალითი“.**

# რუსეთისა და ბელარუსის ეკონომიკების ინტეგრაციის დეტალები



**რუსეთისა და ბელარუსის მთავრობები 2021 წლიდან ერთიანი საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსების შექმნას გეგმავენ.** მოსკოვი და მინსკი, ამასთანავე, საკუთრების აღრიცხვის უნიფიცირებას, ორი ცენტრალური ბანკის არსებობის პირობებში საბანკო ზედამხედველობის გაერთიანებას, ნავთობის, გაზისა და ელექტროენერგიის რეგულატორი ერთიანი ბაზრის შემოღებას აპირებენ. დაინერგება დარგების ჰარმონიზირებული სახელმწიფო რეგულირება.

ეკონომიკური ინტეგრაციის ასეთი ხარისხი ევროკავშირში არსებულზე გაცილებით მაღალია.



# რუსეთში ამზადებენ ოთხდღიანი სამუშაო კვირის ექსპერიმენტს

**რუსეთის შრომის სამინისტროში განიხილავენ ოთხდღიანი სამუშაო კვირის შემოღების საკითხს საწარმოებში, რომლებიც შრომის ნაყოფიერების ამაღლების ეროვნულ პროექტში არის ჩართული.**

აღნიშნულია, რომ კომპანიების სიაში შესულია გადამამუშავებელი, სოფლის მეურნეობის, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობის სფეროების, აგრეთვე, სამშენებლო საწარმოები.

ოთხდღიან კვირაზე გადასვლის ზუსტი პარამეტრები ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული.

შემცირების შესახებ საბოლოო დასკვნას მიიღებენ მას შემდეგ, როცა სქემას კომპანიების დიდ რაოდენობაზე გამოცდიან.

# მაცხოვრის ჯვრის პატივსაცემად სირიის ქალაქ მაალულაში გრანდიოზული ცეცხლოვანი შოუ გაიმართა



14 სექტემბერს სირიელი მართლმადიდებელი ქრისტიანები აღნიშნავენ იმ დღეს, როცა 326 წელს იმპერატორ კონსტანტინეს დედამ, დედოფალმა ელენემ ახლანდელ მაალულას მიდამოებში იპოვა ის ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი ევნო. დღესასწაულის ცენტრი ქალაქი მაალულაა ხოლმე, აქ სირიის ყველა კუთხიდან იყრიან თავს მორწმუნეები. ხალხი მღერის, ცაში უშვებენ ფერად ფეიერვერკებს და სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებას მართავენ.

დღესასწაულს განსაკუთრებული ტრადიციაც ახლავს — შეღამებულზე ქალაქის გარშემო შემოჯარული გორაკების კალთებზე აგორებენ ცეცხლოვან ბურთებს და ქალაქის ქუჩები გვიან ღამემდე ცეცხლით არის განათებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯვართამაღლება თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთია და იულიანური კალენდრით 27 სექტემბერს აღინიშნება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ **2013 წლის 8 სექტემბერს ისლამისტი ბოევიკები თავს დაესხნენ მაალულას და ქალაქის დაპყრობის შემდეგ მრავალ ქრისტიანს (იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ) საჯაროდ, პირდაპირ ქალაქის ქუჩებში მოჰკვეთეს თავები. მათი სისხლი ჯერ დალიეს, მერე ბოთლებში ჩაასხეს და ბაზრებში ჰყიდნენ. განსაკუთრებით ძვირად ფასობდა ბავშვების სისხლი. თავდაპირველი ცნობებით, „ბოევიკებმა“ მაალულაში 30 ათასამდე ადამიანი იმსხვერპლეს. ეს იმდენად ამაზრზენი დანაშაული იყო, რომ „ბოევიკების“ უკან მდგარმა საერთაშორისო ძალებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა ეს ამბავი გამქრალიყო მსოფლიოს საინფორმაციო სივრციდან.**

რა თქმა უნდა, არც ერთ საერთაშორისო „უფლებადამცველ“ ორგანიზაციას ამ შემაძრწუნებელ ფაქტზე ხმა არ ამოუღია, ვითომ არაფერი არ მომხდარა. მათთვის მართლმადიდებელი ხომ ადამიანი არ არის, მართლმადიდებელი ხომ „ლიბერალურ ფასეულობებს“ არ აღიარებს.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# მაკრონის შემდეგ ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნაზე მერკელიც ალაპარაკდა



**აშშ ავტომატურად აღარ დაიცავს ევროპას, მან უფრო მეტი ძალისხმევა უნდა მოახმაროს საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფას, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა 2020 წლის ფედერალური ბიუჯეტის განხილვისას, რომელიც ბუნდესტაგში გაიმართა.**

„ბევრი საერთო რჩება, მაგრამ აღარ არსებობს ავტომატიზმი იმაში, რომ ისინი, როგორც „ცივი ომის“ დროს, კვლავაც შეასრულებენ ევროპის დამცველის როლს“, — ხაზი გაუსვა ფრაუ მერკელმა.

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894